ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + „ფრანკო“ — 8 ლარი 4-დან 18 აპრილამდე

18 აპრილის შემდეგ „ფრანკოს“ ფასი 12 ლარი გახდება




სამშაბათი, 5 აპრილი, 2011

№80 (5461)

ფასი: 30 თეთრი

# ბოკერიას გუნდი მხარდაჭერას რუსეთში ეძებს?



გვ.3

ბურჯანაძე ემ და ქართულმა პარტიამ შესა ლოა ხელისუფლების წისქვილზე დაასხან წყალი

## უზენაესი სასამართლოს შენობას კვერცხები ესროლეს

გვ.6



გვ.6

## უმრავლესობა სახალხო დამცველს არ ენდობა

## კალმახელიძის მეთოდებს გერმანელები საკონცენტრაციო ბანაკებშიც არ იყენებდნენ

გვ.6





გვ.2

## საკრებულოს წევრები პრემიებს არ უნდა ილებდნენ!

თინა ხიდაშელი პრემიალური ფონდის გაუქმებას ითხოვს



## ჩვენ ბრძოლა არ დაგვიმთავრებია

გვ.4

ლაშა ბაქრაძე: „ვისურვებდი, მაგთიკომის მაგალითს მიბაძონ და ქართულ ხელოვნებას ყველა გვერდში დაუდგეს“

მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ



## ბაღათურია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ფულს ითხოვს

გვ.6

## ნოღაიდელს სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით სასამართლოს უწყება გადაეცა



გვ.10

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 საერთაშორისო კონფერენცია თბილისში

9 *მალხაზ ასათიანი:* „თავს ვეტერანად არ ვთვლი“

10 „სახალხო კრება“ 2 მაისისთვის ემზადება

9 *დავით უსტიაშვილი:* „ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლა იქნება“

# საკრებულოს წევრები პრემიებს არ უნდა იღებდნენ!

## თინა ხიდაშელი პრემიალური ფონდის გაუქმებას ითხოვს

თეა მარხვაი ე

**ცოტა ხნის წინ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საკრებულოს წევრებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა გაავრცელა. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ საკრებულოს წევრებმა, მათ შორის ოპოზიციონერებმაც მსუყე-მსუყე პრემიები აიღეს.**

არადა ამ ოპოზიციონერი დეპუტატების თანაპარტიელები ხელისუფლების წევრებს ლამის თეთრებში უთვლიდნენ პრემიებს. გოგა ხაჩიძე კინაღამ შარშანდელი თოვლივით ჩამოადნეს, როგორ გაბედე და ამხელა პრემია აიღეო. ისე სადღაც მართლებიც იყვნენ. „მიშა მაგარიას“ ავტორმა სერიოზული პრემია „მოხსნა“. თუმცა იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვინ წამოაძახებს მინისტრს პრემიებს.

ახლა ხაჩიძის გამო გული ნუ აგიჩუყდებათ. რადგანაც ამ ამბავს თავად გოგა არ განიცდის. ის იმაშიც არის დარწმუნებული, რომ კიდევ კაი ხანს აიღებს მინისტრის პრემიას. სხვა თუ არაფერი წინ არჩევნებია და კიდევ ერთი კლიპი იქნება მოსაფიქრებელი. ასეთ რამეებში კი გოგა მაგარია.

რაც შეეხება ოპოზიციას, მათმა ნაწილმა ჯერ საკუთარი წევრების პრემიები უნდა შეისწავლოს, და მერე შეუტიოს ნაციონალებს.

საკრებულოში პრემიები ოპოზიციონერმა დეპუტატებმაც აიღეს. ეს ინფორმაცია დიდი ხმაურით გავრცელდა. თუმცა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებმა და აცუნდრუკებულმა კადაფმა ეს თემა ოდნავ უკანა პლანზე გადასწია. მერე პარლამენტში მინისტრები აჟრიამულდნენ და ერს ეს ამბავი მიავიწყდა.

გუშინ კი ეს საკითხი ისევ აქტუალური გახდა. საკრებულოს წევრმა თინა ხიდაშელმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი საკრებულოს წევრებისთვის პრემიალური ფონდის გაუქმების ინიციატივით გამოვიდა.



— პრემიალური ფონდი უნდა გაუქმდეს. ამ ფონდის არსებობა დედაქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობის მოწყობაა, რაც მიუღებელია, — აცხადებს რესპუბლიკური პარტიის წევრი.

თინა ხიდაშელის განმარტებით, არსებობს დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ ეს ფონდი განსაზღვრულია ნახევარი მილიონით. საკრებულოს წევრის განმარტებით, ეს თანხა არა დეპუტატებს, არამედ გაჭირვებულ ადამიანებს უნდა მოხმარდეს.

— მაშინ, როდესაც ხელისუფლება ე.წ. „ქამრების შემოჭერაზე“ საუბრობს. მნიშვნელოვნად არის შემცირებული თბილისის ბიუჯეტი და ასევე მნიშვნელოვნად მაღალია საკრებულოს წევრებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია საკრებულოს წევრების მიერ რაიმე ტიპის პრემიის მიღება, — განაცხადა ხიდაშელმა.

მისი თქმით, ყველაზე დიდი პრემია, რომელიც მიღებული აქვს, ხალხი ნდობაა და ამ ნდობის გამართლებისა და შენარჩუნებისთვის კვლავაც გაგრძელდება მუშაობა.

ხიდაშელის განმარტებით, საკრებულოს წევრების მიერ პრემიის აღების შესაძლებლობის აკრძალვა არ ეხება საკრებულოს აპარატის მოხელეებს.

რესპუბლიკური პარტიის წევრი ინიციატივა მმართველ გუნდს უპასუხოდ არ დაუტოვებია. ხიდაშელის განცხადებას თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილი გამოეხმარა.

მისი თქმით, დედაქალაქის საკრებულოში პრემიას იღებს ყველა დასაქმებული ადამიანი, მათ შორის, საკრებულოს წევრები, რომლებიც არიან საკრებულოს თანამდებობის პირები, განსხვავებით სხვა საკრებულოს წევრებისგან, რომელთაც სხვაგან მუშაობის უფლება აქვთ. ბიუჯეტის გათვალისწინებით პრემიას სულ 205 ადამიანი იღებს. პრემია არის წლიური შრომის სახელფასო ანაზღაურების 30 პროცენტი.

რამდენიმე კვირის წინ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ თბილისის საკრებულოს წევრების პრემიების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. ამ ინფორმაციის მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარემ, ზაალ სამადაშვილმა გასული წლის განმავლობაში პრემიის სახით 24 760 ლარი მიიღო, ხელფასის სახით კი — 42 480 ლარი.

რაც შეეხება საკრებულოს სხვა წევრებს, მამუკა ახვლედიანის პრემიის ჯამური ოდენობა 2010 წელს 12 390 ლარია, კოკი იონათამიშვილის — 9 870 ლარი, ვახტანგ ნაცვლიშვილის — 9 870 ლარი.

გასულ წელს პრემიები აიღეს საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრებმაც, კერძოდ ვიქტორ დოლიძის პრემიის ოდენობა 9 870 ლარით განისაზღვრა, ზურაბ აბაშიძისა და ჯაბა სამუშაიას პრემიები — 11 970 ლარით, 9 870 ლარის პრემია კი გასულ წელს, ინგა გრიგოლიამ, დავით საგანელიძემ აიღეს, კობა დავითაშვილის პრემიამ 7 050 ლარი შეადგინა.

## საერთაშორისო კონფერენცია თბილისში

2011 წლის 4-5 აპრილს ქ. თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, გაიხსნა.



საერთაშორისო კონფერუნცია თემაზე **„დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ეფექტიანობა, გამჭვირვალობა, კომპეტენტურობა - სასამართლო რეფორმის თანამედროვე გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში“** კონფერენცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში ორტვინ ჰენიგმა გახსნეს.

კონფერენცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის და გაეროს განვითარების პროგრამის ორგანიზებით ტარდება. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ: საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის სასამართლოების ასამდე წარმომადგენელი.

კონფერენციაზე ექსპერტების სახით მოწვეულნი არიან *სასამართლო ორგანოების პატიოსნებისა და მოუსყიდველობის განმტკიცების საკითხებზე მომუშავე სამოსამართლო ჯგუფის* (Judicial Integrity roup) წარმომადგენლები, მათ შორის ჯგუფის კოორდინატორი ***ნიჰ ალ ჯაიავიკრამა,*** ჯგუფის წევრი და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ***პროფესორი რუდოლფ მელინგჰოფი,*** ჯგუფის და ასევე ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს წევრი, გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამაკთლოს მოსამართლე ***ლორდი ჯონათან მანსი,*** სასამართლო სისტემის ეფექტიანობის ევროპული საბჭოს (CEPEJ) ვიცე-პრეზიდენტი ***გეორგ სტავა*** და ბოლონიის სასამართლო სისტემის კვლევის ინსტიტუტის მკვლევარი ***ფრანჩესკო კონტინი.***

კონფერენციის დასასრულს გამართული დისკუსიის შედეგების საფუძველზე მ**ონაწილეები მიიღებენ რეკომენდაციებს** რეფორმების მიმართულებებთან დაკავშირებით.

# დამნაშავე ხელისუფლებასთან მოლაპარაკება შეუძლებელია

## სააკაშვილის შესაცვლელად ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ჰააგის სასამართლომ ქართულ მხარეს უარი უთხრა სარჩელის განხილვაზე, როგორია თქვენი, როგორც ადვოკატის შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— აქ რამდენიმე მომენტს უნდა გაესვას ხაზი, პირველ რიგში, იმ გარემოებას, რომ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკამ, რომ ჭკვიანი იურისტები გამოეყარათ სამსახურებიდან და შესაბამისად პროფესორები უნივერსიტეტებიდან და აქცენტი გაკეთებულიყო იმაზე, რომ თუ ინგლისური იცის ადამიანმა, ის არის კარგი იურისტი, კარგი ექიმი და ასე შემდეგ, ვნახეთ, რომ შედეგი სახეზეა. ეს არის წერა-კითხვის უცოდინრობის შესანიშნავი ნიმუში. ამ უცოდინრობამ დაგვანახა, თუ როგორ წააგო ხელისუფლებამ ჰააგაში ეს სარჩელი. ამ უცოდინრობას შემდეგ მოჰყვა უცოდინარობის ის გაუგონარი ფაქტი, რაც გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ. მან გააკეთა განცხადება, რომ თურმე ამ გადაწყვეტილებას ისინი გაასაჩივრებენ ზემდგომ ინსტანციაში. საინტერესოა, რას გულისხმობდა ზემდგომ ინსტანციაში, არ ვიცი, ახლა მთვარეზე თუ აპირებენ ასვლას, თორემ ამ სასამართლოს ზემდგომი ინსტანცია არ გააჩნია. რა მნიშვნელობა აქვს, ვილაცები ხომ მოტყუვდნენ, ყველა იურისტი ხომ ვერ გამოვა და აუხსნის მთელ საქარტველოს ამხელა სისულელეს, თუმცა, არა ვარ დარწმუნებული, რომ შესაძლოა მასაც მართლა ჰგონია, რომ ამ სასამართლოს ზემდგომი ინსტანცია აქვს, მე რაც ვიცი, ამ ქალბატონის განათლების დონე. მე ვფიქრობ, რომ ეს სპეციალურად იყო გაკეთებული, რადგან წარმოუდგენელია, მათ არ სცოდნოდათ, დააკვირდით, სასამართლომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რომ არასათანადო მოპასუხეა ამ შემთხვევაში რუსეთიო. მაშინ იბადება კითხვა, ვინ არის სათანადო მოპასუხე? ჩინეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი თუ ვინმე სხვა? ბუნებრივია, არა, რადგან რუსეთთან გვქონდა კონფლიქტი. მაშინ რატომ თქვა სასამართლომ არასათანადო მოპასუხეაო?

***— თქვენი აზრით, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?***

— საქმე ის გახლავთ, რომ კონვენცია, რომლითაც საქართველოს მხარე ედავებოდა რუსეთის მხარეს, ამ კონვენციის რატიფიცირება რუსეთს მოხდენილი არა აქვს. შესაბამისად ჰააგის სასამართლომ დაადგინა და ზუსტად თქვა ის, რომ სათანადო მოპასუხე არ არის რუსეთის მხარე. ელემენტარულად ვერ განიხილავდა ამას. მე ვფიქრობ, რომ ეს თავიდანვე იცოდა საქართველოს მხარემ, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ. დააკვირდით, როგორი განცხადებები გაკეთდა? ჯერ სანამ ინფორმაცია საიტებზე არ დაიდება, წარმოუდგენელია მისი მოპოვება, ხოლო ქართული მხარის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია აბსოლუტურად ალოგიკურია. ქართული მხარე ამბობს, რომ სასამართლომ თქვა, არასათანადო მოპასუხეები არიან, არ ამოწურულა ყველა საშუალება და ამიტომ რუსეთს თქვენ დაელაპარაკეთო. რუსეთს დაელაპარაკე საერთოდ რა შუაშია? სასამართლოები არ იღებენ ასეთ გადაწყვეტილებებს. მე შემოვიტანე საჩივარი, მიმაჩნია, რომ დაირღვა ჩემი უფლებები და სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ეს აშკარად ბურჯალიანის წამატებული სიტყვებია.

***— ფიქრობთ, რომ ქართული მხარე ამას სათავისოდ გამოიყენებს?***

— რა თქმა უნდა. გამოვა ახლა სააკაშვილი და იტყვის, ჩვენ გამოვდივართ მშვიდობიანი ინიციატივით, ველაპარაკოთ რუსეთს, ჰააგის სასამართლომაც კი ჩაწერა ეს თავის განჩინებაში, რომ უნდა ველაპარაკოთ რუსეთს, მაგრამ ეს საზიზღარი რუსეთი მაინც არ გველაპარაკება. ანუ დაიწყება კიდევ ახალი სერია მტრის ხატის შექმნისა. ამას ემატება კიდევ ენვერი ორი, ენვერი სამი, კოჭოია ოთხი და ასე შემდეგ. ასევე ახალი შოუები იდგმება, თითქოს ქუთაისის მერიაში ბომბის აღმოჩენა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლება ამზადებდეს ახალ პროვოკაციას — თემურ ჟორჟოლიანი ორი. ანუ მოიძებნოს აქ ვითომ რუსეთის მხარდამჭერი პოლიტიკოსები, დაბრალდეს მათ ყველა ის უბედურება, რასაც სააკაშვილი საკუთარ ხალხს უკეთებს და ამის შედეგად კიდევ აღმოჩნდეს გარკვეული პოლიტიკური ძალები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ამბობენ, რომ ქვეყანაში რევოლუციის და საპროტესტო მანიფესტაციების გარეშე წარმოუდგენელია რაიმე შედეგის მიღწევა. ეს ადამიანები დააკავშირონ რუსეთს და შესაბამისად მათი პოლიტიკური არენიდან მოშორებით, ანუ ციხეში გასტუმრებით, რჩება მხოლოდ პოლიტიკური რვიანი, რომელთანაც საკმაოდ შეხმატკბილებულად გრძნობს თავს, ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება. არჩევნები ჩატარდება და ყველაფერი იქნება მშვიდად და წყნარად. აი, ეს არის ის გეგმა, რომელიც სწორედ ჰააგის სარეცელთან არის დაკავშირებული. წარმოუდგენელია, ერთმა და ორმა ადამიანმა მაინც არ იცოდეს, რომ ჰააგის სარჩელს თავიდანვე არც არავინ არ განიხილავდა. მე თავიდანვე ვაცხადებდი, რომ ამ სარჩელს დასაშვებადაც კი არ ცნობს ჰააგის სასამართლო-მეთქი და ასე აგიხდათ ყველაფერი. მე ეს კი არ დამსიზმრებია, რომ გავეცანი დოკუმენტებს ეს დასკვნაც იქიდან გამომდინარე გამოვიტანე. ჩვენ კიდევ ერთი პოლიტიკური სპექტაკლი დაგვიდგეს, რომ რუსების წინააღმდეგი კი ვართ, მაგრამ აი, ნახეთ ჰააგის სასამართლომ სარჩელი არ განიხილა.

***— რაც შეეხება შიდა პროცესებს, თქვენ ოპოზიციური რვიანი ახსენეთ, თუმცა, აღარც მათ აქვთ შეხმატკბილებული ურთიერთობა ხელისუფლებასთან. უკვე გამოიკვეთა განცხადებები, რომ გარკვეულ ვადას აძლევენ ხელისუფლებას და ამის შემდეგ სხვაგვარად იმოქმედებენ. როგორ ფიქრობთ, რვიანიც ქუჩაში ხომ არ გადმოინაცვლებს?***

— ძალიან კარგია, ეს განცხადებები თუ გაკეთდა. მე მივესალმები ამ განცხადებებს. მე პიროვნულად არანაირი დაპირისპირება არ მაქვს მათთან. მე წავიკითხე რვიანის განცხადებები გასული კვირის პრესასი, რომ აი, ოპოზიციამაც კი დაგვარტყა... ოპოზიციამ კი არ დაარტყა და ვინმეს ინტერესი კი არა აქვს, ქართული პოლიტიკა უნდა გამოვიდეს ამ უაზრო პიროვნული დაპირისპირებებიდან. საქმე იმაში გახლავთ, რომ მოდით, მოკლე მონახაზი გავაკეთოთ, ამ ხელისუფლებამ ქუჩაში ახალგაზრდები ჩაცხრილა? ჩაცხრილა, სააკაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ეს მისი დავალებით მოხდა? გააკეთა. მსოფლიომ აღიარა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არიან? აღიარა, ასევე აღიარა, რომ უკანონო პატიმრები არიან, ის რომ წამებები

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# დამნაშავე ხელისუფლებასთან მოლაპარაკება შეუძლებელია

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ხდება. ჩვენ ხომ ვიცით, რომ გუბერნატორის ხელფასი და მინისტრის ხელფასი არის სადღაც 15-20 ათასი ლარი და პენსიონერს პენსია აქვს 90 ლარი. ასეთი განსხვავება ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში არა თუ ირღვევა წამების დონემდე მიყვანილი პენსიონერების მდგომარეობა. ხომ ვიცით, რომ უმუშევრის შემწეობა ფაქტიურად არ არსებობს საქართველოში. თუ შენ იცი ოპოზიციურმა ძალამ, პოლიტიკოსმა, რომ დღევანდელი ხელისუფლება არის დანაშაულებრივი ბუნების, როგორ შეიძლება ამ ადამიანებთან დაჯდე და აწარმოო მოლაპარაკებები?! კი ბატონო, მათი პოზიციაც მისაღებია, რომ დაანახონ მსოფლიო საზოგადოებას, რომ ყველაფერს ეცადნენ, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა და ეს სწორი პოზიცია იყო, მაგრამ ჩემი აზრით, პირველი, რაც უნდა გაკეთებულიყო, უნდა თქმულიყო პოლიტპატიმრების შესახებ. რადგან ეს დოკუმენტები არსებობს და საერთაშორისო ორგანიზაციებიც აღიარებენ ამას, შენი, პოლიტიკოსის ნებისმიერი მოლაპარაკება ხელისუფლებასთან უნდა იწყებოდეს ამ საკითხით. თუ შენ პოლიტპატიმრებს არ ათავისუფლებ, მაშინ მე არანაირი საქმე არა მაქვს შენთან. პოლიტიკოსი თუ წინა პლანზე არ აყენებს პოლიტპატიმრის საკითხს, წარმოუდგენელია, მაშინ პოლიტიკოსი არა ხარ. უფრო მეტიც, უნდა დაისვას კონკრეტული თარიღი და კონკრეტული საკითხი, თქვენ ამ თარიღში ამ საკითხზე მოდიხართ? მოდიხართ, არ მოდიხართ და მაშინ თქვენთან არანაირი მოლაპარაკება არ იქნება. ასე პერმანენტულად, ასე გაუგებარი დროით, გაუგებარ თემებზე ესაუბრო დანაშაულებრივი ბუნების მქონე ხელისუფლებას, ეს არის წარმოუდგენელი. არა მარტო ხელისუფლება აფერხებს სახელმწიფოს განვითარების პროცესებს, არამედ გამოდის, რომ შენც ძალაუნებურად ამ პროცესების ხელშემწყობი ხარ. დღეს სიგიჟეა ქვეყნის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ამ სიტუაციის გაგრძელება. მაშინ, როცა ეს ხელისუფლება დემოკრატობანას თამაშობდა, საპყრობილეებში ახალ პოლიტპატიმრებს იჩენდა. ოპოზიციამ რადიკალური ნაბიჯები უნდა გადადგას.

***— დღეს ბევრს საუბრობენ, რომ ოპოზიციური ერთობაა საჭირო...***

— მეც მაგ აზრზე ვარ, პირველი ნაბიჯი, ეს უნდა იყოს სწორედ ერთობისკენ გადადგმული ნაბიჯი. ამისთვის აუცილებელია და მნიშვნელოვანია, ოპოზიციური ძალების კონსოლიდაცია მოხდეს ერთი მიზნისათვის — ამ რეჟიმის დემონტაჟისათვის. კი ბატონო, მერე რაც შეიძლება მალე ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები და ხალხი ვისაც გადაწყვეტს, იმას მისცეს ხმა.

***— ვსაუბრობთ ოპოზიციურ ერთობაზე, მაგრამ რამდენად არის ეს შესაძლებელი? თუნდაც იგივე რადიკალები, რომ ავიღოთ, ყველაზე მეტად ორი ძალა აქტიურობს და ამ დროს ერთმანეთთან საკმაოდ მწვავე დაპირისპირება აქვთ...***

— სახალხო კრება, ქართული პარტია, კიდევ კახა კუკავა და ჩემი პარტია აკეთებს რადიკალურ განცხადებებს, თუმცა, ყველაზე მეტად სახალხო კრება და ქართული პარტია აქტიურობს და ამას ფინანსური ფაქტორიც განსაზღვრავს. ჩვენ ორივე ძალას მივესალმებით, კონსულტაციები ყველა იმ ძალასთან გვაქვს, ვინც ვფიქრობთ, რომ ამ ხელისუფლების დემონტაჟი უნდა მოხდეს საპროტესტო აქციებით. თუ ის 8 პარტია, რომლებიც საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით გადაწყვეტს, რომ აზრი არა აქვს ამ მოლაპარაკებებს და შემოუერთდებიან ამ პროცესს ეს ძალიან კარგი იქნება. თქვენ სწორედ აღნიშნეთ არის გარკვეული დაპირისპირება ქართულ პარტიასა და სახალხო კრებას შორის, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს არის რაღაც პიროვნული და ადამიანებმა უნდა გადალახონ პიროვნული მომენტები და უნდა მოხდეს ამ ძალების, კონსოლიდაცია. როგორ გითხრათ, გაერთიანებაზეც არ რის ლაპარაკი, კი ბატონო, გამოვიდეს ყველა ცალ-ცალკე. ყველამ გამოიყვანონ თავიანთი ძალები ცალ-ცალკე. ნამდვილად ვერ ვხედავ ამაში დიდ უბედურებას. იმ ქვეყნებში, სადაც რევოლუციები მოხდა, საერთოდ არ ჰყავდათ არანაირი ოპოზიცია, ხალხმა შეძლო ეს ყველაფერი. კი ბატონო, გამოვიდნენ ცალ-ცალკე, თუ უნდათ გამარჯობასაც ნუ ეტყვიან ერთმანეთს. მომხრეები ხომ ჰყავთ, გამოვიდნენ თავიანთი მომხრეებით და ყველამ თავისი საქმე გააკეთოს.

***— ფაქტია, რომ მოთხოვნა ყველას ერთი აქვს...***

— გეთანხმებით, ყველა ერთი და იგივეს ითხოვს. ბევრს ვფიქრობ ამის შესახებ, ვთქვათ გამოვიდა, რომელიმე პოლიტიკური ძალა და თქვა, მე ვიწყებ აქციას ამა და ამ რიცხვში, ახლა სხვა პოლიტიკური პარტია, რომელიც დაინახავს, რომ ხალხი ქუჩაშია გამოსული, რას იზამს, სახლში იჯდება? მით უმეტეს, თუ მომხრეა იმისი, რომ საპროტესტო მანიფესტაციებით შეიცვალოს ეს ხელისუფლება. ბუნებრივია, რომ ისიც უნდა გამოვიდეს. მე ამაში ვერ ვხედავ დიდ პრობლემას. ხალხი იქნება ამ ყველაფრის ინიციატორი. ამ პიროვნულ დაპირისპირებაში მე დიდ პრობლემას ვერ ვხედავ, ამას თავად ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი თავისი სპეცსამახურებით. მთავარია, რომ დღეს ხალხმა ირწმუნოს ოპოზიციის და ხალხი წაყვეს ამ პროცესებს, შემდეგ ხალხი მიიღებს თავად გადაწყვეტილებას. დღეს აღარ არის ის სიტუაცია, რომ რომელიმე პოლიტიკოსი გამოვიდეს და განაცხადოს, რომ ახლა დავიშალოთ და სახლებში წავიდეთ. ხალხი აღარ დაუჯერებს ასეთ მოწოდებებს და თავად მიიღებს გადაწყვეტილებებს რა და როგორ გააკეთოს. თუნდაც ჩემი სახით და თუნდაც სხვა პოლიტიკოსების სახით გამოჩნდებიან პოლიტიკოსები, რომლებიც ეტყვიან ხალხს, რომ სახლში არ წავიდნენ.

***— მთავარია, რომ ხალხი გამოვიდეს და პროცესი დაიწყოს?***

— მთავარია, დაიწყოს და მერე პროცესები თავად განვითარდება. ყველას ვეპატიჟებით მოვიდნენ და დადგნენ ჩვენ გვერდით. მთავარია ეს პროცესები დაიწყოს და დამთავრებით, დამიჯერეთ, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

# ბოკერიას გუნდი მხარდაჭერას რუსეთში ეძებს?

## ბურჯანაძემ და ქართულმა პარტიამ შესაძლოა ხელისუფლების წისქვილზე დაასხან წყალი



ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ
გელა ნიკოლეიშვილთან**

***— ბატონო გელა, ოპოზიციური რვიანის მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან ჩიხში შევიდა. ოპოზიციონერი ლიდერები აკეთებენ განცხადებებს, რომ ხელისუფლებას მაისამდე აძლევენ ვადას, ხოლო შემდეგ მოიქცევიან ისე, როგორც ავტორიტარულ რეჟიმს უნდა მოექცე. როგორ უნდა გავიგოთ მათი განცხადებები, ულტიმატუმი, მუქარა, რა ჩაიფიქრა რვიანმა?***

— ის პოზიცია, რომ ამ რვიანს ჰქონდა გეგმაში ხელისუფლების პოზიციების გაშიშვლება, სწორია. ვადა რომ აქვთ კიდევ ერთი თვით მიცემული ესეც სწორია, რადგან ხელისუფლება არის ისეთი შინაარსის და ბუნების, რომ ის არაფერს არ დათმობს ამ მოლაპარაკებაში. აქედან გამომდინარე, მათი მიზანი თავიდანვე იყო, მე როგორც მესმის, ეჩვენებინათ როგორც შიდა საზოგადოებისთვის, ისე საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ხელისუფლების ეს სახე. მე არა მგონია, რომ მათ ილუზიები ჰქონოდათ, რომ ხელისუფლება თავის საკუთარ დასაკლავ დანას ალესავდა და დათანხმდებოდა, შეეცვალა საარჩევნო გარემო. ეს ყველაფერი არის სწორი. უბრალოდ, რაც მე არ მიმაჩნია სწორად, არის ის, რომ ცალკე ეს რვიანი და ცალკე დანარჩენი ოპოზიცია, ფაქტიურად ერთი და იგივეს ლაპარაკობენ, მაგრამ ყველა თავისკენ იწევს, ყველა თავისკენ ქაჩავს საბანს და უნდა დაანახონ საზოგადოებას, რომ სწორედ ისინი მოახერხებენ ხელისუფლების წინააღმდეგ რაღაც ქმედითი ღონისძიების გატარებას, აქციების აგორებას, საბოლოო ჯამში აქციებამდე მიდის ეს რვიანი და თუ ისინი არ დადგებიან ერთ პოზიციაზე, როგორც ერთი მხარე, ისე მეორე მხარე, ამ ხელისუფლებას ვერ შეარყევენ. ჯერ ერთად დადგომის შემთხვევაშიც ძნელია ამ ხელისუფლების შერყევა და მით უმეტე,ს ცალ-ცალკე ძალიან ადვილად გაუსწორდებიან მათ. აქედან გამომდინარე, ჩემი პოზიცია არაერთხელ გამომიხატავს და აზრიც არის ის, რომ რვიანი საბოლოო ჯამში მივა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია საპროტესტო აქციები, ოღონდ ისეთი, რომელიც იქნება მასობრივი, მასშტაბური და არა ერთჯერადი და რაღაცა კომიკური ხასიათის, რომელიც ხელისუფლებას კიდევ უფრო გააძლიერებს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლოა პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს?***

— პროცესები ქუჩაში ყველა ვარიანტში გადაინაცვლებს, აუცილებლად, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად მოხდება სისხლისღვრა, შეტაკება. ქუჩიდან ზეწოლის გარეშე, ამ ხელისუფლებაზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ არსებობს. არსებობს მეორე ბერკეტი, საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლა, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლაც იქნება იმ შემთხვევაში, თუ მათ დაინახეს, რომ ოპოზიციას აქვს ძალა, მხარდაჭერა და ეს მხარდაჭერა მხოლოდ ქუჩიდან უნდა იქნეს დანახული. თუ არ დაინახეს ეს, აგერ ისტორიამ იცის მუბარაკები და კადაფები, პრეზიდენტები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე მართავდნენ სხვადასხვა ქვეყნებს და ის ქვეყნები მშვიდად ეგუებოდნენ ამას. ძალიან კარგად ხედავდა ამერიკაც და ევროპაც, რომ ეს ქვეყნები იყვნენ დიქტატორული ქვეყნები, მაგრამ რადგან მოსახლეობა ამას იტანდა და ეგუებოდა, ისინი არ ერეოდნენ. როდესაც ამოიღო შიგნით მოსახლეობამ ხმა, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ჩარევა დასავლეთმა და საკმაოდ ქმედითად. სხვა შემთხვევაში ის არ ჩაერევა, თუ ქართველ ხალხს და საქართველოს მოსახლეობას უნდა ასეთი რეჟიმი, მაშინ ისინიც მშვენივრად ითანამშრომლებენ ასეთ რეჟიმთან.

***— ხელისუფლება რომ მოლაპარაკებებზე არ წავიდოდა და დროის გაყვანას შეეცდებოდა, ეს რვინმაც კარგად იცოდა. ჩვენი მიზანია საზოგადოებას ხელისუფლების ნამდვილი სახე დავანახოთო. რამდენად შეძლეს ეს?***

— მე ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით შეძლეს და თუ მყარად იდგებიან ამ პოზიციაზე კიდევ უფრო მეტად დაანახებენ. მთავარი არის ოპოზიციური ერთობა და მე ვამბობ, რომ საერთოდ სრულიად ოპოზიციური ერთობაა საჭირო და რახან ეს ვერ ხერხდება ამ ეტაპზე, რვიანის შიგნით შენარჩუნებული ერთობა მაინც აუცილებელია. ვიმეორებ, ხელისუფლება ამ ერთობის დაშლას და ხელყოფას აუცილებლად შეეცდება. ეს ჩემი მოსაზრება კი არ არის, პავლე კუბლაშვილმა პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენ ცალ-ცალკე დავიწყებთ მოლაპარაკებებს პარტიებთანო. ეს მესიჯი გაგზავნა, რომ თუ ერთიანად ვერ გამარცხებთ, ცალ-ცალკე დაგამარცხებთო. ეს არის გათიშე და იბატონეს პრინციპი.

***— ალბათ, მოისმინეთ სააკაშვილის გამოსვლა, საკმაოდ ცინიკური იყო მისი ტონი-20 წელია დაახლოებით 30 პოლიტიკოსი ერთი და იგივ სახეები ტრიალებს და საზოგადოებისთვის ჭკუის სწავლებას ცდილობსო, მათ ულტიმატუმებზე ასეთი პასუხი გასცა სააკაშვილმა საჩხერიდან...***

— დიახ, სწორედ იმიტომ იყო ასეთი პასუხი, რომ ის ხედავს, რომ მათ უკან ძალა არ დგას. როდესაც ლაპარაკობს 20-30 წელიაო, ნუ დაავიწყდება, რომ თვითონ 16 წელია ხელისუფლებაშია. 2003 წლიდან რომ იწყებს ქვეყნის ისტორიას და თავის ხელისუფლების ისტორიას, ეს ასე არ არის. ის 1995 წლიდან რაც გამოჩნდა, მის შემდეგ სულ ხელისუფლებაშია, სულ პოლიტიკაშია და სულ ჭკუის დარიგებას ცდილობს. ასე რომ, სააკაშვილს სხვისთვის გასაშვერი ხელი ნამდვილად არა აქვს, ჯერ თავის თავს მიხედოს, როდესაც სხვებზე ლაპარაკობს. შესაძლოა სიმართლეს ამბობს, მაგრამ ეს სიმართლე მასაც ეხება, როდესაც ერთი და იგევე პოლიტიკოსები 16 თუ 20 წელი იქნება, რაც ჭკუას გვასწავლიან და მათ რიცხვში შედის სწორედ სააკაშვილიც.

***— როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ის თანამდებობის დამთმობი?***

— რა თქმა უნდა, არა, მაგისი ილუზია არავის არ უნდა ჰქონდეს. სააკაშვილისთვის თანამდებობის დათმობა ნიშნავს ციხეში წასვლას და სულელი ხომ არ არის, რომ ციხეში წავიდეს. არა მხოლოდ მას, არამედ მის ხელისუფლებას, მის მარჯვენა თუ მარცხენა ხელებს, მის გარემოცვას, უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი. შესანიშნავად იციან, რომ ობიექტური, მიუკერძოებელი გამოძიება და სასამართლო მათ აუცილებლად გაამწესებს ციხეში და რა თქმა უნდა, არ დათმობენ.

***— ამ ბოლო პერიოდში კიდევ უფრო ხშირად ისმის ვერსიები, რომ თითქოს მისი გუნდი დასავლეთისგან ითხოვს გარანტიებს, რომ სააკაშვილს მოიშორებენ, ოღონდ ისევ მათი გუნდიდან უნდა იყოს ვინმე ქვეყნის მმართველი. თქვენ რა ინფორმაციები გსმენიათ ამის თაობაზე?***

— რა თქმა უნდა, გარედან ამის დასაბუთებულად თქმა ძნელია, ამის დოკუმენტები არა გვაქვს, მუშაობენ ამ კუთხით თუ არა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვარაუდები გამოვთქვათ და ელემენტარული ლოგიკაც ამას ამბობს, რომ, რა თქმა უნდა, ისინი იმუშავებენ. შემთხვევით არ გამოეყო ბოკერიას ჯგუფი და ბოკერიას წინა პლანზე წამოწევა შემთხვევით არ მოხდა. სწორედ არის შიგნით ჯგუფი, რომელიც ყველანაირად ცდილობს შეინარჩუნოს ძალაუფლება თუნდაც სააკაშვილის გარეშე და ბოლო ბოლო სააკაშვილი ამაზე დათანხმდება, იმიტომ, რომ მას ურჩევნია მისმა გუნდმა შეინარჩუნოს ძალაუფლება, თუნდაც თვითონ დათმოს. საერთოდ მისი სურვილია, თვითონ დარჩეს ხელისუფლებაში, მაგრამ თუ ამას ვერ მიაღწევს, ის მაინც მოახერხოს, რომ მისი გუნდი, რომელიც მასთან ერთად არის დამნაშავე და ძალიან გასვრილი, ძალიან ბევრ დანაშაულში, მისი გუნდი მაინც დარჩეს ხელისუფლებაში, რაც მისთვის იქნება ხელშეუხებლობის გარანტია.

***— როგორ ფიქრობთ, მიიღებენ დასავლეთისგან მხარდაჭერას?***

— წელანაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ მხარდაჭერა ექნებათ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთს ისინი დაანახებენ, რომ მათ აქვთ ქართველი ხალხის მხარდაჭერა. ვინც დაანახებს დასავლეთს, რომ მას აქვს ქართველი ხალხის მხარდაჭერა, დასავლეთი დაეხმარება მას. ასე იყო ყოველთვის, ასე იყო იგივე შევარდნაძის გადაყენების დროს, სანამ სააკაშვილმა და ჟვანიამ არ დაანახეს დასავლეთს, რომ მათ ჰქონდათ ხალხის მხარდაჭერა, მანამდე ქმედითად, აქტიურად არ ჩარეულა დასავლეთი. ამერიკის სახელმწიფო ბოლომდე თავს იკავებდა აქტიურად ჩარევაში და რუსეთიც კი, როდესაც უკვე დაინახა ყველამ, რომ შევარდნაძე წამსვლელი იყო და ახალი ძალა მოდიოდა, მაშინ უკვე აშკარად დაუდგნენ გვერდით მათ, იქნებოდა ეს ამერიკა, რუსეთი, ყველა შეეცადა, რომ თავისი წილი მოგება ენახა ამ ახალი ხელისუფლების პირობებში და სხვათა შორის, ყველამ ნახა მისი წილი მოგება. ამერიკამაც, რუსეთმაც, თურქეთმაც და სომხეთმაც. ერთი საქართველომ ნახა ზარალი ამ ხელისუფლების პირობებში, თორემ ყველა სხვა სახელმწიფო, რომელთა ინტერესებიც საქართველოში იკვეთება, ამ ხელისუფლებით კმაყოფილია.

***— გიგა ბოკერიას გვერდით ფიგურირებს კახა ბენდუქიძე და ითქვა, რომ ეს ძალა დასაყრდენს რუსეთში ეძებსო...***

— საერთოდ ხელისუფლების წყარო, ყოველთვის ასე იყო, რომელი ქვეყანაც იძლევა ხელისუფლების მიღების თუ შენარჩუნების გარანტიას, იქით მიდის ის ძალა, რომელიც ცდილობს ამ ხელისუფლებაში მოსვლას. შორეული წარსული რომ არ გავიხსენოთ, სულ უახლოეს წარსულში, რუსეთში კომუნისტური რეჟიმის დროს, ცეკას მდივნები ყოველთვის მოსკოვის მხარდაჭერის მიღებას ცდილობდნენ ხოლმე. შემდეგ 90-იან წლებშიც შევარდნაძეც ცდილობდა, რომ იქიდან მიეღო მხარდაჭერა. როდესაც რუსეთი თანდათან დასუსტდა და ამერიკა გაძლიერდა ამ რეგიონში, ასეთ პირობებში უკვე ორივე გახდა ხელისუფლების წყარო, შევარდნაძემ ბალანსირება დაიწყო, მაგრამ როდესაც სააკაშვილმა და ჟვანიამ შესთავაზეს ამერიკას მხოლოდ მათ თამაშს ითამაშებდნენ, დაინახეს, რომ ხელისუფლების წყარო მხოლოდ ამერიკიდან მიეღოთ, ისინი გადავიდნენ მთლიანად იქით მხარეს. დღეს რადგანაც რუსეთიც აქტიური მოთამაშეა და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული, რა თქმა უნდა, რუსეთი არის ერთ-ერთი ფაქტორი, ერთ-ერთი წყარო ხელისუფლების მიღების და აქედან გამომდინარე, სულ არ მიკვირს, რომ რუსეთთანაც, ისევე როგორც დასავლეთთან იქნება მცდელობები, რომ მიიღონ მხარდაჭერა იმისათვის, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ თუ დარჩნენ ესა თუ ის პოლიტიკური ძალები. ეს კარგია თუ ცუდია, ეს მეორე საკითხია, თუმცა, ეს არის სამწუხარო რეალობა, რომელიც საქართველოს უდგას წინ და მას გვერდს ვერ აუქცევს.

***— ბატონო გელა, ასევე ოპოზიციის მეორე ნაწილზეც მინდა, რომ გკითხოთ რადიკალებზე. ამ ფლანგზე ორი ოპოზიციური ძალაა გამოკვეთილი, ქართული პარტია და ბურჯანაძე, რომლებიც რევოლუციებს აანონსებენ და მკვეთრ განცხადებებს აკეთებენ, თუმცა, მათ შორის მწვავე დაპირისპირებაა. ეს ყველაფერი ხელისუფლების წისქვილზე ხომ არ ასხამს წყალს?***

— რა თქმა უნდა, ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. მე იმედი მინდა ვიქონიო, რომ ორივე მხარეს ეყოფა გონიერება, რომ ეს პიროვნული ინტერესები უკანა პლანზე გადადონ. როგორც თქვენ თქვით, სრულიად ერთნაირი განცხადებები აქვთ, სრულიად სინქრონში იმეორებენ მოქმედებებს. იქ შეფიცულები, კომიტეტები თუ სხვადასხვა ჯგუფები, დაარსება თავისი ცენტრების სხვადასხვა რეგიონებში თუ მომზადება ამ საყოველთაო დაუმორჩილებლობისთვის, ეს ფაქტიურად არის კალკირებული ერთმანეთისგან და არა აქვს აქ მნიშვნელობა, რომელი რომელს ასწრებს, მთავარი არის ის, რომ ორივე ერთ აზრზეა, ერთ პოზიციაზეა და ასეთ შემთხვევაში მათი დაპირისპირება არა მხოლოდ ტრაგიკულია ოპოზიციისთვის, არამედ უკვე კომიკურ ხასიათს იძენს და ალბათ, ორივე მხარემ უნდა დათმოს ეს პიროვნული შეუთავსებლობა და წინა პლანზე დააყენოს ქვეყნის ინტერესები. ვიმეორებ, თუ ოპოზიცია არ იქნება ერთიანი ძალით ასეთ შემთხვევაში შანსიც არ იქნება. ერთიანი ძალისხმევის შემთხვევაში კი არის შანსი და არა გარანტია, რომ გამარჯვებას მიაღწევენ. ისე ცალ-ცალკე ამის შანსიც არ არის. თუ ოპოზიცია არ გაერთიანდება, ამ შემთხვევაში ხელისუფლების წისქვილზე დაასხამენ წყალს.

# ჩვენ ბრძოლა არ დაგვიმთავრებია

შორენა კოწოწაშვილი

**ახალი მემარჯვენეების წევრი მანანა ნაჭყებია პოლიტიკური რვიანის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს არ იღებს და აცხადებს, რომ პოლიტიკური რვიანის ბრძოლა დამთავრებული არ არის. ბრძოლა გრძელდება. მანანა ნაჭყებია მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამაც უნდა დათმოს რაღაც და ოპოზიციამაც.**

— კომპრომისებისთვის ხელისუფლებაც მზად უნდა იყოს და ოპოზიციაც, ოღონდ გააჩნია. არსებობს წითელი ხაზები, რომელი ხაზების იქეთაც, ალბათ, არც ერთი მხარე და არც მეორე არ უნდა გავიდეს და, უბრალოდ, ვერც გავა, — აცხადებს **მანანა ნაჭყებია** და რევოლუციაში ახალი მემარჯვენეების ჩართვას გამორიცხავს.

როდემდე უნდა გაგრძელდეს დიალოგი ხელისუფლებასთან და რა პრეტენზიები აქვთ პოლიტიკური რვიანის წევრებს მათთან?

*— ქალბატონო მანანა, რეალურად ჩიხურ მდგომარეობაში აღმოჩნდა თუ არა ოპოზიციური რვიანი ხელისუფლებასთან დიალოგის ფორმატში?*

— მე ვერ ვიტყოდი, რომ ეს მხოლოდ ოპოზიციური რვიანის საქმეა. თუ ეს პროცესი ჩაიშალა და თუ ეს პროცესი არ მივიდა საბოლოო დასასრულამდე, სამწუხაროდ, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ვერც ერთი მხარე ვერ იტყვის, რომ ის უკეთეს სიტუაციაში და უკეთეს მდგომარეობაშია. ამ სიტუაციამ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ოპოზიციაც და ხელისუფლებაც იმიტომ, რომ ზოგადად ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე პასუხს ყოველთვის ხელისუფლება აგებს. ამიტომაც განაცხადა ოპოზიციურმა რვიანმა, რომ ის სულაც არ აპირებს ხელისუფლებას მისცეს საბაბი თქვას, რომ ოპოზიციამ ჩაშალა მოლაპარაკების პროცესი. ამიტომაც ვაპირებთ, ჩვენ რომ გავაკეთოთ ახალი შეთავაზებები. ხელისუფლებამ გვიჩვენოს, როგორ აპირებს ის ამ შეთავაზებების დაკავშირებით, ასე ვთქვათ, თავი დაიძვრინოს.

*— ახალ შეთავაზებებში საარჩევნო გარემოს კუთხით ახალ წინადადებებს გულისხმობთ?*

— იცით, რა არის? თუკი საუბარია იმაზე, რომ პროცესი უნდა იყოს ორმხრივი და ორმხრივი კომპრომისების დაშვების, რა თქმა უნდა, ჩვენც ვეთანხმებით, რომ არ შეიძლება ყველაფერში, ვთქვათ, გავიდეს ის საკითხები და გავიდეს ისე, როგორც ეს ოპოზიციურ რვიანს უნდა. ან ყველაფერი გავიდეს ისე, როგორც ეს ხელისუფლებას უნდა. როდესაც ხელისუფლებამ ჩამოთვალა, რომ ჩვენ დავთმეთ ეს, დავთმეთ ეს, ეს არის ალბათ შევარდნაძის პერიოდიდან დაწყებული ყველაზე მნიშვნელოვანი და სერიოზული ცვლილებები. კი, ბატონო, ეს ცვლილებები იყო თავის დროზე და ასახავდა იმ რეალობას, რომელშიც ქვეყანა იყო. დღეს ქვეყანას სხვა ცვლილებები სჭირდება. აქედან გამომდინარე, კომპრომისებისთვის ხელისუფლებაც მზად უნდა იყოს და ოპოზიციაც, ოღონდ გააჩნია. არსებობს წითელი ხაზები, რომელი ხაზების იქეთაც ალბათ არც ერთი მხარე და არც მეორე, არ უნდა გავიდეს და უბრალოდ ვერც გავა. ხომ ცხადია და ერთმნიშვნელოვნად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყანაში 2002 წლიდან, ზუსტად შეიძლება დააზუსტონ სპეციალისტებმა, არ ჩატარებულა აღწერა და არავინ არ იცის, რამდენი მილიონი ადამიანი ცხოვრობს ქვეყანაში. შესაბამისად, არავინ არ იცის, რამდენი მილიონი ამომრჩეველია. როდემდე უნდა გახდეს ეს დავის და კამათის საგანი და როდემდე უნდა ვიმკითხაოთ, რამდენი ამომრჩეველია ქვეყანაში? ხომ უნდა აღიაროს ხელისუფლებამ, რომ ქვეყანაში ამომრჩეველთა რაოდენობა დასადგენია. როგორი ფორმით დავადგენთ ამომრჩეველთა რაოდენობას ბიომეტრიული თუ სხვა უფრო ნაცადი ფორმით, კი ბატონო, ამაზე მოვილაპარაკოთ. თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ ბიომეტრიული არის ყველაზე მარტივი, ყველაზე იაფი და ყველაზე ხელსაყრელი გზა. თუ რამე უკეთესის შემოთავაზება შეუძლია ხელისუფლებას სიების დაზუსტებასთან დაკავშირებით, ჩვენ მზად ვართ მოვისმინოთ. ასევე მეორე წითელი ხაზი ალბათ არის სისტემა. დღეს ხელისუფლების მხრიდან აქვს სპეკულაციებს ადგილი და პრეზიდენტმა მუხრან მაჭავარიანის მეზობლებთან საუბრისას მოიხსენია, როგორც სისულელე ის, რომ ოპოზიციას თითქოს სურს, რომ რაიონები მაჟორიტარი დეპუტატების გარეშე დატოვოს. არავის ასეთი სურვილი არ აქვს. პირიქით, ჩვენი შეთავაზება შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატი და რაც მთავარია, ნდობით აღჭურვილი დეპუტატი ჰყავდეს რაიონებს. ხოლო ხელისუფლება უკან დგამს ნაბიჯს და ამბობს, რომ ეს უნდა იყვნენ ის ადამიანები, ვისაც ამომრჩეველთა 70%-ის მხარდაჭერა არ აქვს. დღეს არსებული სისტემა, ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ნიშნავს სწორედ ამას, რომ მაჟორიტარი დეპუტატები არიან ის ადამიანები, ვისაც მხარი არ დაუჭირა რაიონის ამომრჩეველთა 70-მა პროცენტმა და დაუჭირა მხოლოდ 30%-მა. ჩვენ გვინდა, რომ ეს ადამიანები იყვნენ უფრო მეტი ნდობით აღჭურვილი და უფრო რეალურად გამოხატავდნენ თავიანთი რაიონების ინტერესებს. დღეს თუ ვინმე მეტყვის რომელიმე მაჟორიტარ დეპუტატს, რომელიც არის აქტიური და რომელიც იცავს თავისი რაიონის მოსახლეობის ინტერესებს. მე არ ვლაპარაკობ პარლამენტის ვიცე-სპიკერზე ან უმრავლესობის ლიდერზე, რომელსაც ეს აქტივობა ისედაც ევალება თავისი თანამდებობიდან გამომდინარე. არავინ არ იცის, ვინ რომელი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატია. იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი არ დამდგარა მიკროფონთან და არასოდეს დაუცავს თავისი რაიონის ინტერესები. მე ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: მე ხელთ მაქვს მაჟორიტარი დეპუტატების წერილები განათლების მინისტრ შაშკინისადმი, რომ ისინი არ ეთანხმებიან მათ რაიონში პროფესიული სასწავლებლების დახურვას იმიტომ, რომ ის სჭირდება რაიონის მოსახლეობას. მაგრამ არც ერთ მათგანს ამაზე ხმამაღლა, პარლამენტის მიკროფონიდან არ უთქვამს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ აქ არიან ადამიანები, რომლებიც თავიდან ბოლომდე არიან კომფორმისტები და არიან ხელისუფლების სამსახურში. ეს ორი მომენტი თუ შეთანხმდა, დანარჩენი არის ჩვეულებრივი ყოველდღიური რუტინა, ანუ რამდენდღიანი შეიძლება იყოს გასაჩივრების ვადა, სასამართლო და ა.შ. ამაზე ყველაფერზე შეიძლება მოლაპარაკება. ამ ორ საკითხზეც შეიძლება მოლაპარაკება, ოღონდ ხელისუფლებამაც რაღაც უნდა დათმოს და ოპოზიციამაც.

*— სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს აინტერესებთ ვადები, როდემდე აპირებს ოპოზიციური რვიანი ხელისუფლებასთან დიალოგის გაგრძელებას საარჩევნო გარემოზე. დაუსრულებლად ხომ არ გაგრძელდება ეს პროცესი? ბრძოლის ალტერნატიულ გზებს განიხილავთ?*

— თავიდანვე იყო დათქმული, რომ ეს პროცესი არ შეიძლება უვადოდ გაგრძელდეს. ვადასთან დაკავშირებითაც იყო ნათქვამი, რომ ეს მაისის ბოლომდე უნდა დამთავრდეს. ეს ყველაფერი ჯერჯერობით ძალაში რჩება. თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რაღაც განხეთქილების ვაშლად შეიძლება არ იქცეს და ერთი-ორი თვით გახანგრძლივდეს ვადაც. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს უსაზღვროდ არ შეიძლება გაგრძელდეს. იმიტომ, რომ ოპოზიციამ უნდა იცოდეს, ბრძოლის რა ფორმებით, რა სისტემით და როგორი სიებით მიდის ის ამ არჩევნებზე. საზოგადოებამაც, ამომრჩეველმაც უნდა იცოდეს, რა არის ეს. კიდევ ერთხელ ვამბობ, მაისი პლუს ერთი თვე, მაისი მინუს ერთი თვე შეიძლება არ იყოს რაღაც განხეთქილების საბაბი, მაგრამ განხეთქილება აუცილებლად იქნება, თუ ხელისუფლება უსაგნოდ ეცდება, რომ ჩვენო მოლოდინი გამოსცადოს და ვადები იქეთ უსაზღვროდ გადასწიოს. რაც შეეხება ბრძოლის სხვა მეთოდებს, ახალმა მემარჯვენეებმა, მე მგონი, მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე დავამტკიცეთ, რომ ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ ვიცვლით შეხედულებას და არავითარ შემთხვევაში ხელს არ შევუწყობთ მოვლენების რევოლუციურად განვითარებას. ჩვენ მომხრე ვართ მხოლოდ იმის, რომ ხელისუფლება ამ ქვეყანაში ერთხელ მაინც, ისევე როგორც ეს ხდება დემოკრატიულ სახელმწიფოებში, შეიცვალოს არჩევნების გზით. ჩვენი სტრატეგია არის ეს. თუ ვინმეს აქვს სხვა რაიმე უკეთესი გზა, მას შეუძლია ეს გზა მოიყვანოს რეალობაში და გააკეთოს ეს ყველაფერი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამაში ხელს არ შევუშლით. ასე საკითხის დაყენება, რომ თუ ეს არ გამოვა გვიჩვენოს რა იქნება, საბოლოოდ მინდა ყველა დავარწმუნო, რომ ეს იქნება ბრძოლა; უკომპრომისო ბრძოლა ხელისუფლებასთან; ბრძოლა იმისთვის, რომ არჩევნების გზით შევცვალოთ ისინი და ქვეყანაში მოვიდეს ხალხის ნდობით აღჭურვილი ხელისუფლება. რეალური გეგმა, რაც ყველაზე მთავარია, როგორ აპირებს ის ქვეყანაში ცვლილებების განხორციელებას, პირველ რიგში, ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან დაკავშირებით, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსთან დაკავშირებით, დემოკრატიასთან დაკავშირებით და რაც ყველაზე მთავარია, ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით. იმიტომ, რომ თუკი რაიმე დემოკრატიასთან ერთად დღეს სავალალო მდგომარეობაშია, ეს არის ეკონომიკა.



*— თუკი ეძებს ოპოზიციური რვიანი გზებს, არსებობს თუ არა მოლაპარაკებები სხვა ოპოზიციურ ძალებთან რაღაცა სხვა შეთანხმებულ კოორდინირებულ მოქმედებებზე და რაღაცა ერთობლივ სამოქმედო გეგმებზე თუ არის საუბარი და რაღაცა თანხვედრაში იყოს სხვადასხვა ძალების მოქმედებები?*

— ოპოზიციური რვიანი არის კოორდინირებული მოქმედების საუკეთესო მაგალითი იმიტომ, რომ აბსოლუტურად ყველა ნაბიჯი ითვლება შეთანხმებულად და კოორდინირებულად. თუ რვიანს მიღმა არსებული სხვა პოლიტიკური ძალები იზიარებენ ამ ქვეყანაში საარჩევნო გარემოს შეცვლას, იმ ექვსივე მახასიათებლის მიხედვით, რომელიც ჩვენ წარვადგინეთ, კი ბატონო, მათთანაც შეიძლება ჩვენი ხედვების შეჯერება. ჩვენ არა გვაქვს რაღაც ახირება, რომ გინდა თუ არა, მხოლოდ ოპოზიციური რვიანის წინადადებები იქნას განხილული. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ოპოზიციურ რვიანს აქვს ნათელი ზედა და ჩამოყალიბებული მკაფიო ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს საარჩევნო გარემო ქვეყანაში და თუ ამ ხედვას ეტყობა სხვა ოპოზიციური ძალების ხედვა, რა თქმა უნდა, შეიძლება ეს იყოს ჩვენი ერთიანი ხედვა და ჩვენი ერთიანი პლატფორმა. თუ ვინმეს უკეთესი ხედვა აქვს აი, ამ საკითხებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ესეც მისაღები იქნება. ასე რომ, ჩვენ არც დანარჩენ ოპოზიციასთან ვართ კონფლიქტურად განწყობილი და არც ხელისუფლებასთან. ჩვენ გვაქვს ერთი საბოლოო მიზანი: ნორმალური საარჩევნო გარემო ამ ქვეყანაში.

*— არსებობს მოსაზრება, რომ პოლიტიკურმა რვიანმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა დროის გაჭიმვაზე, საზოგადოებაში გაღრმავებულ ნიჰილიზმზე. თავიდანვე იკვეთებოდაო, რომ შედეგის მომტანი არ იქნებოდა ეს მოლაპარაკებები?*

— მე მივიღებდი ამ საყვედურებს, თუ დავინახავდი, რომ ოპოზიციურმა რვიანმა ხელები ჩამოყარა და ბრძოლას თავი დაანება, მე მგონი, პროექტი ნათელია. ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას. ამიტომ, საყვედურები არის უადგილო. ეს იწვევს საზოგადოებაში ნიჰილიზმს. ჯერ არაფერი არ არის დამთავრებული და ნამდვილად ვერ მივიღებთ აი, ამ ხედვას, რომ ეს ისედაც ცნობილი იყო, ასე რომ მოხდებოდა. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ბრძოლა დამთავრებული არ არის. ბრძოლა გრძელდება.

„%!!

# საქართველოში ჯეიმს აპატურაი ჩამოდის

**საქართველოში ორდღიანი ვიზიტით 7-8 აპრილს ნატოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში აპატურაი შეხვედრებს გამართავს ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან და ოპოზიციის ლიდერებთან.**

ნათია ხურცილავა

ჯეიმს აპატურაის პირველი ვიზიტია ახალ თანამდებობაზე საქართველოში. როგორც ცნობილია, აპატურაი საქართველოში მარტის ბოლოს უნდა ჩამოსულიყო. თუმცა, ლიბიაში განვითარებული მოვლენების გამო მისი ვიზიტი 7 აპრილამდე გადაიდო.

რა წინადადებებით ჩამოვა საქართველოში აპატურაი, ცნობილი არ არის. თუმცა, საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ როგორც კომისიასთან, ასევე ნატოსთან ურთიერთობისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს დააყენებენ სპეციალურ წარმომადგენელთან ქართველი მინისტრები.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ აპატურაი რამდენიმე მინისტრთან და უშიშროების საბჭოს მდივანთან გიგა ბოკერიასთან გამართავს შეხვედრას.

— ჯეიმს აპატურაი საქართველოში მაღალი რანგის შეხვედრებს გამართავს. ვიზიტი რამდენიმე დღით გადაიდო. თუმცა, როგორც აღვნიშნე, 7 აპრილს განახლდება. მთელი რიგი შეხვედრები არის დაგეგმილი. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში ყველა იმ საკითხის წამოჭრას შევძლებთ, რომელიც მიმდინარე პერიოდისთვის იქნება მნიშვნელოვანი. მათ შორის მოვისმენთ სპეციალური წარმომადგენლის წინადადებებსაც, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გრიგოლ ვაშაძე განაგრძობს ვიზიტს. ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ ვაშაძემ ვიზიტი ესპანეთის სამეფოში განაგრძო, სადაც მან შეხვედრა თავის უშუალო კოლეგასთან გამართა.

— ამ შეხვედრებზე განიხილება ყველა მნიშვნელოვანი ორმხრივი საკითხი. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ევროპელმა კოლეგებმა იცოდნენ და საქმის კურსში იყვნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობაზე. ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში არ არის ნამყოფი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი სრული ინფორმირება მოხდეს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, — განაცხადა კალანდაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე გამართავს შეხვედრას ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარესთან, სადაც, როგორც მინისტრის მოადგილე აღნიშნავს, განხილული იქნება საპარლამენტო თანამშრომლობის საკითხები.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, კალანდაძის განცხადებით, განაგრძობს პოლიტიკურ კონსულტაციებს ევროკავშირის წარმომადგენლებთან. როგორც ცნობილია, მიმდინარე კვირას პოლიტიკური კონსულტაციები დაგეგმილია ესტონეთის წარმომადგენლებთან. კალანდაძის ინფორმაციით, დაგეგმილია ესტონეთის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში და ქართული დელეგაციის ვიზიტი ლატვიაში.

ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჟურნალისტებმა სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით დაუსვეს კითხვა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის ფედერაცია გაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე კაზინოების ქსელის აშენებას აპირებს. აღნიშნულ საკითხზე საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, როგორც სხვა დანარჩენ არალეგიტიმურ ქმედებებთან დაკავშირებით უარყოფითია.

— სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით მოკრძალებული პოზიცია გვაქვს. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ, ჩვენი წუხილი გვაქვს სწორედ იმის გამო, რომ იქ ხდება როგორც ბუნებრივი რესურსების უკანონო მოხმარება, ასევე შესაბამისი საფრთხის წინაშე დაყენება იქაური ეკოლოგიის. შესაბამისად ჩვენს შეშფოთებას გამოვთქვამდით და ახლაც გამოვთქვამთ, მიუხედავად ყველაფრისა, მაგრამ მხოლოდ საქართველო არ აყენებს მსოფლიოს საქმის კურსში ამ საკითხთან დაკავშირებით, ისინი თავად არიან საკმარისად ინფორმირებულები ამის შესახებ. საკმარისი შეშფოთება გამოითქმის ამის თაობაზე და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ პროცესების შეფერხება, ყოველ შემთხვევაში, ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევა მოხდება, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

რუსული ინტერნეტ გამოცემა ავრცელებს ინფორმაციას, რომ ისრაელი აფხაზეთთან ურთიერთობას იწყებს და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობა განიხილება.

არაოფიციალური ინფორმაციით, ისრაელის დელეგაცია აფხაზეთში უკვე იმყოფებოდა.

როგორია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია აღნიშნულ საკითხზე და რამდენად რეალურია აღნიშული ურთიერთობის დამყარება?

— ჩვენ არ ვფლობთ ინფორმაციას, რაიმე სახის დელეგაცია იმყოფებოდა თუ არა აფხაზეთში. თუ იმყოფებოდა, როგორც საინფორმაციო წყარო იუწყება, ეს იყო არაოფიციალური ვიზიტი, რომელსაც, რასაკვირველია, ჩვენ ამ ფორმით ვერ შევიტყობთ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველთვის ვახდენთ რეაგირებას ასეთ ფაქტებზე. განურჩევლად იმისა, თუ რა სახით ვრცელდება ეს ინფორმაცია. ვესაუბრებით ყველა სახელმწიფოს, არა მხოლოდ ისრაელს, არამედ ნებისმიერ სახელმწიფოს, სადაც აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე როგორც ბიზნეს წრეებს, აქვთ მცდელობა, რომ ოფიციალური ურთიერთობები დაამყარონ სხვადასხვა სუვერენულ სახელმწიფოსთან. ამის მიმართ სახელმწიფოებს ძალიან მკაფიო პოზიცია გააჩნიათ და შეძლებისდაგვარად თვალყურს ადევნებენ. შესაბამისად მადლიერები არიან თუ მიიღებენ ჩვენი მხრიდან შესაბამის ინფორმაციას. ჩვენ ასეთ ინფორმაციაზე დაყრდნობით განგაშს არ ვტეხთ, მაგრამ საქმის კურსში ვაყენებთ სახელმწიფო წარმომადგენლობას და ყოველთვის ხდება ასეთი ფაქტების აღმოფხვრა. თუმცა, უმეტეს წილად უნდა ვთქვა, რომ ამ ტიპის ინფორმაცია, როგორც წესი, არ დასტურდება ხოლმე. ანუ ოფიციალური წყაროები ასეთ ინფორმაციას არ ადასტურებენ, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

ჰააგის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით კალანდაძემ სამინისტროს ოფიციალური პოზიცია გაახმოვანა.

— ჩვენ ველოდებით, ოფიციალურად გამოქვეყნდეს გადაწყვეტილება. საინტერესო არის ის, რომ ევროპის წამყვანმა ბევრმა მოსამართლემ განსხვავებული მოსაზრება დაწერა. რამდენიმე მოსაზრება იურიდიული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. გამოვყოფდი გერმანელი მოსამართლის განსხვავებულ მოსაზრებას. მკაფიოდ არის ასახული როგორც ქართული პოზიციები, ისე ადეკვატურად არის გაზიარებული ქართული მხარის არგუმენტაცია ყველა საკითხზე, რომელიც პროცესის მიმდინარეობისას იყო დაყენებული. სასამართლო პროცესი ამ ეტაპზე აღარ გაგრძელდება, რადგან გადაწყვეტილება მიღებულია და აღარ გაგრძელდება. ჩვენს საქმიანობას ეს არაფერს ვნებს. მიუხედავად ამისა, უწყვეტ დიალოგში ვიმყოფებოდით, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის, ისე რუსეთის ფედერაციასთან. მართალია შუამავლების მეშვეობით, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი დიპლომატიური მცდელობა, ადრე თუ გვიან, შედეგს გამოიღებს. თუ ეს მცდელობა კვლავაც წარუმატებელი დარჩება, რასაკვირველია, ქართული მხარე არ გამორიცხავს, რომ კვლავ მიმართოს სამართლებრივ გზებს, — განაცხადა კალანდაძემ.

# ლაშა ბაქრაძე: „ვისურვებდი, მაგთიკომის მაგალითს მიბაძონ და ქართულ ხელოვნებას ყველა გვერდში დაუდგეს“

## დევიზი — „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ — მაგთიკომის მიერ არჩეული პროექტების მრავალფეროვნებასა და აუცილებლობაზე მიუთითებს

**„ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ — სწორედ ამ ლოზუნგს უნდა პასუხობდეს პროექტი, რომ მაგთიკომმა მის განხორციელებას მოჰკიდოს ხელი. მთავარია, ამ პროექტით გათვალისწინებული საქმე საქვეყნო და საერო იყოს. საქართველოში კი ჯერ-ჯერობით საკეთებელი საკმაოდ ბევრია და, შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები მრავალფეროვნებით ხასიათდებიან და თავისი მნიშნელობით გამოირჩევიან. ასე აირჩა და დაფინანსდა მაგთის მიერ ის ღონისძიებები, რომელთა დამფასებლები ზოგჯერ საკმაოდ ვიწრო წრეს ქმნიან, თუმცა ყველამ ვიცით, რომ ასეთი ღონისძიებების წყალობით განადგურებას გადაურჩა და შევინარჩუნეთ ქართული კულტურის დიდი ნაწილი, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები...**
**ბევრ საგამომცემლო სახლს დაამშვენებდა იმ წიგნების ჩამონათვალი, რომელთა გამოცემაც მაგთიკომმა დააფინანსა. „მაგთის ბიბლიოთეკაშია“ გურამ დოჩანაშვილის, გურამ ასათიანის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და ჭაბუა ამირეჯიბის გამოცემები, ირაკლი ფარჯიანის, რადიშ თორდიას, თემო ჯაფარიძის, მერაბ აბრამიშვილის უნიკალური კატალოგები...**
**ამ დღეებში მაგთის ბიბლიოთეკას შეემატა განსხვავებული, ისტორიული ჟანრი, მაგთიკომის თხოვნით და სრული დაფინანსებით საქართველოს მეცნიერებათა აკადებიაში შექმნილმა ჯგუფმა მოამზადა საქართველოს უახლესი ისტორიის 1990-1991 წწ. ორტომეული.**

2003-2011 წლებში მაგთიკომმა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმითან ერთად გამოსცა



რამოდენიმე წიგნი, რომელთა პრეზენტაციაც მაგთისეულ სტილში მაგთიკლუბში შედგა. ამჟამად მაგთიკომისეული ბიბლიოთეკა ქართველი კლასიკოსებით, 1924 წელს გამოცემული ჟურნალის H2SO4-ის რეპრინტით, ფუნაგორიებითა და 1910-1920-იანი წლების ლიტერატურული ჟურნალების პირველი წიგნით შეივსო, კერძოდ, პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნა:

**გალაქტიონ ტაბიძის** საარქივო ოცდახუთტომეული (დაიბეჭდა 2003 — 2008 წლებში) რომელშიც თავმოყრილია ლექსები, პოემები, უბის წიგნაკები, სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები, ლიტერატურული წერილები და ეტიუდები, გამოსვლები, პირადი და ოფიციალური მიმოწერა, განცხადებები, ჩანახატები; პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ესსეები და სამეცნიერო გამოკვლევები. გამოცემას თან ერთვის ხელნაწერთა აღწერილობა, აუცილებელი შენიშვნები, ვარიანტები და ნაწარმოებთა ანბანური საძიებელი; ფოტოები, ავტოგრაფები და მემორიალური ნივთების რეპროდუქციები. გამოცემა მეტად მნიშვნელოვანია როგორც მასალის სიუხვითა და მრავალფეროვნებით, ასევე ტექსტებისა და ჩანახატების უმრავლესობის პირველი პუბლიკაციით.

**ილია ჭავჭავაძის** საარქივო გამოცემა (დაიბეჭდა 2010 წელს), რომელშიც თავმოყრილია ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ლექსები, პოემები, თარგმანები, პუბლიცისტური და პირადი წერილები, ჩანაწერები. წიგნას თან ერთვის ავტოგრაფები, მუზეუმის იკონოგრაფიულ კოლექციაში დაცული ფოტოები და მემორიალური ნივთები, ხელნაწერთა აღწერილობა, ლექსთა ყველა განსხვავებული ვარიანტი და კომენტარები.

**აკაკი წერეთლის** საარქივო გამოცემა ორ წიგნად (დაიბეჭდა 2010 წელს), რომელშიც წარმოდგენილია ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ლექსები, პოემები, პროზაული ნაწარმოებები, თარგმანები, დრამები, პუბლიცისტური წერილები, პირადი მიმოწერა, სიტყვები და დოკუმენტები. წიგნს თან ერთვის ავტოგრაფები, მუზეუმის იკონოგრაფიულ კოლექციაში დაცული ფოტოები და მემორიალური ნივთები, ხელნაწერთა აღწერილობა, აუცილებელი შენიშვნები და პირთა ანბანური საძიებელი.

**ფუნაგორიების კრებული:** (გამოიცა 2011 წელს) მკითხველებს სთავაზობს დღემდე უცნობ ფუნაგორიებს (სახუმარო სალაღობო ლექსებს და ენამოსწრებულ, გესლიან ეპიგრამებს). ხელნაწერი კრებული, რომელიც ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში არის დაცული, შედგენილია ნიკოლოზ აგიაშვილის მიერ, ლადო ასათიანისა და კარლო კალაძის რედაქტორობით. წიგნში თავმოყრილია გალაქტიონ ტაბიძის, კალაუ ნადირაძის, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ნიკა აგიაშვილის, ირაკლი და გიორგი აბაშიძეების, კარლო კალაძის, დავიტ გაჩეჩილაძის და სხვა ფუნაგორიები. კრებულს თან ერთვის ოსკარ შმერლინგის, დონის (დავით ნაცვლიშვილის), ირაკლი გამრეკელის, გალაქტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის, აკაკი ბელიაშვილის, კარლო კალაძის, გიგლა ფირცხალავას, თენგიზ გოგოლაძის, ირაკლი ჯანაშვილის შარჟები.

**ჟურნალი „H2SO4“ — 1924 წელს გამოცემული ჟურნალის რეპრინტი (დაიბეჭდა 2011 წელს), რომელშიც წარმოდგენილია ქართველი ფუტურისტ-ლეფელ (ხელოვნების მემარცხენე ფრონტი) მწერალთა და მხატვართა — სიმონ ჩიქოვანის, ნიკოლოზ ჩაჩავას, ირაკლი გამრეკელის, ბენო გორდეზიანის, ბიძინა აბულაძისა და პავლო ნოზაძის შემოქმედება.**

**1910-1920-იანი წლების ლიტერატურული ჟურნალების პირველი წიგნი: (დაიბეჭდა 2011 წელს) აერთიანებს 1913-1918 წლების პერიოდულ გამოცემებს „ოქროს ვერძი“, „ცისფერი ყანწები“, „საფირონი“, „ლეილა“, „პრომეთე“, „აისი“ და „შვიდი მნათობი“- ყველა ნომერი თავისი ილუსტრაციებით.**

**გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ლაშა ბაქრაძე:** „ლიტერატურის მუზეუმს კომპანია „მაგთიკომთან“ დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია დღევანდელი ჩვენი პრეზენტაცია. თუმცა მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ურთიერთობა ამით არ მთავრდება — ჩვენ ერთობლივად კიდევ ბევრი და საინტერესო წიგნის გამოცემას ვაპირებთ.

მე კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, „მაგთის“ მიერ შეტანილ წვლილს ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს ეროვნული ღირებულების მქონე საქმეში. ვისურვებდი, რომ მაგთიკომის მაგალითს მიბაძოს ყველამ და ქართულ ხელოვნებას გვერდში დაუდგნენ.

ჩვენთან, ლიტერატურის მუზეუმში კიდევ უამრავი პროექტები არსებობს, თუმცა ფინანსური სიდუღჭირის გამო ხშირად ვერ ვახერხებთ ამ პროექტების განხორციელებას. ძალიან კარგი იქნება, თუ ის კომპანიები რომლებიც გამუდმებით საუბრობენ, რომ ქართული კულტურა



მათთვის მნიშვნელოვანია და მისი ბედი ანაღვლებთ, მიბაძონ კომპანია „მაგთიკომს“ და შეიტანონ თავიანთი წვლილი მართლაც საქვეყნო საქმეში.

რაც შეეხება თვითონ ჩვენს გამოცემულ წიგნებს. მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძე: გალაკტიონის 25 ტომიანი, ყველაზე დიდი გამოცემაა, რაც კი ოდესმე გამოსულა საქართველოში. შესაბამისად ყველაზე სრული — თავისი ფოტოებით, ფაქსიმილიებით ხელნაწერებით, ჩანახატებით. სადაც არა მხოლოდ ლექსებია არამედ, მისი წერილებიც, ჩანაწერებიც და ა.შ.

ასევე გვაქვს აკაკი და ილიას საარქივო გამოცემის წიგნები, რომელშიაც არის სხვადასხვა ვარიანტები, სხვადასხვა ლექსებისა, იმ მასალის მიხედვით, რომელიც ჩვენთან ლიტერატურის ეროვნულ მუზეუმში ინახება.

გამოვეცით ლიტერატურული ჟურნალების ოთხტომეულის პირველი ტომი, რომელშიც თავმოყრილია ათიანი და ოციანი წლების ლიტერატურული ჟურნალები თავიანთი მთელი შინაარსით. თუ მანმადე მსგავსი მასალის სანახავად გვიწევდა სხვადასხვა ბიბლიოთეკებში სიარული, დღეს ამ გამოცემების მეშვეობით ეს ყველაფერი აბსოლუტურად ყველა ჩვენი მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდა. თანაც მინდა ავღნიშნო, რომ ყველა ჟურნალის ნომერი რომელიც ამ გამოცემაში არის მოცემული საჯარო ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჟურნალი „H2SO4“, ეს არის ერთერთი ყველაზე საინტერესო ქართული ავანგარდული ჟურნალი, რომელიც ვიზუალურად ძალიან საინტერესოა არამხოლოდ ქართველებისათვის არამედ ასევე უცხოელებისთვის.

ახლახანს გამოვეცით და პრეზენტაციაც გვქონდა ფუნაგორიების. ასეთი სახის წიგნი საქართველოში პირველად გამოიცა. წიგნი ძალიან კარგი ხარისხისაა და გაფირმებულია თავისი კარიკატურებით.

ლიტერატურის მოყვარულებს ამ წიგნების შეძენა შეეძლება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში და ასევე წიგნების მაღაზიებში.

დაბოლოს, მაგთის დახმარებით კეთდება ლიტერატურული მუზეუმის პირველი ინტერნეტ ვებ გვერდი, რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდება ყველა ის უნიკალური საარქივო მასალა და ექსპოზიცია, რომელიც აქამდე მათთვის უცნობი იყო. მიმაჩნია, რომ ეს თავისთავად არის იმ ფასდაუდებელი ქართული ფასეულობების პოპულარიზაცია და პროპაგანდა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი კულტურის რეკლამირებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ“.

**მწერალი, გივი შახნაზარი:** დღევან-



დელი დღე მართლაც უმნიშვნელოვანესია საქართველოს ისტორიაში. მოხარული ვარ, რომ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გვერდში უდგას კომპანია „მაგთიკომი“. ჩემთვის ნამდვილად საამაყოა, რადგან ჩვენი ეროვნული ღირებულებები და საგანძური სწორედ იმ ადამიანებმა უნდა დაიცვან, ვისაც ამის ძალა შესწევს.

მე „მაგთიკომის“ საქმიანობას ყოველთვის ვადევნებდი თვალს და მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ ამ კომპანიამ თავის დაარსების დღიდანვე საქართველოსათვის უამრავი და მართლაც ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიება ჩაატარა.

მინდა მათ მადლობა გადავუხადო საქართველოს ხელოვნების განვითარებაში შეტანილი მართლაც უდიდესი წვლილისთვის და ვუსურვო წარმატებები.

**კომპანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი, ქეთი ნაცვლიშვილი:** „როგორც მოგეხსენებათ „მაგთიკლუბში“ მსგავსი შეკრება პირველად არ ხდება. ამგვარი ღონისძიებები უკვე ერთგვარ ტრადიციადაც ვაქციეთ.

დღევანდელი დღე განსაკუთრებულია იმით, რომ ჩვენ ლიტერატურის ეროვნულ მუზეუმთან ერთად გამოვეცით ძალიან სერიოზული, უნიკალური წიგნები. ეს არის გალაკტიონ ტაბიძის 25 ტომეული ასევე აკაკისა და ილიას საარქივო მასალები, საქართველოს ათიანი და ოციანი წლების ლიტერატურული გაზეთების კრებულის პირველი ტომი, ასევე მზადდება მეორე ტომიც, რომელიც უახლოვეს მომავალში გამოიცემა. ფუნაგორიები, რომელსაც საზოგადოება პირველად გაეცნობა ვინაიდან ეს მასალები ლიტერატურული მუზეუმის არქივში ინახებოდა და ეს მართლაც უნიკალური შემთხვევაა „H2SO4“ 1924 წელს გამოცემული ჯურნალის რეპრინტი, რომელშიც წარმოდგენილია ქართველი ფუტურისტ-ლეფელ მწერალთა შემოქმედება.

მაგთიკომი როგორც ყოველთვის ქართულ საქმეს აკეთებს და ჩვენ მუდამ იქ ვართ, სადაც ქვეყანას ყველაზე მეტად ვჭირდებით. ვაკეთებთ იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი, ფასეული და ღირებულია. სწორედ ამიტომ ჩვენი ურთიერთობა ლიტერატურულ მუზეუმთან, რომელიც წლების წინ დაიწყო, მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება“.

**სიტყვიერი კომენტარის გაკეთებას თავი აარიდა მწერალმა დავით ტურაშვილმა, თუმცა მეტად მეტყველი იყო მისი საქციელი: პრეზენტაციაზე მოსულმა მწერალმა ერთი კი შეიცხადა, რატომ გაყიდვა აქვე არ ხდებაო და ისე ჩააფრინდა ფუნაგორიების კრებულს, რომ კომპანიის წარმომადგენელს მისთვის წიგნის ჩუქების გარდა სხვა არა დარჩენოდა რა. მხოლოდ ჯურნალისტი გოგონასთვის („ჭეშმარტი მკითხველისთვის“, — მწერლისეული დახასიათებით) შესძლო ტურაშვილმა მცირე ხნით ფუნაგორიების დათმობა — სულ რამოდენიმე წუთით და ისიც მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.**

*თამუნა ღონღაძე*

მაგთი
MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

# კალმახელიძის მეთოდებს გერმანელები საკონცენტრაციო ბანაკებშიც არ იყენებდნენ

**ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის ხათუნა კალმახელიძის თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვს. ხათუნა კალმახელიძის თანამდებობიდან წასვლა დეპუტატმა ცაგარეიშვილმა მას შემდეგ მოითხოვა, რაც სახალხო დამცველის ანგარიშს გაეცნო.**



ნანა მიშელაშვილი

გიორგი ტუღუშმა პარლამენტს 2010 წლის ანგარიში წარუდგინა, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას შეეხება. ანგარიში პარლამენტში 31 მარტს შევიდა და მას დეპუტატები უკვე ეცნობიან.

გუშინ გიორგი ცაგარეიშვილმა პარლამენტში ბრიფინგი გამართა და საკმაოდ კატეგორიული განცხადებები გააკეთა. ოპოზიციონერი დეპუტატი პარლამენტს სახალხო დამცველის ანგარიშების მხოლოდ ცნობად მიღების მავნე ტრადიციის დარღვევას ურჩევს და უმრავლესობას მოუწოდებს, ხათუნა კალმახელიძის და სხვა თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი დააყენონ. ცაგარეიშვილის შეფასებით, სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილი ფაქტების თანახმად ირკვევა, რომ ხათუნა კალმახელიძე პენიტენციალურ სისტემას გებელსის მეთოდებით მართავს. მისივე თქმით, სახეზეა ფაშისტური და სადისტური მეთოდების გამოყენება.

დეპუტატმა სახალხო დამცველის ანგარიშიდან გეგუთის ნომერ მე-14 და ქსნის მე-15 საპატიმროების მაგალითი მოიყვანა, სადაც გასულ წელს სპეცნაზის კორიდორში პატიმრები გაატარეს და სცემეს.

დეპუტატის განცხადებით, 2010 წლის გეგუთის მეთოთხმეტე ნახევრად ღია თავისუფლების დაწესებულებაში სპეცრაზმი შეიჭრა და ეგზეკუცია მოუწყო. მათ 200 პატიმარი დააყენეს და სპეცრაზმის კორიდორში გაატარეს, რომლის დროსაც სცემდნენ რეზინისა და ხის ხელკეტებით. დეპუტატის თქმით, 2010 წლის 19 აგვისტოს ქსნის მე-15 დაწესებულებაში გააშიშვლეს პატიმრები და ასევე სპეცრაზმის კორიდორში გაატარეს.

ცაგარეიშვილმა მინისტრ კალმახელიძის განცხადების აბსურდულობაზეც ისაუბრა. კერძოდ, ალასანიას პარტიის წევრი ამბობს, რომ მას მინისტრმა განუცხადა, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში პატიმრები მხოლოდ ხანდაზმულობის შედეგად კვდებიან.

ცაგარეიშვილმა სწორედ ეს განცხადება გაიხსენა ბრიფინგზე და დაამატა, რომ გარდაცვლილ 142 პატიმარს შორის მხოლოდ 19 იყო 61 წელს გადაცილებული. დეპუტატის თქმით, გარდაცვლილ პატიმართა საშუალო ასაკი არის 44 წელი.

დეპუტატის განცხადებით, გარდაცვლილ პატიმრებიდან 32%-ის ასაკი 41-50 წლამდეა, 27% კი 31-40 წლამდე.

დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ გარდაცვლილ პატიმრებს ეტყობათ წამებისა და ცემის გარეგნული ნიშნები.

— ყველა ასეთ საქმეზე შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მაგრამ არავინ არ არის პასუხისგებაში მიცემული. ანგარიშში ასევე მოყვანილია შემზარავი მაგალითი, როდესაც ციხის სამედიცინო დაწესებულებაში ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულ პატიმარს სცემა სამედიცინო დაწესებულების უფროსის მოადგილემ. ისე სცემა, რომ ამ ადამიანმა გონება დაკარგა. ეტყობა, ამ ადამიანებმა გებელსის სკოლა გაიარეს, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

კიდევ ერთი, დეპუტატის დასკვნით, გაზრდილია იმ პატიმართა რიცხვი, რომლებიც ტუბერკულოზით გარდაიცვალენ.

— საშინლად არის გაზრდილი ტუბერკულოზით გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობა. ამ შემთხვევაში მარტო სამინისტრო არ ტყუის. ეს არის ნულოვანი ტოლერანტობის შედეგი. ამ ადამიანების სიკვდილში ბრალი მიუძღვის მიხეილ სააკაშვილს. გადატვირთულია ჩვენი ციხეები, დღეს ციხეებში არის 24 ათასი პატიმარი, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

დეპუტატი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში კონკრეტული გვარებია დასახელებული რეჟიმის უფროსების, ციხის დირექტორების.

ოპოზიციონერი ცაგარეიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ გარდაცვლილ პატიმრებს აღენიშნებათ ცემის და დაზიანების კვალი, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექიმები კი არასწორ დასკვნებს წერენ.

გიორგი ცაგარეიშვილს მიაჩნია, რომ ექსპერტიზის ბიუროს მიმართაც არაერთი არგუმენტირებული და სერიოზული კითხვა უნდა გაჩნდეს საპარლამენტო განხილვების დროს.

კიდევ უფრო მკაცრი იყო დეპუტატი მინისტრის საქმიანობის შეფასებისას. ცაგარეიშვილის თქმით, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე და მისი ქვემდგომი პირები კრიმინალები და სადისტები არიან.

— ვინც სახალხო დამცველის ანგარიშში სასჯელაღსრულების ნაწილს გაეცნობა, არ შეიძლება უწყების ხელმძღვანელთან დაკავშირებით არ ჩამოუყალიბდეს ერთი შეხედულება — ეს ადამიანი სისხლის სამართლის დამნაშავეა და მისი ქვემდგომი პირები — მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები, სასჯელაღსრულების და რეჟიმების ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები — კრიმინალები და სადისტები, რომლებიც სისტემას მართავენ ფაშისტური მიდგომებით, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

— გერმანიის ფაშისტურ კონცლაგერებშიც კი გაუკვირდებოდათ ის მეთოდები, რა მეთოდებითაც მართავს მინისტრი თავის სისტემას, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა და აქვე დასძინა, რომ სასჯელაღსრულების სისტემა ჩაკეტილია და გასულია სამოქალაქო კონტროლიდან.

დეპუტატის თქმით, მიუხედავად სურვილისა, დეპუტატებს ციხეებში შესვლის უფლებას არ აძლევენ, რომ იქ არსებულ ვითარებას გაეცნონ.

— სააკაშვილსა და მერაბიშვილს არ მივცემთ იმის უფლებას, რომ ქართული ციხეები ყვარყვარეს ციხეებად აქციოს, — ამბობს ცაგარეიშვილი.

ამასთან, დეპუტატი რეგიონებში მედიის წარმომადგენლებზე ფიზიკური ზეწოლის ფაქტებსაც შეეხო. კერძოდ, ტელეკომპანია „თრიალეთის“ მაგალითს.

— როგორც ჩანს, გორი ამ მიმართულებით აუღებელ ციხესიმაგრედ რჩება, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ამ ეტაპზე დეპუტატები სახალხო დამცველის საკმაოდ სქელტანიანი ანგარიშის განხილვით არიან დაკავებული.

# ბაღათურია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ფულს ითხოვს

ნანა მიშელაშვილი

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია მთავრობას პირობის შესრულებას სთხოვს. გუშინ ბაღათურიამ პარლამენტში ბრიფინგი გამართა და მთავრობას სოფლის მეურნეობის დაფინანსებასთან დაკავშირებით მიცემული პირობის შესრულება მოსთხოვა.**

ბაღათურია მთავრობას მოუწოდებს შეასრულოს პარლამენტისთვის მიცემული პირობა



სოფლის მეურნეობისთვის დამატებით 150 მილიონი ლარის გამოყოფის შესახებ.

„ქართული დასის“ ლიდერი აცხადებს, რომ მთავრობა ერთი მილიარდი დოლარის ოდენობის საგარეო ვალის აღებას აპირებს და შესაბამის ნებართვას პარლამენტისაგან ითხოვს.

გუშინ ბაღათურიამ ბრიფინგი გამართა და 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტზე ისაუბრა. დეპუტატის განცხადებით, მთავრობა ნებართვას ითხოვს ჯამში აიღოს 1 მილიარდი დოლარის ოდენობის საგარეო ვალი: 500 მილიონი დოლარი აზიის განვითარების ბანკიდან ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროექტების დასაფინანსებლად და 500 მილიონი დოლარი საშინაო და საგარეო ფასიანი ქაღალდების (ევრობონდის) გამოშვებისთვის. მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მხოლოდ 9 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

— არ სრულდება პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ პარლამეტისთვის მიცემული პირობა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ბიუჯეტიდან 150 მილიონი ლარის გამოყოფის შესახებ. ეს თანხა სავსებით საკმარისი იქნება ამ დარგის განვითარებისთვის, რაც გამოიწვევდა დამატებით მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას,— აღნიშნა ჯონდო ბაღათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერმა მთავრობას მოუწოდა შეასრულოს პარლამენტისთვის მიცემული პირობა და სოფლის მეურნეობას დამატებით 150 მილიონი ლარი გამოუყოს.

# უმრავლესობა სახალხო დამცველს არ ენდობა

ნანა მიშელაშვილი

**სახალხო დამცველის გიორგი ტუღუშის ანგარიშს პარლამენტი მაისში განიხილავს. ეს გადაწყვეტილება გუშინ პარლამენტის ბიურომ მიიღო. სახალხო დამცველის ანგარიში 2010 წელს ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას შეეხება.**

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიამ ანგარიშის გაცნობის, მოყვანილი ფაქტების შესწავლის და რეალური სურათის დადგენის მიზნით დრო ითხოვა. ლაშა თორდიამ განმარტა, რომ დოკუმენტი საკმაოდ სქელტანიანია, კომიტეტს კი სურს, მასში ასახული ფაქტების შესწავლა და რეალური სურათის დადგენა.

ამ განცხადების შემდეგ დეპუტატებმა გადაწყვიტეს, რომ აპრილის თვე აღნიშნულ პროცედურას დაეთმოს და გიორგი ტუღუშს პლენარულ სხდომაზე მაისში მოუსმინონ.

მას შემდეგ, რაც ლაშა თორდიას განცხადება მოისმინეს, ბიუროზე კამათი მოხდა. ოპოზიციონერ ვიცე-სპიკერს ლევან ვეფხვაძეს უმრავლესობის წევრები დაუპირისპირდნენ. ერთმანეთის განცხადებებმა ოპოზიცია და უმრავლესობა გაურკვევლობაში დატოვა.

ქრისტიან-დემოკრატების წევრს ლევან ვეფხვაძეს არ ესმის, რაში სჭირდება საპარლამენტო უმრავლესობას სახალხო დამცველის ანგარიშზე რეალური სურათის დასადგენად დამატებითი დრო.

ლევან ვეფხვაძე დაინტერესდა, ხომ არ ნიშნავს ასეთი მიდგომა იმას, რომ უმრავლესობა მის მიერ არჩეულ სახალხო დამცველს არ ენდობა.

ლევან ვეფხვაძის ამ მოსაზრებას კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია და პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი გამოეხმაურა. მათ განმარტეს, რომ საკითხი არა ნდობა-უნდობლობაშია, არამედ საკითხისადმი სერიოზულად მიდგომაში.

ლევან ვეფხვაძე შიშობს, რომ ანგარიშის სიმწვავის გამო, საპარლამენტო უმრავლესობა ძველი სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის დროს არსებულ პრაქტიკას გააგრძელებს და ანგარიშს არასერიოზულად მოეკიდება.

ამ მოსაზრებაზე პასუხი ვეფხვაძემ ბიუროს სხდომაზე მიიღო. პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ძველი სახალხო დამცველის პოლიტიკური მოტივირებულობა გაიხსენა.

— კარგია, რომ ამას აღიარებთ, — თქვა ლევან ვეფხვაძემ.

ლევან ვეფხვაძემ სახალხო დამცველის ანგარიშზე საუბრისას აღნიშნა, რომ დევნილებთან მიმართებაში საბედნიეროდ დადასტურდა ის ფაქტები, რასაც დევნილთა და განსახლების მინისტრი და საპარლამენტო ურმავლსობა საპარლამენტო დებატებისას კატეგორიულად უარყოფდა.

— გაუგებარია, რას ნიშნავს სახალხო დამცველის მოხსენებაში წარმოდგენილი ფაქტების გადამოწმება და ამ მიზნით დამატებითი დროის მოთხოვნა?! თუკი აღარც თქვენ მიერ არჩეულ ტუღუშს ენდობით, პირდაპირ თქვით. თქვენთვის სამწუხაროდ და ჩვენთვის საბედნიეროდ, ამ დოკუმენტში ბევრი ისეთი ფაქტის შესახებაა საუბარი, რაზეც ოპოზიციამ სამთავრობო დებატებზე უკვე ისაუბრა, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან მიმართებაშიც, — განაცხადა ვეფხვაძემ. მან აქვე შესაბამისი თანამდებობის პირების პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი.

ლევან ვეფხვაძის მიერ ნახსენებ სიტყვას „საბედნიეროდ“ უმრავლესობის წევრები ხათუნა ოჩიაური და ხათუნა გოგორიშვილი გამოეხმაურნენ. უმრავლესობის წევრებმა მიიჩნიეს, რომ ლევან ვეფხვაძე „ბედნიერი“ იყო, რომ ასეთი ფაქტები მოხდა. სიტყვას „საბედნიეროდ“ ლევან ვეფხვაძეს ბიუროს მთელი სხდომის განმავლობაში ახსენებდნენ და ქილიკობდნენ.

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის ანგარიშს გაეცნენ, ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილი ზოგიერთი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობაზე ალაპარაკდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, დეპუტატი გურამ ჩახვაძე სახალხო დამცველის ანგარიშიდან გამომდინარე კონკრეტული სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობის საკითხის დასმაზე საუბრობს.

ჟურნალისტებთან საუბრისას გურამ ჩახვაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ანგარიში ცხადყოფს, რომ დარღვეულია რიგი მოხელეების მიერ როგორც სამართლებრივი, ისე მორალური კანონი.

გურამ ჩახვაძის თქმით, სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილ ფაქტებზე რეაგირება უნდა მოხდეს, რადგან ასეთი ფაქტები ერთი მხრივ, მოქალაქეებს უკარგავს ნდობას სახელმწიფოს მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს იმიჯს ლახავს საერთაშორისო საზოგადოების თვალში.

ჩახვაძემ აღნიშნა, რომ სწორედ სახალხო დამცველის ანგარიშში საუბარია იმ სისტემებზე, რასაც საერთაშორისო საზოგადოება გამადიდებელი შუშით აკვირდება.

ამდენად, სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა პარლამენტში ხმაურის გარეშე არ ჩაივლის. ომბუდსმენის ანგარიშსს ჯერ კომიტეტის სხდომაზე მოისმენენ, შემდეგ პლენარულ სხდომაზე.

ისეთი პირი უჩანს, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვას შესაძლოა ერთი მინისტრის სავარძელი შეეწიროს.

გაათავისუფლებენ თუ არა რომელიმე მინისტრს თანამდებობიდან? — ამ შეკითხვაზე ლევან ვეფხვაძემ გუშინ ასე იხუმრა: „შესაძლოა დაფიქრდნენ და 1 ბარტყი მაინც გადმოაგდონ თავის ბუდიდან“.

# უზენაესი სასამართლოს შენობას კვერცხები ესროლეს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობის წინ გუშინ საღამოს მომიტინგეებსა და სამართალდამცველებს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოხდა. შედეგად საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აქციის ოთხი მონაწილე, მათ შორის ერთ-ერთი ორგანიზატორი, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი შოთა გლურჯიძე დააკავეს.

სამართალდამცველებსა და მომიტინგებს შორის ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, რაც მომიტინგეებმა უზენაესი სასამართლოს შენობის კარებს კვერცხები ესროლეს.

შეგახსენებთ, რომ მომიტინგეები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების წამების ფაქტებს აპროტესტებენ. შესაბამისი აქცია ჯერ რუსთაველის გამზირზე გაიმართა, ხოლო ამის შემდეგ მომიტინგებმა მშვიდობიანი მსვლელობით უზენაესი სასამართლოს შენობის წინ ზუბალაშვილების ქუჩაზე გადაინაცვლეს.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილი ბაქრაძეს გააპრეზიდენტებს

შორენა გონგლაძე

**ჰააგის სასამართლომ რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელის განხილვაზე უარი თქვა. საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ ჰააგის სასამართლომ სარჩელის განხილვა ტექნიკური მოტივაციის საფუძველზე შეაჩერა და ეს სულაც არ ნიშნავს სარჩელის განხილვაზე უარის თქმას. მინაშვილმა თავი იმითაც დაიმშვიდა, რომ საქართველო სარჩელს ჰააგაში თავიდან შეიტანს. პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილის აზრით კი, ამ შემთხვევაში არანაირ ტექნიკური მოტივაციებზე არ არის საუბარი.**

*— ბატონო ჰამლეტ, დავუჯეროთ მინაშვილს და ბურჯალიანს თუ ამ ყველაფერს კიდევ სხვა ახსნაც მოეძებნება?*

— არავითარ ტექნიკურ საბაბს არ ჰქონია ადგილი, ეს საქმე თავიდანვე იყო განწირული, იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, ის სასამართლო არ იღებს ასეთ სარჩელს და თავიდანვე ეთქვა ქართულ მხარეს, რომ თქვენ თუ გაქვთ რაიმე პრეტენზია, და პრეტენზია იყო ასეთი, რომ რუსეთი ქართული მხარის მიმართ ჩადიოდა დისკრიმინაციას 1990 წლიდან დაწყებული, და ასევე ის, რომ ქართველებს რუსეთში სდევნიან და ასე შემდეგ, ამასთან დაკავშირებით ქართული მხარე ითხოვდა კომპენსაციას. ეს ყველაფერი იყო აბსოლუტური აბსურდი ქართული მხარის მხრიდან, ვინაიდან ასეთ რამეს არ იღებს ჰააგის სასამართლო, რადგან მიაჩნია, რომ ეს უნდა გადაწყდეს ორთა შორის მოლაპარაკებით, ანუ მას ჯერ უნდა დაეწყო ლაპარაკი რუსეთთან, თუკი არაფერი გამოვიდოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლო იქნებოდა, რომ წარედგინათ სარჩელი ჰააგის სასამართლოში. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, მოგეხსენებათ, ამ თემაზე ლაპარაკი დაიწყო მას შემდეგ, რაც 2008 წელს ქართულმა მხარემ ჩაიდინა დანაშაული და დაიწყო აგრესია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, მან თავის გასამართლებლად გადაწყვიტა, რომ მიემართა ჰააგის სასამართლოსთვის და ამით ყურადღება თავისი დანაშაულიდან გადაეტანა სხვა რამეზე, ეს არ გამოვიდა, არ მიიღო ჩვენი სარჩელი ჰააგის სასამართლომ, მაგრამ ეს ასე არ დაფიქსირდა ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან. იუსტიციის მინისტრის მოადგილე რომ არის გოგონა, ბურჯალიანი, მან სასამართლოს დამთავრების შემდეგ ილაპარაკა ხანგრძლივად და გაუგებრად, იმდენად გაუგებრად, რომ ვერავინ ვერაფერი ვერ გაიგო. ვერ გავიგე, რა უნდოდა ბურჯალიან ეთქვა, შემდეგ ილაპარაკა პარლამენტის დიდმა კორიფემ მინაშვილმა, აკოს როს უძახიან, და მან განამტკიცა ის აბსურდი, რის თქმასაც ცდილობდა ბურჯალიანი და ეს ყველაფერი დააგვირგვინა ვილაც ამერიკელმა, რომელმაც თქვა, რომ ეს ძალიან დიდი საქმე მოხდა, ვინაიდან ქართველებმა შებედეს ისეთ სახელმწიფოს როგორიც რუსეთია და ეს არის თურმე წარმატება. იმ ამერიკელს, ცხადია, სხვა არაფერი დარჩენოდა, ვინაიდან მან წააგო ეს პროცესი და ამ წაგებისთვის მან მიიღო ათეულ ათასობით დოლარი. მოგეხსენებათ, მარტო ბურჯალიანი იმ საქმეს ვერ გაქაჩავდა, ამერიკელი ადვოკატები იყვნენ ამ საქმეში ჩართული. ამერიკელი ადვოკატების თქმით, არ გაანძრევენ ხელს ისე, თუ დიდი ფული არ ჩაახუტეს და ხელისუფლებამაც ჩაახუტა ამერიკელებს დიდი ფული, მაგრამ სამწუხაროდ, ამით არაფერი გამოვიდა და არც გამოვიდოდა, ვინაიდან ეს საქმე წინასწარვე იყო განწირული. ასე რომ, მოხდა ფულის მორიგი გადაყრა არაფრის გამო, ნაცვლად იმისა, რომ ცოტა გონს მოეგოს ჩვენი ხელისუფლება და რუსეთის ლანძღვის ნაცვლად დაიწყოს სხვა პროცესი რასაც ჰქვია მოლაპარაკება, თუმცა რუსეთი ამ ხელისუფლებასთან არავითარ მოლაპარაკებაზე არ წავა.

*— მინაშვილი მგონი თავიდან აპირებს სარჩელის შეტანას...*

— ეს მთლად სასაცილოა, მათ გარკვევით უთხრეს, რომ წადით ბიძიებო, ჯერ ისწავლეთ რას ნიშნავს ჰააგის სასამართლო, მისი წესდება კარგად შეისწავლეთ და მერე ვილაპარაკოთ მაგ თემებზეო. ახლა აკოს თუ მაკოს განცხადება ეს არის დიდი, დიდი სისულელე. აქ ერთი რამ მოხდა, რომ ქართულ მხარეს რუსეთის მორიგი გაშავება უნდოდა, სამწუხაროდ, ამ საქმეში მათ ხელი მოეცარათ და თვითონ აღმოჩნდნენ გაშავებულ მდგომარეობაში. ჯერ ერთი, როგორც ბრიყვები და უცოდინრები და მეორეც, როგორც თავხედები.

*— ბურჯალიანმა და მინაშვილმა თუ სისულელე ილაპარაკეს, ამ სისულელის უკან ხომ ქართული სახელმწიფო დგას და მისი იმიჯი ილახება?*

— ცხადია, ეს ყველაფერი უარყოფითად აისახება საერთაშორისო იმიჯზე, მაგრამ სააკაშვილიდან დაწყებული, ნებისმიერი მაღალი



თუ დაბალი რანგის მოხელით დამთავრებული, ვის აინტერესებს საქართველოს იმიჯი? მათ ფეხებზე ჰკიდიათ საქართველო, მთავარი არის, რომ დღეს, ამ წუთას რაღაცნაირად უჩხვლიტონ რუსეთს, ეს არის მათი უპირველესი სურვილი და მოსახლეობის ყურადღება გადაიტანონ საქმეზე, რომელიც შორს არის იმ პრობლემებისგან, როგორიც არის ეკონომიკური ჩავარდნები, ინფლაცია და ა. შ. საზოგადოება არის უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, აქედან გამომდინარე, რაღაცნაირად ამ საზოგადოების ყურადღება რომ გადაიტანონ სხვა რამეზე, სწორედ ამას ემსახურება ის ვაიუშველებელი, რაც აკობ, ბურჯალიანმა და ვილაც ამერიკელმა ატეხეს ქართულ მედიაში. ევრონიუსმა ეს ცნობა მაშინვე გაავრცელა ისე, როგორც მე მოგახსენეთ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე.

*— სააკაშვილის ამერიკულ იმიჯზე ბევრს ლაპარაკობენ, ისევ წყალობის თვალით უყურებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, არჩევნებზე რამდენად მყარი პოზიციები ექნება?*

— 2013 წლამდე ან ვირი იქნება და ან ვირის პატრონი. მოგეხსენებათ, ამერიკაში მანამდეა საპრეზიდენტო არჩევნები და სააკაშვილს ისეთი ბედი აქვს, რომ დარწმუნებული ვარ, მომავალ არჩევნებში შესაძლოა გაიმარჯვოს რესპუბლიკელმა. თუ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი გაიმარჯვებს, დარწმუნებული იყავით, რომ სააკაშვილს ექნება მხარდაჭერა. სააკაშვილს ექნება მხარდაჭერა ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან არა ისეთი, როგორსაც ის მოელოდა მაკკეინის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მაგრამ მაინც, ვინაიდან სააკაშვილი ითვლება საკუთარ კაცად კავკასიაში, იმ ადამიანად, რომელიც ყოველ წუთს სისხლს გაუშრობს რუსეთს, ასეთი სჭირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს მიუხედავად იმ გადატვირთვის პროცესისა, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთ-ამერიკას შორის; ანუ ამერიკას სჭირდება ისეთი კაცი, რომელიც პერმანენტულად უხურხულ მდგომარეობაში ჩააყენებს რუსეთს, ასეთად მოიაზრება სააკაშვილი. სააკაშვილი ძალიან კარგად იციან ვინ არის და რა არის, მაგრამ ის მათია, ამიტომ, რადგან მათია, მას აქვს გარკვეული შენდობა ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან.

*— სააკაშვილის შეცვლა მომავალ არჩევნებზე, ფაქტია, რომ გარდაუვალი იქნება, ასეთ კაცად ვინ მოიაზრება?*

— მე არ ვიცი, სააკაშვილის შეცვლა როგორ იქნება, ჯერ ერთი, სააკაშვილის შეცვლა მოხდება, მაგრამ ის პრეზიდენტი, რომელიც ჩაანაცვლებს სააკაშვილს, არ იქნება ისეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი, როგორითაც არის აღჭურვილი სააკაშვილი. არ არის გამოიცხული, რომ გამარჯვებულმა ნაციონალურმა პარტიამ სააკაშვილი დაასახელოს პრემიერ-მინისტრად და პრემიერ-მინისტრს, მოგეხსენებათ, ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარე უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე პრეზიდენტს. ასე რომ, სააკაშვილის პოლიტიკური არენიდან წასვლა არ მოხდება. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ვარიანტი გათამაშდება მომავალი არჩევნების პერიოდში და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ამ ყველაფერს სააკაშვილი ისე გააკეთებს, როგორც მას სურს.

*— თქვენი აზრით, ვინ განიხილება ასეთ კაცად?*

— პრეზიდენტად, რომელიც აბსოლუტურად არაფერს წარმოადგენს? ასეთად განიხილება ალბათ ბაქრაძე, რომელიც აბსოლუტურად არაფრისმაქნისია. ასეთი არაფრისმაქნისი პრეზიდენტი აწყობს სააკაშვილს, მისგან თავის ტკივილს სააკაშვილი, როგორც პრემიერ-მინისტრი, არ მიიღებს.

# შევარდნაძე მთავარ შეცდომად სააკაშვილის გაპრეზიდენტებას ასახელებს

გერა მამულაშვილი

ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ინტერვიუს რუსული გამოცემა „მოსკოვსკიე ნოვოსტი" აქვეყნებს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

*— შესაძლებელი იყო თუ არა საერთოდ საბჭოთა კავშირის შენარჩუნება, თუ ეს განწირული იდეა იყო?*

— სსრკ-ს მაშინდელმა ლიდერებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ კავშირის შენარჩუნების ნაცვლად ის დაენგრიათ. ეს ძირითადად მოხდა ორი ლიდერის — მიხეილ გორბაჩოვის და ბორის ელცინის დაპირისპირების გამო. დიდხანს განიხილებოდა, შეიძლებოდა თუ არა მიხეილ გორბაჩოვისთვის შეზღუდული უფლებამოსილებებით პრეზიდენტის პოსტის შენარჩუნება. მასთან ვაჭრობდნენ, რა შეეძლო, რა არ შეეძლო, როგორ უნდა მომხდარიყო მისი შეზღუდვა, ბოლოს და ბოლოს ამან უკუეფექტი გამოიწვია.

***მე უკვე გადამდგარი ვიყავი, მაგრამ სსრკ-ს შესაძლო მომავალზე ძალიან ბევრს ვფიქრობდი, ამას დიდწილად ალექსანდრ იაკოვლევთან განვიხილავდი. ჩემთვის, საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ჯერ კიდევ ოთხი წლით ადრე გადავწყვიტე, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა, რადგან ნებისმიერი იმპერია ადრე თუ გვიან დანგრევისთვის არის განწირული, მაგრამ ვადებში შევცდი. ვფიქრობდი, რომ საბჭოთა კავშირი კიდევ 11 ან 12 წელს გაძლებდა.***

საერთოდ კი, ყველა სუბიექტური და ობიექტური პირობები ისეთი სახით ვითარდებოდა, რომ სსრკ-ს შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ყველა იმ მოვლენის მიუხედავად, რომლებიც საქართველოსთვის საბედისწერო 90-იანების დასაწყისში ხდებოდა, 1991 წლის რეფერენდუმმა მთლიანობაში გართულებების გარეშე ჩაიარა, მასში აფხაზეთის ამომრჩევლების უმეტესობაც კი მონაწილეობდა. ასე რომ, ხალხის ნების გამოვლენა მოხდა. მაგრამ როგორ აისახებოდა საქართველოს მომავალზე საერთო-საკავშირო რეფერენდუმზე მონაწილეობა, ამის თქმა რთულია. ახლა ეს მხოლოდ თეორიების სფეროა.

*— როგორი იყო დასავლეთის როლი საბჭოთა კავშირის დანგრევაში?*

— ვიხსენებ ერთ შეხვედრას ჩემს მოსკოვურ სახლში, სტუმრად ჰენრი კისინჯერი მყავდა. ძირითადად კისინჯერი საუბრობდა. აი, მისი სიტყვები: ჩვენ აშშ-ში ყოველთვის ვთვლიდით, რომ სსრკ — მტრული სახელმწიფოა, ნებისმიერ ფასად მისი დანგრევა გვსურდა, ხოლო ახლა, როდესაც ეს ფაქტად იქცა, არ ვიცით, რა გავაკეთოთ.

*— ანუ ისინი ასეთი სწრაფი პროცესებისთვის მზად არ იყვნენ?*

— არა.

*— შეიძლება ითქვას თუ არა, რომ რაღაც მომენტიდან სსრკ-ს დაშლა გარდაუვალი იყო?*

— ნიკიტა ხრუშჩოვამდე მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე უფრო უკეთესადაც ცხოვრობდნენ, ვიდრე ახლა. მან ყველაფერი დაანგრია. ხალხმა შიმშილობა დაიწყო — რუსეთში, საქართველოში, ყველა დანარჩენ რესპუბლიკებში. აი, მისი „გენიალური" მოღვაწეობის შედეგი. მის მაგივრად ნორმალური ადამიანი რომ ყოფილიყო, სსრკ უფრო დიდხანს იარსებებდა, ალბათ, იმდენივეს, რამდენიც ხრუშჩოვამდე იყო.

ავიღოთ თუნდაც მისი აკრძალვები სახლისპირა ნაკვეთებზე, საქონლის კერძო საკუთრებაში შენახვაზე. თხების ყოლაც კი აკრძალეს! ეს იყო სწორედ სსრკ-ს ნგრევის დასაწყისი. საქართველოში, ქართული კომპარტიის მაშინდელმა ლიდერმა ვასილ მჟავანაძემ რაღაცნაირად მოახერხა გლეხთა საკუთრების უფლების დაცვა. ძირითადად ხომ იმის ხარჯზე ცხოვრობდნენ, რაც სახლის გვერდით მოჰყავდათ. ვიცი, ეს რას ნიშნავს, თავადაც სოფელში ვცხოვრობდი.

*— ანუ თქვენ სსრკ-ს ნოსტალგია გაქვთ?*

— არა. შესაძლოა გორბაჩოვს ეს აქვს. მე მაინც ვგრძნობდი, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა.

*— გორბაჩოვი ამბობს, დასავლეთმა ის მოატყუა, როდესაც დაჰპირდა, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება არ მოხდებოდა. შეცდა თუ არა საბჭოთა კავშირის დიპლომატია?*

— არავინ არავის ატყუებდა. ყველაფერი მოლაპარაკებების შედეგი იყო.

*— 31 მარტის რეფერენდუმიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. მაგრამ უკვე აგვისტოში ზვიად გამსახურდიამ ფაქტობრივად მხარი დაუჭირა „გეკაჩეპეს", გააუქმა ეროვნული გვარდია, რამაც მის წინააღმდეგ ოპოზიციის შეიარაღებული გამოსვლები გამოიწვია. შეცდა გამსახურდია?*

— დიახ. ეს სებედისწერო შეცდომა იყო. მაგრამ მისი მთავარი შეცდომა სხვა გახდა. 1993 წლის სექტემბერში, როდესაც სოხუმს ვიცავდით, ჩვენ შორის ბევრი მისი მომხრე იყო. კარგი ბიჭები იყვნენ, კარგად იბრძოდნენ. მე ასეთი წესი მქონდა: ყოველ საღამოს მეთაურობას ვხვდებოდი, სიტუაციაზე ვეთათბირებოდი, ხოლო დილით, ექვს საათზე ვდგებოდი და პოზიციებს პირადად ვათვალიერებდი. და აი, ერთხელაც საღამოს მეუბნებიან: საშიში არაფერია, ბრძოლას ვაგრძელებთ. ხოლო დილით რას ვხედავ — პოზიციებზე გამსახურდიას არც ერთი მომხრე აღარ იყო! იმ დროისთვის გამსახურდია ჩეჩნეთიდან დასავლეთ საქართველოში დაბრუნდა, ოჩამჩირეში დაფუძნდა და იქიდან მხარდამჭერებს თავისთან მოუხმო. ჩვენ დავკარგეთ სოხუმი, შემდეგ აფხაზეთი. ეს ტრაგედია გახდა ჩვენთვისაც და მისთვისაც.

*— რაში ცდება საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი?*

— ვერ გეტყვით.

*— თქვენი მთავარი შეცდომა?*



— სააკაშვილი რომ პრეზიდენტი გახდა (იცინის).

*— განხორციელდა თუ არა ის, რაზეც 20 წლის წინ ედუარდ შევარდნაძე ოცნებობდა?*

— საქათველო რომ დღეს დამოუკიდებელია — ეს კარგია. ყველა სიძნელის მიეხედავად. სხვა საკითხია, როგორ მართავენ ქვეყანას, რა შეცდომებია, რა საკითხებს წყვეტენ, ანდა ვერ წყვეტენ.

*— გასულ წლებში მაინც ვერ მოხერხდა კავკასიაში სიტუაციის სტაბილიზაცია. რა ელოდება რეგიონს, ვთქვათ, კიდევ 20 წლის შემდეგ?*

— ძალიან ძნელია ამის თქმა. მით უმეტეს, რომ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდებიან. ვერ გეტყვით, როდის მოხდება ეს.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ამით თავად რუსეთისთვის სახიფათო პრეცედენტი შექმნა. თუ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს ამის უფლება აქვთ, რატომ არ იმსახურებენ ამას ჩეჩნეთი, დაღესტანი, თათრეთი? ესენი ხომ მთელი სახელმწიფოები არიან.

*— საქართველოში რუსული სიმღერები აკრძალვის ქვეშ აღმოჩნდნენ, ეს „ოკუპანტებთან" ბრძოლის კიდევ ერთი ხერხია?*

— ეს სრული იდიოტიზმია.

*— საერთოდ, როგორ*

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## წინააღმდეგობის მორიგი კომიტეტი ბოლნისშიც დააფუძნდება

სახალხო კრება წინააღმდეგობის მორიგ კომიტეტს დღეს ბოლნისში დააფუძნებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სახალხო კრების პრესსამსახურიდან აცნობეს, ღონისძიებას სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოსა და სათათბირო დარბაზის წევრები დაესწრებიან.

ქვეყნის მასშტაბით უკვე ფუნქციონირებს სახალხო კრების წინააღმდეგობის 50-მდე კომიტეტი, რომელთა მიზანს მოსახლეობის საერთო-სახალხო დაუმორჩილებლობისთვის მომზადება წარმოადგენს.

**ინტერპრესნიუსი**

## ქარიშხალმა ქუთაისში სკოლებს სახურავები ახადა

ქუთაისში ქარიშხალმა 9-ე, 14-ე საჯარო სკოლებსა და რამდენიმე მაღლივ კორპუსს სახურავები ახადა.

როგორც „მედიანიუსს" ქუთაისის მერიაში განუცხადეს, მომხდარის შედეგად არავინ დაზარალებულა. ამ დროისთვის უცნობია ზარალის ოდენობა. ადგილზე საგანგებო კომისია მუშაობს და ინფორმაცია ქარიშხალის შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ სწორედ აღნიშნული კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

ქუთაისში გზებზე მოძრაობა არ შეფერხებულა. სინოპტიკოსები გამოდარებას დღეიდან ვარაუდობენ.

**მედიანიუსი**

# პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის სპექტაკლი მიუძღვნეს

არაერთი ცნობილი სიმღერის ტექსტის ავტორს და გამორჩეულ პიროვნებას პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის სპექტაკლი მიუძღვნეს. მისი პრემიერა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე 9 და 10 აპრილს გაიმართება.

„გაზაფხული მაინც მოვა“ — ასეთია ერთმოქმედებიანი სპექტაკლის სახელწოდება, რომლის ინსცენირების ავტორი და რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკია. სპექტაკლი მხატვრულად შოთიკო გლურჯიძემ გააფორმა, ხოლო მუსიკალური უზრუნველყოფა და ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე გოგი ჩლაიძემ აიღო.

პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკისტ ლირიკულმა ლექსებმა ქართველი ხალხის დიდი სიყვარული მოიპოვა. საქართველო, თბილისი, სამშობლოს გმირული წარსული, სიყვარული, თანამედროვე მღელვარე ცხოვრება — აი, ეს არის პეტრე ბაგრატიონ გრუზინსკის პოეტური ეშმოქმედების ძირითადი თემა.

სპექტაკლი „გაზაფხული მაინც მოვა“ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლია. მასში ჟღერს რევაზ ლაღიძის, დავით თორაძის, სულხან ცინცაძის, სულხან ნასიძის, გოგი ცაბაძის, ბიძინა კვერნაძის, ვაჟა აზარაშვილის, გია ყანჩელისა და გოგი ჩლაიძის მუსიკა. სპექტაკლში ორი მსახიობი ანა მატუაშვილი და ბექა ჯუმუტია მონაწილეობენ.

სპექტაკლის პრემიერაზე დასასწრები ბილეთები უკვე იყიდება რუსთაველის თეატრის სალაროში და მისი ფასი 10-12 ლარია.

ეკა ირემაშვილი

# ნიკალას ნახატი საქართველოდან გატანას გადაურჩა

ეკა ირემაშვილი

ქართველი პრიმიტივისტი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევარი საქართველოდან უკანონო გატანას და გაყიდვას გადაურჩა. ქართველმა სამართალდამცველებმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ნიკალას მიერ აბრაზე შესრულებული ნახატის „კახური ღვინო“ საქართველოდან კონტრაბანდული გზებით საზღვარზე უკანონოდ გატანის ფაქტი დროულად აღკვეთეს. ექსპერტების მიერ დადასტურებულია, რომ ნახატი ნამდვილად ფიროსმანს ეკუთვნის, თუმცა, დამატებითი ანალიზი ისევ გრძელდება.

ნიკალას ნახატ „კახური ღვინის“ ნამდვილი მესაკუთრე ცნობილი არ არის. ეს აბრა კერძო კოლექციაში იყო დაცული და მის მფლობელს ნამუშევარი საქართველოდან არალეგალურად გაჰქონდა. ნახატი დამნაშავეებს საქართველოდან აზერბაიჯანის გავლით რუსეთის ფედერაციაში უნდა გაეტანათ და ერთ-ერთი კოლექციონერისთვის 500.000 ამერიკულ დოლარად მიეყიდათ. პროკურატურამ დაადგინა, რომ დამნაშავეთა ჯგუფი უკრაინაში მცხოვრები უცნობი ბიზნესმენის სახელით მოქმედებდა. ყველა დამნაშავე დაკავებულია და უკვე გავრცელებულია მათი აღიარებითი ჩვენებები.

თბილისის პროკურატურისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხუთი პიროვნება — გელა სანიკიძე, გაიოზ ჯავახიშვილი, ალექსანდრე ფურცხვანიძე, ზურაბ დათუკიშვილი და დავით ზირაქაშვილი მაშინ დააკავეს, როცა ნიკალას ნახატის აზერბაიჯანში არალეგალურად გადატანის ყველა პირობა უკვე შექმნილი იყო.

იმ პირებს, ვისთანაც ნახატი ინახებოდა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საზღვარს გარეთ ლეგალურად გატანის უფლება არ ჰქონდათ, მიზნის მისაღწევად მათ განიზრახეს ორი სახელმწიფოს საზღვრის შემოვლითი, კონტრაბანდული გზებით გადალახვა, რაც ხელოვნების ნიმუშს დააზიანებდა ან განადგურების რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა.

დაკავებულებს ბრალი წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 18,214-ე მუხლის, 5-ე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რომელიც გულისხმობს წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კულტურული მემკვიდროების ძეგლის წესის დარღვევით გადატანის მომზადებას, რაც 8-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურა მომავალშიც გააგრძელებს ღონისძიებებს ეროვნული საგანძურის დაცვისა და კონტროლის მიზნით და კულტურული ღირებულების მქონე ნივთების ყველა მფლობელს თუ შეძენის მსურველს მოუწოდებს, დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები. დამნაშავეებისთვის ჩამორთმეული ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ აბრაზე შესრულებული ნახატი „კახური ღვინო“ კი საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმს უკვე გადაეცა.

სულ ახლახან სიღნაღის რაიონის სოფელ ოზაანში ქვრივიშვილების მარნის კარზე გაკეთებული წარწერა აღმოაჩინეს, რომელიც სპეციალისტებმა შეისწავლეს და სამკვირიანი კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ წარწერა ნამდვილად ნიკალას ეკუთვნის. ექსპერტთა 4-კაციანმა ჯგუფმა ეს დასკვნა 8-თვიანი მუშაობის შემდეგ გამოიტანა. სპეციალურმა კომისიამ უკვე ჩაატარა კალიგრაფიული, ვიზუალური და ისტორიული კვლევა. მათ შეისწავლეს მასალის ხანდაზმულობა და მოახდინეს წარწერის იდენტიფიცირება. მკვლევართა ვარაუდს, რომ წარწერა ფიროსმანის შესრულებული იყო, ისიც ამყარებდა, რომ სოფელ ოზაანში, სადაც კარები აღმოაჩინეს, მხატვრის დისშვილი იყო გათხოვილი. გადმოცემით ფიროსმანი მას ხშირად სტუმრობდა. წარწერა მარნის კარზე 2010 წლის ივლისში ადგილობრივმა მოსახლემ შემთხვევით აღმოაჩინა.



ხელოვნებათმცოდნეები ახლა ქვრივიშვილების ოჯახის გადასაწყვეტილებას ელოდებიან. მათ შეუძლიათ მარნის კარი დაიტოვონ, გაყიდონ ან ნიკო ფიროსმანის მუზეუმს გადასცენ. თუმცა, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში მცხოვრები ვანო ქვრივიშვილი, რომელსაც ნიკო ფიროსმანის მიერ მოხატული კარი ეკუთვნის, არ ამჟღავნებს, ამჟამად კარი სად ინახება. ფიროსმანის მუზეუმის დირექტორის ანზორ მაძღარაშვილის განცხადებით კი, კარი ქვრივიშვილის კერძო საკუთრებაა და როგორც უნდათ, ისე მოიქცევიან. „ეს კარი ნამდვილად ფიროსმანის მოხატულია. მუზეუმს ჯერ არავისთვის უთხოვია, რომ კარი შეიძინონ და გადმოგვცენ. თუმცა, ამ კარის ყიდვა რომც შემოგვთავაზონ, ჩვენ ფული არ გვაქვს და ვერ ვიყიდით,“ — აცხადებს ნიკო ფიროსმანის მუზეუმის დირექტორი ანზორ მაძღარაშვილი.

მარნის კარზე მთვარე და ვარსკვლავებია დახატული და შემორჩენილია სიტყვები: „წითელი ღვინის მარანი, სავსე ვარ ღვინით, თამადა ამაირჩიეთ, ავამსო ლხინით“. წარწერა მწვანე საღებავით არის შესრულებული. რამდენიმე თვის წინ, პარმენ ოზაშვილის სახლი კერძო პირმა 7.000 აშშ დოლარად იყიდა და სახლი და მარანი დაშალა.

უკვე ცნობილი ხდება, რომ ნიკო ფიროსმანის მიერ მოხატული კარი სადავო გახდა. ბელგიაში მცხოვრები ავთანდილ ოზაშვილი აცხადებს, რომ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ოზაანში სახლი და მარანი, რომელიც დაანგრიეს და კარი ჩამოხსნეს, მას ეკუთვნოდა და მისი გაყიდვისა და დაშლის უფლება არავისთვის მიუცია. ავთანდილ ოზაშვილმა თბილისში ადვოკატი უკვე დაიქირავა და კარის დაბრუნების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის შეტანასაც აპირებს.

ქართულმა საზოგადოებამ ისიც შეიტყო, რომ ნიკო ფიროსმანის სააღდგომო ნატურმორტს სასწრაფო რესტავრაცია ესაჭიროება. ნატურმორტი აზერბაიჯანში ხალილოვების ოჯახში ინახება. მათ ის 50 წლის წინ თბილისში შეიძინეს. 2000 წელს ნახატს რესტავრაცია საქართველოში ჩაუტარდა და ნამუშევარი შემდეგ ისევ აზერბაიჯანში დააბრუნეს. ქართულმა მხარემ უკვე დაიწყო მოლაპარაკებები ოჯახთან იმისთვის, რომ ნახატს რესტავრაცია თბილისში ჩაუტარდეს.

ნიკალას გარშემო ინტერესი არ ცხრება. მას შემდეგ, რაც კულტურის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ნიკო ფიროსმანაშვილის სიმბოლური საფლავი გაეკეთებინათ, ისტორიკოსებმა მის საბოლოო განსასვენებელთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს. როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ისტორიკოსები დღემდე დავობენ, სად განისვენებს ნიკალა — ნაწილს მიაჩნია, რომ იგი კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ფიროსმანი პეტრე-პავლეს სასაფლაოზეა დაკრძალული.

ისტორიკოსი მანანა ხომერიკი ამტკიცებს, რომ ნიკო ფიროსმანი კუკიის სასაფლაოზეა დაკრძალული. ამის დასტურად ისტორიკოსს არამიანცის საავადმყოფოს ექიმების, წმინდა მიხეილის ეკლესიის წიგნისა და კუკიის სასაფლაოს ჩანაწერები მოაქვს, სადაც წერია, რომ ცნობილი მხატვარი, რომელიც 1919 წლის 4 მაისს, აღდგომის ღამეს გარდაიცვალა, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ისტორიკოსი ფიროსმანის გარდაცვალების თარიღისა და დაკრძალვის ადგილის შესახებ არსებულ სხვადასხვა ვერსიებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ისტორიკოსს ნელი კობიაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მხატვარი 1919 წლის 18 აპრილს გარდაიცვალა და პეტრე-პავლეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზეა დაკრძალული, სიმართლეს არ შეესაბამება.

— ფიროსმანის საფლავის ადგილმდებარეობისა და გარდაცვალების თარიღის შესახებ სხვადასხვა ვერსიები ვრცელდება. სამწუხაროდ, ახლა იმის დამტკიცებაც არ შეგვიძლია, კონკრეტულად სად არის იგი დაკრძალული, თუმცა, შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, ნიკო ფიროსმანი 1919 წლის 4 მაისს გარდაიცვალა და კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს, — განმარტავს მანანა ხომერიკი.

ნიკო ფიროსმანი მთელი ცხოვრება უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა. ეტაპობრივად მას ქართველი მხატვრები ეხმარებოდნენ, იგი აბრებსა და სამიკიტნოებს შეკვეთით ხატავდა. საბოლოოდ იგი 1919 წელს ტუბერკულოზით, უკიდურეს სიღატაკეში, კიბის ქვეშ გარდაიცვალა.

# სტინგი ბათუმში იმღერებს

ეკა ირემაშვილი

ლეგენდარული ბრიტანელი მუსიკოსი სტინგი საქართველოს მაინც ეწვევა. ერთხელ უკვე ჩაშლილი მისი კონცერტი, ამჯერად რეალურად გაიმართება და იგი „შავი ზღვის ჯაზფესტივალის“ ფარგლებში მოეწყობა. წელს „შავი ზღივს ფესტივალს“ კომპანია „ისთერნ პრომუშენი“ ბათუმში 19-24 ივლისს მოაწყობს.

სტინგი მომღერლის მეტსახელია და იგი სინამდვილეში გორდონ მეთიუ თომას სამნერია. მომღერალი 16 გრემის მფლობელი და საუკეთესო სიმღერისთვის ოსკარის ნომინანტია. მან კარიერა ჯგუფ „პოლისის“ ვოკალისტად დაიწყო, შემდეგ კი დიდ წარმატებას სოლო შემოქმედებით მიაღწია. 1985 წლიდან დღემდე სტინგს ათი ალბომი აქვს გამოცემული. მისი კონცერტები ახლაც სრული ანშლაგებით მიმდინარეობს და სტინგის გამოჩენას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დიდი სიხარულით ელოდებიან.




მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს კომპანია „ისთერნ პრომოუშენი“. ამჯერად სტინგი თბილისს უწვევა, ხოლო ბათუმში ქართველებისთვის უკვე კარგად ცნობილ მესაყვრესთან კრის ბოტისთან ერთად იმღერებს.

სტინგი გრანდიოზულ ტურნეს მართავს მთელს ევროპაში. ევროპული ტურნეს ფარგლებში საქართველო ბოლო ქვეყანაა, სადაც ცნობილი მომღერალი კონცერტს გამართავს. კომპანია „ისთერნ პრომოუშენი“ მოლაპარაკებებს სტინგთან 7 წლის განმავლობაში აწარმოებდა, რაც საბოლოოდ წარმატებით დასრულდა.

მოლაპარაკებები სტინგთან უკვე დასრულებულია და კონცერტის ჩატარების შესახებ თანხმობაც ქართულ მხარეს უკვე მიღებული აქვს. სტინგი მესაყვირე კრის ბოტისთან ერთად ბათუმის პიაცას მოედანზე კონცერტს 3 ივლისს გამართავს. ბოტის ბენდთან ერთად, მაყურებლის წინაშე ეროვნული სიმფონიური ორკესტრიც წარსდგება.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)





## განცხადება

მიმდინარე წლის 12 მაისს მეტეხის საკათედრო ტა არში შედგება ცერცვა ეების გვარის შეკრება. გელოდებით!

გურამ ცერცვა ე





## განცხადებები

● ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

# მალხაზ ასათიანი: „თავს ვეტერანად არ ვთვლი“



საქართველოს ნაკრების მცველი მალხაზ ასათიანი ამჟერად უგუნდოდ არის და მხოლოდ ინდივიდუალურად ემზადება. ჩვენებურთან ინტერვიუ რუსულ სპორტულ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც უგუნდოდ ყოფნის მიზეზებზე ისაუბრა.

***— „ლოკომოტივიდან“ წამოსვლის შემდეგ, სად იყავით გაუჩინარებული ბოლო თვეების განმავლობაში და რას საქმიანობდით?***

— მთელი ეს პერიოდი ქუთაისში, საკუთარ სახლში გავატარე. მოსკოვში სულ რამდენიმე დღით ჩამოვედი, რათა რუსეთის ვიზის საკითხები მომეგვარებინა. აქამდე ვიზის საკითხს კლუბი მიგვარებდა, ახლა კი თავად მიწევს მასზე ზრუნვა. ეს საკმაოდ რთული პროცესია და საბედნიეროდ არიან ადამიანები, რომლებიც მეხმარებიან.

***— აქამდე უგუნდოდ რატომ დარჩით?***

— სიმართლე გითხრათ, პასუხს თავადაც ვერ ვპოულობ. ერთი დანამდვილებით ვიცი, რომ თამაშის გაგრძელება ისევ რუსეთში მსურს, მაგრამ პირველი დივიზიონი ჩემი შესაფერისი არაა. მირჩევნია ისევ სატრანსფერო ფანჯრის გახსნასა და ახალ წინადადებებს დაველოდო.

***— გასულ კვირას ეროვნული გუნდები შეკრებებსა და მატჩებს მართავდნენ. თემურ ქეცბაიამ რატომ არ მიგიწვიათ?***

— არა, როგორ არ მიმიწვია — დამირეკა და ვარჯიშზე მისვლა შემომთავაზა. მე ავუხსენი, რომ სათამაშო პრაქტიკა არ მქონდა და გუნდს ვერ გამოვადგებოდი. და მართლაც, საქართველოს ნაკრებმა უჩემოდაც წარმატებით ითამაშა — თვით ხორვატიას აჯობა!

***— როგორც ჩანს, „ლოკომოტივის“ ყველა გულშემატკივარმა ჯერ კიდევ არ იცის კლუბიდან თქვენი წამოსვლის მიზეზი. ამასწინათ ქომაგებთან ტრადიციულ შეხვედრაზე, კლუბის პრეზიდენტ ოლგა სმოროდსკაიას ერთ-ერთმა ქალბატონმა შეუტია — თქვენ არ იყავით, „ლოკოს“ პატრიოტი ასათიანი გუნდიდან რომ გააგდეთო?!***

— ის ალბათ ჩემი პერსონალური ფანი იყო. სამართლე ისაა, რომ მე კლუბთან კონტრაქტი დამიმთავრდა, მის გაგრძელებაზე კი არავის მოუმართავს. ეტყობა გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი არ იყო ამით დაინტერესებული. მეც მივედი ოფისში, ავიღე შრომის წიგნაკი, გამომშვიდობების დროს გულთბილად ვისაუბრე კრასნოჟანთან და პრეზიდენტის კაბინეტშიც შევიარე — ერთმანეთს წარმატებები ვუსურვეთ.

***— ამბობენ, რომ ყველაფრის მიზეზი თქვენი და ალიევის სმოროდსკაიასთან დავა გახდა.***

— დიახ, იყო რაღაც ფინანსური საკითხი. უკმაყოფილო ვიყავი და საამისოდ მიზეზიც მქონდა. კლუბის უწინდელი პრეზიდენტი ნაუმოვი ერთ პირობაზე შეგვითანხმდა, მოვიდა სმოროდსკაია და მან სხვა პირობები წამოაყენა. მე ვითხოვდი, გამარჯვების შემდეგ ანაზღაურება ნაუმოვთან შეთანხმების საფუძველზე მიგვეღო. ზედმეტს არაფერს ვითხოვდი.

***— მოზრდილი თანხა დაგაკლდათ? რატომ არ იჩივლეთ?***

— დეტალებზე ხმამაღლა საუბარი არ მსურს — ეს ისევ ჩვენ, ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელობას შორის დარჩეს.

***— სიომინმა რატომ აღარ წაგიყვანათ კიევში, ისე როგორც სამი წლის წინ?***

— ახლახან მქონდა იური პავლოვიჩთან საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი აგენტი ვარ, კიევში არ მივუწვევივარ.

***— „ლოკომ“ საწყის ტურებში თქვენზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა?***

— ორივე თამაში კარგად ითამაშა, თუმცა მხოლოდ სამი ქულა აიღო. დაცვის ცენტრში საიმედო იყო ტარას ბურლაკი და ამან ძალიან გამახარა — ამ ბიჭის პროგრესი აშკარაა.

***— იქნებ სწორედ მისი პროგრესის ბრალია, კლუბმა კონტრაქტი რომ აღარ გაგიგრძელათ?***

— ეგ არ ვიცი, მაგრამ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: განშორებასთან დაკავშირებით „ლოკოს“ მიმართ გულში ხინჯი არ მაქვს.

***— ყოფილ გუნდში კავშირს ვისთან ინარჩუნებთ?***

— ერთი ექიმსლა შემიძლია დავურეკო. „ლოკომოტივიდან“ ყველა ჩემი მეგობარი წავიდა. ბოლო დროს ურთიერთობა სენიკოვთან მქონდა — ჩემი არ იყოს, ისიც უმუშევარია. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის დროებითი მოვლენაა, თუმცა აღმოვაჩინე, რომ როცა საქმე არ გაქვს, გინდა-არგინდა, იმათთან უფრო მეგობრობ, ვინც შენსავით უმოქმედოდაა.

***— ეგ არცთუ კარგი ამბავია.***

— მე ცხვირი არ ჩამომიშვია. ჯერ არ ვთვლი თავს ვეტერანად და კარიერის გაგრძელებას ვაპირებ, ფორმას კი შინ ვინარჩუნებ — დავრბივარ.

# დავით უსტიაშვილი: ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლა იქნება

კალათბურთში საქართველოს სამივე ასაკობრივი ნაკრები ფიბა-ევროპის ჩემპიონატების ბ დივიზიონებშია. 20-წლამდელთა გუნდი, რომელსაც მწვრთნელად დავით უსტიაშვილი დაუბრუნდა, ევროჩემპიონატზე საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მოხვდა, თუმცა ქართველებს თავისი კოზირებიც გააჩნიათ და ტურნირზე უიმედოდ არ მიდიან.

წლეულს ბ დივიზიონს 14-24 ივლისს ბოსნია-ჰერცოგოვინის დედაქალაქი სარაევო უმასპინძლებს. საქართველო ა ჯგუფში პოლონეთთან, ესტონეთთან, შვეიცარიასთან, რუმინეთთანა და მაკედონიასთან ერთად მოხვდა. 20-წლამდელთა ნაკრები ყოველ კვირას ვარჯიშობს, თუმცა გენერალურ შეკრებაზე 10 ივნისიდან გადავა.

სანაკრებო გეგმებზე დავით უსტიაშვილი საუბრობს, რომლის ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**დავით უსტიაშვილი:**

— 20-წლამდელთა ნაკრები კვირაში ერთხელ დილმის ბაზაზე იკრიბება და ვარჯიშობს. ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ ნაკრების კანდიდატებს, ერთმანეთთან შეთამაშებულები იყვნენ, როცა გენერალური შეკრება დაიწყება.

***— გენერალური შეკრება როდის აიღებს სტარტს და რამდენ მოთამაშეს გამოიძახებთ?***

— 10 ივნისიდან ყოველდღიურ ვარჯიშებზე გადავალთ და შეკრებასაც გავივლით. გამოვიძახებ ყველა იმ მოთამაშეს, რომელიც ღირსი იქნება. ნაკრებს უკვე ჰყავს ბირთვი, თუმცა, სხვა მოთამაშეებსაც ვაკვირდებით და მათ შანსს ვაძლევთ. ვარჯიშებზე ხან ვის ვიბარებ, ხან — ვის. ოღონდ ვინმემ თავი გამოიჩინოს, ნაკრებისთვის გამოგვადგეს და ნებისმიერს შევიყვან ძირითად შემადგენლობაში.

***— ლეგიონერებზე რას იტყვით?***

— გასულ სეზონთან შედარებით, ამ ასაკში, ახლა, ნაკლები ლეგიონერია. მხოლოდ თორნიკე შენგელია და მერაბ ბოქოლიშვილი თამაშობენ საზღვარგარეთ.

***— თორნიკე შენგელია ეროვნული ნაკრების წევრია. ამის გამო, მან გასული წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე მხოლოდ პირველი ჯგუფური ეტაპის შეხვედრებში ითამაშა. ახლა როგორ იქნება მისი საქმე?***

— მოგეხსენებათ, ეროვნული ნაკრების შეკრება 24 ივლისს იწყება. სწორედ ამ დღეს არის დანიშნული 20-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალი. შესაბამისად, თორნიკე უპრობლემოდ ასწრებს ახალგაზრდული ნაკრების ყველა მატჩში მონაწილეობას. მოგეხსენებათ, მე ეროვნულ ნაკრებშიც ვმუშაობ და 24 ივლისს შეკრებაზე უნდა ვიყო. ვფიქრობ, შენგელიას ახალგაზრდულში თამაშში ხელი არ შეეშლება. პირიქით, კარგ გამოცდილებას მიიღებს და ფორმაშიც შევა.

***— თუ იგეგმება მოსამზადებელი მატჩების გამართვა?***

— სადღეისოდ კონკრეტული მეტოქეების ვინაობა არაა ცნობილი, თუმცა საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში ამ საკითხზე მუშაობენ და სპარინგ-მატჩებიც გვექნება.

***— რას იტყვით ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს მეტოქეებზე?***

— საკმაოდ ძლიერი და დაბალანსებული ჯგუფია. ვერც ერთ ნაკრებზე ვერ ვიტყვით, რომ სუსტია. კალენდარიც ცუდადაა შედგენილი. ჯგუფურ ეტაპზე დასვენება არ არის. 5 დღე გადაბმულად გვიწევს თამაში. წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ რას ვიზავთ, თუმცა ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლა იქნება.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ფულემი-ბლექპული ... 3:0
სიტი-სანდერლენდი ... 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 31 | 19 | 9 | 3 | 68:32 | 66 |
| 2.არსენალი | 30 | 17 | 8 | 5 | 59:29 | 59 |
| 3.სიტი | 31 | 16 | 8 | 7 | 50:27 | 56 |
| 4.ჩელსი | 30 | 16 | 7 | 7 | 54:25 | 55 |
| 5.ტოტენჰემი | 30 | 13 | 11 | 6 | 41:34 | 50 |
| 6.ლივერპული | 31 | 13 | 6 | 12 | 42:38 | 45 |
| 7.ევერტონი | 32 | 9 | 14 | 8 | 42:41 | 41 |
| 8.ბოლტონი | 31 | 10 | 10 | 11 | 43:43 | 40 |
| 9.ნიუკასლი | 31 | 10 | 9 | 12 | 48:46 | 39 |
| 10.ფულემი | 31 | 8 | 14 | 9 | 36:34 | 38 |
| 11.სტოკი | 31 | 11 | 5 | 15 | 37:39 | 38 |
| 12.სანდერლ. | 31 | 9 | 11 | 11 | 33:42 | 38 |
| 13.ვესტ ბრომ. | 31 | 9 | 9 | 13 | 43:57 | 36 |
| 14.ბირმინგემი | 29 | 7 | 13 | 9 | 29:40 | 34 |
| 15.ბლექბერნი | 31 | 9 | 7 | 15 | 39:51 | 34 |
| 16.ას. ვილა | 31 | 8 | 10 | 13 | 39:53 | 34 |
| 17.ბლექპული | 31 | 9 | 6 | 16 | 45:63 | 33 |
| 18.ვესტ ჰემი | 31 | 7 | 11 | 13 | 38:53 | 32 |
| 19.ვულვზი | 31 | 9 | 5 | 17 | 36:53 | 32 |
| 20.უიგანი | 30 | 6 | 13 | 11 | 29:48 | 31 |

**იტალია. სერია ა**

ნაპოლი-ლაციო ... 4:3
ჯენოა-კალიარი ... 0:1
კატანია-პალერმო ... 4:0
კიევო-სამპდორია ... 0:0
ლეჩე-უდინეზე ... 2:0
ჩეზენა-ფიორენტინა ... 2:2
პარმა-ბარი ... 1:2
რომა-იუვენტუსი ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 31 | 19 | 8 | 4 | 54:22 | 65 |
| 2.ნაპოლი | 31 | 19 | 5 | 7 | 50:30 | 62 |
| 3.ინტერი | 31 | 18 | 6 | 7 | 56:35 | 60 |
| 4.უდინეზე | 31 | 17 | 5 | 9 | 56:32 | 56 |
| 5.ლაციო | 31 | 16 | 6 | 9 | 39:29 | 54 |
| 6.რომა | 31 | 14 | 8 | 9 | 47:43 | 50 |
| 7.იუვენტუსი | 31 | 13 | 9 | 9 | 47:38 | 48 |
| 8.პალერმო | 31 | 13 | 4 | 14 | 45:50 | 43 |
| 9.ფიორენტინა | 31 | 10 | 12 | 9 | 37:33 | 42 |
| 10.კალიარი | 31 | 12 | 6 | 13 | 37:36 | 42 |
| 11.ბოლონია | 31 | 11 | 10 | 10 | 34:40 | 40 |
| 12.ჯენოა | 31 | 10 | 9 | 12 | 29:34 | 39 |
| 13.კიევო | 31 | 8 | 12 | 11 | 30:32 | 36 |
| 14.კატანია | 31 | 9 | 8 | 14 | 29:40 | 35 |
| 15.პარმა | 31 | 7 | 11 | 13 | 30:43 | 32 |
| 16.სამპდორია | 31 | 7 | 11 | 13 | 25:34 | 32 |
| 17.ლეჩე | 31 | 8 | 7 | 16 | 33:52 | 31 |
| 18.ჩეზენა | 31 | 7 | 7 | 15 | 27:43 | 30 |
| 19.ბრეშა | 31 | 7 | 8 | 16 | 27:39 | 29 |
| 20.ბარი | 31 | 4 | 8 | 19 | 19:46 | 20 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-მალიორკა ... 2:1
ლევანტე-მალაგა ... 3:1
სოსიედადი-ერკულესი ... 1:3
სევილია-სარაგოსა ... 3:1
ოსასუნა-ატლეტიკო ... 2:3

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ნუმანსია ... 3:1
ბეტისი-სელტა ... 1:1
პონფერადინა-ხირონა ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 30 | 26 | 3 | 1 | 82:15 | 81 |
| 2.რეალი | 30 | 23 | 4 | 3 | 69:22 | 73 |
| 3.ვალენსია | 30 | 17 | 6 | 7 | 46:35 | 57 |
| 4.ვილიარეალი | 30 | 16 | 6 | 8 | 48:31 | 54 |
| 5.სევილია | 30 | 13 | 6 | 11 | 46:44 | 45 |
| 6.ესპანიოლი | 30 | 14 | 1 | 15 | 38:43 | 43 |
| 7.ატლეტიკო | 30 | 12 | 6 | 12 | 45:41 | 42 |
| 8.ბილბაო | 29 | 13 | 3 | 13 | 44:41 | 42 |
| 9.ლევანტე | 30 | 11 | 5 | 14 | 33:40 | 38 |
| 10.მალიორკა | 30 | 11 | 5 | 14 | 31:40 | 38 |
| 11.ოსასუნა | 30 | 9 | 8 | 13 | 36:36 | 35 |
| 12.ხიხონი | 30 | 8 | 11 | 11 | 28:35 | 35 |
| 13.სოსიედადი | 30 | 11 | 2 | 17 | 40:51 | 35 |
| 14.ხეტაფე | 30 | 9 | 7 | 14 | 41:49 | 34 |
| 15.დეპორტივო | 30 | 8 | 10 | 12 | 25:40 | 34 |
| 16.რასინგი | 30 | 9 | 9 | 12 | 30:44 | 33 |
| 17.სარაგოსა | 30 | 7 | 9 | 14 | 29:43 | 30 |
| 18.მალაგა | 30 | 8 | 5 | 17 | 39:62 | 29 |
| 19.ერკულესი | 30 | 8 | 5 | 17 | 28:48 | 29 |
| 20.ალმერია | 29 | 5 | 11 | 13 | 30:48 | 26 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-ნიურნბერგი ... 1:0
ვოლფსბურგი-აინტრახტი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 28 | 20 | 5 | 3 | 58:17 | 65 |
| 2.ლევერკუზენი | 28 | 17 | 7 | 4 | 57:34 | 58 |
| 3.ბაიერნი | 28 | 15 | 6 | 7 | 60:34 | 51 |
| 4.ჰანოვერი | 28 | 16 | 2 | 10 | 40:40 | 50 |
| 5.მაინცი | 28 | 14 | 3 | 11 | 43:35 | 45 |
| 6.ნიურნბერგი | 28 | 12 | 6 | 10 | 42:37 | 42 |
| 7.ჰამბურგი | 28 | 12 | 5 | 11 | 43:44 | 41 |
| 8.ფრაიბურგი | 28 | 11 | 5 | 12 | 35:39 | 38 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 28 | 9 | 10 | 9 | 42:39 | 37 |
| 10.შალკე | 28 | 10 | 6 | 12 | 33:33 | 36 |
| 11.კიოლნი | 28 | 9 | 5 | 13 | 38:49 | 35 |
| 12.ვერდერი | 28 | 8 | 9 | 11 | 38:54 | 33 |
| 13.აინტრახტი | 28 | 9 | 5 | 14 | 28:38 | 32 |
| 14.კაიზერი | 28 | 8 | 7 | 13 | 36:44 | 31 |
| 15.შტუტგარტი | 28 | 8 | 6 | 14 | 47:50 | 30 |
| 16.ვოლფსბურგი | 28 | 6 | 10 | 12 | 32:41 | 28 |
| 17.ზ. პაული | 28 | 8 | 4 | 16 | 29:49 | 28 |
| 18.გლადბახი | 28 | 6 | 5 | 17 | 38:62 | 23 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ალემანია-მიუნხენ 1860 ... 2:1
ჰერტა-პადერბორნი ... 2:0
ობერჰაუზენი-უნიონი ... 0:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-ლიონი ... 2:2
სენტ ეტიენი-ვალანსიენი ... 1:1
ლანსი-მარსელი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 29 | 16 | 10 | 3 | 52:28 | 58 |
| 2.მარსელი | 29 | 15 | 9 | 5 | 42:24 | 54 |
| 3.რენი | 29 | 14 | 9 | 6 | 32:21 | 51 |
| 4.ლიონი | 29 | 13 | 11 | 5 | 49:28 | 50 |
| 5.პსჟ | 29 | 12 | 10 | 7 | 42:30 | 46 |
| 6.მონპელიე | 29 | 11 | 9 | 9 | 25:30 | 42 |
| 7.სტ.ეტიენი | 29 | 10 | 10 | 9 | 36:34 | 40 |
| 8.ბორდო | 29 | 9 | 12 | 8 | 37:34 | 39 |
| 9.ლორიანი | 29 | 10 | 9 | 10 | 35:34 | 39 |
| 10.სოშო | 29 | 11 | 5 | 13 | 42:36 | 38 |
| 11.ტულუზა | 29 | 11 | 4 | 14 | 29:31 | 37 |
| 12.ნანსი | 29 | 10 | 6 | 13 | 30:41 | 36 |
| 13.ბრესტი | 29 | 9 | 8 | 12 | 29:34 | 35 |
| 14.კაენი | 29 | 9 | 8 | 12 | 32:41 | 35 |
| 15.ნიცა | 29 | 8 | 11 | 10 | 21:30 | 35 |
| 16.ვალანსიენი | 29 | 7 | 13 | 9 | 34:32 | 34 |
| 17.ოსერი | 29 | 6 | 15 | 8 | 32:34 | 33 |
| 18.მონაკო | 29 | 6 | 14 | 9 | 28:29 | 32 |
| 19.ლანსი | 29 | 6 | 10 | 13 | 28:43 | 28 |
| 20.არლე | 29 | 1 | 9 | 19 | 16:57 | 12 |

**ჰოლანდია. ეპედივიზიონი**

ვიტესი-ნაიმეგენი ... 2:1
უტრეხტი-დენ ჰააგი ... 2:3
აიაქსი-ერაკლესი ... 3:0
გრონინგენი-ვენლო ... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტვენტე | 29 | 19 | 6 | 4 | 56:28 | 63 |
| 2.პსვ | 29 | 18 | 7 | 4 | 72:28 | 61 |
| 3.აიაქსი | 29 | 17 | 7 | 5 | 59:26 | 58 |
| 4.ალკმაარი | 29 | 15 | 7 | 7 | 44:34 | 52 |
| 5.დენ ჰააგი | 29 | 15 | 6 | 8 | 58:43 | 51 |
| 6.გრონინგენი | 29 | 15 | 5 | 9 | 57:45 | 50 |
| 7.როდა | 29 | 12 | 11 | 6 | 54:41 | 48 |
| 8.უტრეხტი | 29 | 11 | 8 | 10 | 45:38 | 41 |
| 9.ერაკლესი | 29 | 10 | 7 | 12 | 52:51 | 37 |
| 10.ნაიმეგენი | 29 | 8 | 12 | 9 | 45:49 | 36 |
| 11.ბრედა | 29 | 11 | 4 | 14 | 39:50 | 36 |
| 12.ჰერენვენი | 29 | 9 | 8 | 12 | 52:48 | 35 |
| 13.ფეინოორდი | 29 | 9 | 7 | 13 | 37:48 | 34 |
| 14.გრააფსხაპი | 29 | 8 | 9 | 12 | 28:48 | 33 |
| 15.ვიტესი | 29 | 8 | 8 | 13 | 36:49 | 32 |
| 16.ექსელსიორი | 29 | 7 | 4 | 18 | 35:59 | 25 |
| 17.ვენლო | 29 | 5 | 2 | 22 | 26:62 | 17 |
| 18.ტილბურგი | 29 | 2 | 6 | 21 | 32:80 | 12 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**პორტუგალია. ა ლიგა**

ოლჰანენსე-ნავალი ... 1:3
რიუ ავე-სეტუბალი ... 2:0
გიმარაეში-სპორტინგი ... 1:1
ბენფიკა-პორტუ ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 25 | 23 | 2 | 0 | 58:9 | 71 |
| 2.ბენფიკა | 25 | 18 | 1 | 6 | 52:23 | 55 |
| 3.ბრაგა | 25 | 12 | 4 | 9 | 41:30 | 40 |
| 4.სპორტინგი | 25 | 10 | 9 | 6 | 34:26 | 39 |
| 5.გიმარაეში | 25 | 9 | 7 | 9 | 28:32 | 34 |
| 6.ფერერია | 24 | 8 | 9 | 7 | 24:30 | 33 |
| 7.მარიტიმუ | 25 | 8 | 7 | 10 | 31:26 | 31 |
| 8.ნაციონალი | 24 | 8 | 7 | 9 | 21:27 | 31 |
| 9.რიუ ავე | 25 | 8 | 6 | 11 | 24:27 | 30 |
| 10.ლეირია | 25 | 8 | 6 | 11 | 20:30 | 30 |
| 11.ბეირა მარი | 25 | 6 | 11 | 8 | 29:30 | 29 |
| 12.აკადემიკა | 25 | 7 | 7 | 11 | 30:39 | 28 |
| 13.ოლჰანენსე | 25 | 6 | 10 | 9 | 20:30 | 28 |
| 14.სეტუბალი | 25 | 5 | 9 | 11 | 20:35 | 24 |
| 16.ნავალი | 25 | 4 | 8 | 13 | 23:43 | 20 |
| 15.პორტიმორ. | 25 | 4 | 7 | 14 | 23:41 | 19 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ნალჩიკი-ზენიტი ... 2:2
ანჟი-რუბინი ... 1:0
ცსკა-კრასნოდარი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| 2.ვოლგა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| 3.რუბინი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| 4.ყუბანი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| 5.კრასნოდარი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| 6.როსტოვი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| 7.ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 8.ლოკომოტ. | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 9.ნალჩიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| 10.ამკარი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 11.ანჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| 12.დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| 13.სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| 14.კრ.სოვეტ. | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 15.ტერეკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| 16.ტომი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰიბერნიანი-ჰართსი ... 2:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-ზალცბურგი ... 1:1

**ბელგია. პროლიგა. პლეი-ოფი**

ანდერლეხტი-სტანდარდი ... 1:3
გენკი-ლოკერენი ... 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-სტ.გალენი ... 1:1
თუნი-ციურიხი ... 2:3
სიონი-იანგ ბოიზი ... 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-ატრომიტოსი ... 1:0
ასტერასი-არისი ... 1:2
კერკირა-პანიონიოსი ... 1:2
ოლიმპიაკოსი-კავალა ... 3:1
ოლიმპიაკოსი(ვ)-ქსანთი ... 3:0
პანსერაიკოსი-პანათინაიკოსი ... 1:0
ერგოტელისი-ირაკლისი ... 1:0
პაოკი-ლარისა ... 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

მანისა-გენჩლერი ... 0:3
ქაისერი-ქაშიმფაშა ... 1:3
ისტამბული-ბუკა ... 2:1
ფენერბახჩე-ბურსა ... 0:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბრნო-ტეპლიცე ... 0:1
უსტი-პლზენი ... 0:5
ბუდეოვიცე-სლოვაცკო ... 0:0
სლავია-ჰრადეც კრალოვე ... 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-იაგელონია ... 2:0
გურნიკი-კრაკოვია ... 1:0

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

ვორსკლა-სევასტოპოლი ... 4:0
ვოლინი-კარპატი ... 0:3
მეტალისტი-მეტალურგი(ზ) ... 3:0

**დანია. სასლიგა**

რანდერსი-სონდერიისკე ... 0:0
ჰორსენსი-ნორდსიელანდი ... 0:0
ბრონდბიუ-სილკებორგი ... 2:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-გაისი ... 2:0
მალმიო-ტრელებორგი ... 4:2
სირიანსკა-გეფლე ... 1:1
მიალბი-ჰელსინბორგი ... 0:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

მიოლდე-ტრომსო ... 2:2
სონგდალი-ოდ გრელანდი ... 1:4
სტარტი-სტრომგოდსეტი ... 5:1
ჰაუგესუნდი-სარპსბორგი ... 4:2
რუსენბორგი-სტაბეკი ... 1:2

**აშშ. მლს**

კოლორადო-ვაშინგტონი ... 4:1

**არგენტინა. კლაუსურა**

გოდოი-ურაკანი ... 3:1
ქილმესი-რივერ პლეიტი ... 0:1
სან ლორენცო-კოლონი ... 1:2
ბოკა-ესტუდიანტესი ... 2:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

სან ანტონიო-ფინიქსი ... 114:97
ლეიკერსი-დენვერი ... 90:95
ბოსტონი-დეტროიტი ... 101:90
ნიუ ჯერსი-მაიამი ... 94:108
ნიუ იორკი-კლივლენდი ... 123:107
საკრამენტო-იუტა ... 106:97
ტორონტო-ორლანდო ... 102:98
შარლოტი-ვაშინგტონი ... 91:97
ნიუ ორლეანი-ინდიანა ... 108:96
ჰიუსტონი-ატლანტა ... 114:109

**ზაზა ფაჩულია 8 ქულა, 2 მოხსნა**

პორტლენდი-დალასი 104:96

### ჩოგბურთი

**ატპ. მაიამი. პარდ. ფინალი**

ჯოკოვიჩი-ნადალი ... 4:6;6:3;7:6

**ვტა. ჩარლსტონი. თიხა**

ბირნეროვა-ბიჩკოვა ... 6:3;6:2
მალეკი-პუიგი ... 7:6;4:6;3:6
ფორეზი-ფალკონი ... 6:7;5:7
უოტსონი-ვეინეროვა ... 6:1;7:6
მირზა-სავჩუკი ... 6:4;6:3
ვანდევეიე-სტივენსონი ... 2:6;6:2;4:6
ტატიშვილი-ლუჟანსკა ... 6:2;6:2
სტივენსი-დაბროვსკი ... 6:3;6:1

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ფილადელფია-რეინჯერსი ... 2:2(0:1ბ)
დეტროიტი-მინესოტა ... 4:2
კაროლინა-ბუფალო ... 1:2(ოტ)
კოლამბუსი-სენტ ლუისი ... 1:6
ჩიკაგო-ტამპა ბეი ... 0:2
კოლორადო-კალგარი ... 1:2
ანაჰაიმი-დალასი ... 3:4

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# შევარდნაძე მთავარ შეცდომად სააკაშვილის გაპრეზიდენტებას ასახელებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

***გამოვიდა, რომ რუსეთმა და საქართველომ ომი დაიწყეს? ამაში უფრო მეტად ვინ არის დამნაშავე?***

— არსებობს ევროკავშირის კომისიის ოფიციალური განცხადება, რომელსაც შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა. თუ მის მიხედვით ვიმსჯელებთ, ქართული ჯარები პირველები შევიდნენ ცხინვალში და ცეცხლი გახსნეს, ხოლო შემდეგ რუსები როკის გვირაბის გავლით სამხრეთ ოსეთში შევიდნენ და ჩვენები განდევნეს. ხოლო რუსეთის შემდგომ მოქმედებებს, მე თანაბარზომიერად არ ვთვლი. რაც შეეხება მოსკოვთან ურთიერთობებში მომავალს, დიალოგის აღდგენა უბრალოდ აუცილებელია.

რუსეთი ჩვენი ყველაზე დიდი და ძლიერი მეზობელია, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება თავს დაგესხას. საჭიროა შეთანხმების მიღწევა ვისწავლოთ. ამიტომ მივესალმები ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსის მოსკოვში ჩასვლას, მოლაპარაკებების დაწყებას, მაგრამ ეს ცოტაა პრობლემების გადაწყვეტისთვის.

სხვათა შორის, ვლადიმირ პუტინთან კეთილი ურთიერთობები მქონდა. როდესაც 2003 წლის მარტში ჩვენ სოჭში შევხვდით, მე დავეთანხმე ამ ქალაქიდან სამტრედიამდე რკინიგზის აღდგენას, ხოლო ის ქართველი დევნილების დაბრუნებას გალის რაიონში. მაშინ ბევრნი დაბრუნდნენ, რადგან პუტინის გადაწყვეტილება მათი დაბრუნების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, რომელიც მანამდე სტიქიურ ხასიათს ატარებდა.

— მაშინ რატომ ხართ იმის წინააღმდეგი, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მაცხოვრებლებს საქართველოში ვიზების გარეშე შემოსვლა შეუძლიათ? სააკაშვილმა ამას წინათ გაიხსენა, რომ მასთან 2008 წლის ბოლო შეხვედრაზე პუტინი ამბობდა, რომ „ჩრდილოეთ კავკასიელ მოწინააღმდეგეებს როგორც ტარაკნებს, ისე გასრესს". ამასთან, საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, რომ ვიზების მოხსნიდან ხუთი თვის თავზე საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიის დაახლოებით 95 ათასი მაცხოვრებელი შემოვიდა და ყველანი კარგად იქცევიან, კანონს არ არღვევენ.

— მაგრამ ვინ გასცემს გარანტიას, რომ ჩეჩნეთში, დაღესტანში, ან ინგუშეთში არ შეიკრიბება რაღაც ჯგუფი და საქართველოში გარკვეული მიზნებით არ გამოჩნდება? ვიზების გაუქმება რუსეთის სწორედ ამ რეგიონების მაცხოვრებლებისთვის, არცთუ ისე აწონილ-დაწონილი იყო.

***— როგორც საბჭოური დიპლომატიის ყოფილმა ხელმძღვანელმა, გვითხარით, სადამდე მიგვიყვანს არაბულ სამყაროში გამოსვლები?***

— ჯერჯერობით რთულია პროგნოზის გაკეთება. ეს რევოლუციები შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. ყველაზე მეტად მეშინია, რომ ირანში რაიმე არ დაიწყოს. ის თითქმის ჩვენი მეზობელია. ამას წინათ ზოგიერთი ამერიკელი სენატორის გეგმების წინააღმდეგ გამოვედი, რომლებიც საქართველოში რადარების განთავსებას გეგმავდნენ. თუ აშშ-ს და ირანის დაპირისპირება დაიწყება, ხოლო საქართველოში რადარები იქნება, საქართველო შეიძლება დარტყმის ქვეშ აღმოჩნდეს.

***— ამას წინათ 83 წელი შეგისრულდათ. მაგრამ კვლავაც აქტიურად მუშაობთ.***

— რიგით მეექვსე წიგნს გამოსაცემად ვამზადებ. ეს იქნება ჩემთან ყველაზე საინტერესო ინტერვიუების კრებული, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული.

# ყაზახეთში პრეზიდენტად კვლავ ნაზარბაევი აირჩიეს

ყაზახეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაცხადა, რომ წინასწარი მონაცემების თანახმად, 3 აპრილს გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში ნურსულთან ნაზარბაევმა გაიმარჯვა, რომელმაც ხმების 95.5% მოაგროვა. ცსკ-ს თავმჯდომარის, კუნდიკ ტურგანკულოვის თქმით, სხვა კანდიდატებიდან 2%-ზე მეტი ვერც ერთმა ვერ მოაგროვა.




ნურსულთან ნაზარბაევი 1990 წლიდან ყაზახეთის უცვლელი ლიდერია. მისი პრეზიდენტობის რიგით მეოთხე ვადის ხანგრძლივობა 5 წელს შეადგენს.

გარდა ნაზარბაევისა, საარჩევნო ბიულეტენებში მოყვანილი იყო აგრეთვე ყაზახეთის კომპარტიის წარმომადგენელი ჟამბილ ახმეტბეკოვი, სენატორი გაინ კასიმოვი და ეკოლოგი მელს ელეუსიზოვი.

ახმეტბეკოვს ამომრჩევლების 1.4%-მა მისცა ხმა, ელეუსიზოვს — 1.2%-მა, კასიმოვს — 1.9%-მა. ყაზახეთის მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და განაცხადა, რომ არჩევნებისათვის მოსამზადებლად დრო არასაკმარისი იყო, გარდა ამისა, არ არსებობდა რეალური კონკურენცია. სააგენტო ესოშიეიტედ პრესის თანახმად, ვრცელდება ინფორმაცია გარკვეული დარღვევების შესახებ. კერძოდ, რამდენიმე ცნობა იუწყებოდა, რომ სტუდენტებს არჩევნებში მონაწილეობას გარიცხვის მუქარით აიძულებდნენ.

თავად ნაზარბაევმა კვირას გამართულ არჩევნებს ღია და პატიოსანი უწოდა. მისი აზრით, არჩევნებმა მთელს მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ ყაზახეთის საზოგადოება დემოკრატიულია.

პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ყაზახეთში 2012 წელს უნდა გამართულიყო, მაგრამ 70 წლის ნაზარბაევმა მათი ვადამდე გამართვა გადაწყვიტა. მისი ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ეს გადაწყვეტილება ნაზარბაევმა არაბულ სამყაროში მიმდინარე გამოსვლების ყაზახეთში გამეორების შესაძლებლობის შიშით მიიღო.

2007 წელს ყაზახეთში მიიღეს საკონსტიტუციო შესწორებები, რითაც მოიხსნა ერთი პიროვნების პრეზიდენტად არჩევის რიცხვის შეზღუდვა.

წინა არჩევნებში ნაზარბაევმა ხმების 91% მიიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ დამოუკიდებელ დამკვირვებლებს ყაზახეთის არც ერთი არჩევნები თავისუფალ და პატიოსან არჩევნებად არ მიუჩნევიათ.

თუმცა, ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ არჩევნების პატიოსნად გამართვის შემთხვევაშიც ნაზარბაევი გაიმარჯვებდა. ყაზახეთის მოსახლეობის უმეტესობას მიაჩნია, რომ ნურსულთან ნაზარბაევმა ყაზახეთს სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება მოუტანა.

გარდა ამისა, ხელისუფლები არაბულ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების ფონზე მოსახლეობას დემოკრატიულ რეფორმებს დაჰპირდნენ.

**გ.თ.**

# ნოღაიდელს სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით სასამართლოს უწყება გადაეცა

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოს" ლიდერს დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს კურიერმა სახელფასო დავალიანებსათან დაკავშირებით, სასამართლოს უწყება გადასცა.

როგორც „მედიანიუსს" მოძრაობიდან „სამართლიანი საქართველოსთვის" აცნობეს, სასამართლო დავა იმ სახელფასო დავალიანებას ეხება, რომელიც წარმოიშვა წინასაარჩევნო პერიოდში.

— ნოღაიდელს სასამართლო ატყობინებს, რომ ჩაბარებიდან შვიდი დღის ვადაში შეადგინოს შესაგებელი და წარუდგინოს სასამართლოს. როგორც მოსალოდნელი იყო, ზურაბ ნოღაიდელი ამჯერადაც დაემალა სასამართლოს კურიერს და ჩვენ დამატებითი ხარჯების გაწევა დაგვჭირდა, — განუცხადა „მედიანიუსს" მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" გამგეობის წევრმა ნატო ხოხიაშვილმა..

როგორც მოძრაობაში აცხადებენ, „სამართლიანი საქართველოსთვის" წევრები ყველაფერს გააკეთებენ სამართლიანობის აღსადგენად.

**მედიანიუსი**

# „სახალხო კრება" 2 მაისისთვის ემზადება

„სახალხო კრება" 2 მაისისთვის ემზადება. უზენაეს სასამართლოსთან მათ მორიგი პროექტის, სახელწოდებით - „სამართალი მოდის", პრეზენტაცია გამართეს.

როგორც ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, 2 მაისამდე ისინი პროცესების გააქტიურებას გეგმავენ. დაგეგმილი აქვთ კონკრეტული ღონისძიებები, 2 მაისის გეგმებზე კი, ისინი ჯერჯერობით საუბარს ნაადრევად მიიჩნევენ.

ახალ პროექტს - „სამართალი მოდის" „დემოკრატიული მოძრაობის" წარმომადგენელი, შალვა ოგბაიძე უხელმძღვანელებს. მან ამ პროექტის ძირითადი პრინციპები წაიკითხა. მისი თქმით, პროექტი ითვალისწინებს ყველა უფლებადარღვეული ადამიანის შესახებ ინფორმაციის ასახვას და სპეციალური ბაზის შექმნას. მან უფლებადარღვეულებს მოუწოდა, დაუკავშირდნენ ორგანიზაციას და ახალ მოძრაობას ტელეფონის ნომერზე: 10-60-44-ზე და შეატყობინონ მათი უფლების დარღვევის ფაქტები. ისინი მოახდენენ რეაგირებას ამ ფაქტებზე და შეიტანენ სპეციალურ ბაზაში, რომელსაც შემდგომ ხელისუფლებას წარუდგენენ და მოხდება ამ ზარალის კომპენსაცია. შალვა ოგბაიძე მოუწოდებს იმ ადამიანებს, რომლებიც, მისი განცხადებით, ხელისუფლების დევნის მსხვერპლია, სამსახურიდან დათხოვნილები არიან, საკუთრებაჩამორთმეულებს, ასევე მათ ვისაც ტელეფონზე უსმენენ, უკანონოდ აპატიმრებენ, ღირსებას ულახავენ - ასეთმა ადამიანებმა მიმართონ ახალ მოძრაობას „სამართალი მოდის" და ისინი ამ ფაქტებს სპეციალურ ბაზაში დააფიქსირებენ.

პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება მაღალი თანამდებობის პირების უკანონოდ მისაკუთრებული ქონების მხილება. როგორც პროექტის ერთერთმა წარმომადგენელმა, მოძრაობა „არას" ლიდერმა, ლევან ჩიტაძემ განაცხადა, მათ აქვთ კონკრეტული თანამდებობის პირების ჩამონათვალი, რომელთა ქონების შესახებაც ინფორმაციას საზოგადოებას უახლოეს დღეებში მიაწვდიან. მოძრაობის წარმომადგენლები გუშინ უზენაეს სასამართლოსთან საყვირებით და ე.წ. სტიკერებით იყვნენ მისულები, რომლებზეც მითითებული იყო ლოზუნგი „სამართალი მოდის". აღნიშნული განცხადებაც, სწორედ უზენაეს სასამართლოსთან გაკეთდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ შალვა ოგბაიძე, ირაკლი ბათიაშვილი, ლუკა კურტანიძე და „სახალხო კრების" სხვა წარმომადგენლები, ასევე ახალგაზრდული მოძრაობა.

**ინტერპრესნიუსი**

*სპორტი*

# ჯოკოვიჩმა ზედიზედ მეოთხე ტურნირი მოიგო

საჩოგბურთო სამყაროში საქმე იქით მიდის, რომ ბოლო დროს გამეფებული ფედერერ-ნადალის ჰეგემონიას წყალი შეუდგა. სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი წლეულს ფანტასტიკურ ჩოგბურთს თამაშობს და, შესაბამისად, შედეგიც ბრწყინვალე აქვს. ბალკანელმა დღეს მიჯრით 26-ე მატჩში გაიმარჯვა და ზედიზედ მეოთხე ტურნირი მოიგო! ეს მაიამის მასტერსის ფინალის დასრულების შემდეგ გაირკვა.

ფინალში კი ნოვაკმა და რაფა ნადალმა სამსაათნახევრის ხანგრძლივობის ფენომენალური საჩოგბურთო სპექტაკლი შესთავაზეს მაყურებელს.პირველ სეტში ნადალი დომინირებდა. ჯოკოვიჩმა 19 შეცდომა დაუშვა, შედეგად რაფამ 6:4 მოიგო. მეორე სეტში ნოვაკი თავიდანვე 3:0 დაწინაურდა და საქმეც ლოგიკურ დასასრულამდე, მოგებამდე მიიყვანა 6:3.

ყველაზე დრამატული კი დასკვნითი სეტი გამოდგა. მოწინააღმდეგეებმა თავთავიანთი მოწოდებები მოიგეს და მაიამის ტურნირის გამარჯვებულის ბედის გამოვლენა ტაი-ბრეიკს მიანდეს. თავიდან წონასწორობა დამყარდა (2:2), შემდეგ კი ჯოკოვიჩმა ზედიზედ 4 ქულა აიღო და ჩემპიონობამდეც თითქოს არაფერი აკლდა, მაგრამ ნადალი იოლად არ ნებდებოდა. რაფამ მიჯრით ორი ქულა აიღო, ანგარიში 4:6 გახადა და თაი-ბრეიკს ინტრიგა დაუბრუნა, მაგრამ სერბის მძლავრი მოწოდების შემდეგ ნადალმა ბურთი კარგად ვერ მოიგერია, რამაც ნოვაკს გადამწყვეტი ქულის მოპოვების საშუალება მისცა 7:6.

ინდიან უელსის ფინალში ნადალის დამარცხებას ნოვაკ ჯოკოვიჩმა რაფას მაიამის მასტერსის გადამწყვეტ მატჩში ძლევაც მიაყოლა და კარიერის განმავლობაში მეორედ მოიგო „ზამთრის უიმბლდონად" წოდებული შეჯიბრება. ნადალმა კი თავი იმით შეუძლია დაიმშვიდოს, რომ ჯოკოვიჩთან ურთიერთდაპირისპირებისას დადებითი ბალანსი აქვს — რაფამ 16-ჯერ მოუგო ნოვაკს, სერბმა კი მაიამიში მეცხრეჯერ მოახერხა ესპანელის წინააღმდეგობის დაძლევა.

# რონალდო და ბენზემა „ტოტენჰემთან" მატჩს გამოტოვებენ

მადრიდის საფეხბურთო კლუბ „რეალის" ბრაზილიელი მცველი მარსელო, პორტუგალიელი ნახევარმცველი კრიშტიანო რონალდიო და ფრანგი თავდამსხმელი ქარიმ ბენზემა ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩს ლონდონის „ტოტენჰემთან" გამოტოვებენ. მოთამაშეები ამ შეხვედრაში მონაწილეობას ტრავმის გამო ვერ შეძლებენ. ამის შესახებ "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა.

მარსელოს, რონალდოს და ბენზემას 2 აპრილს ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში ხიხონის "სპორტინგთან" არ უთამაშიათ. "ტოტენჰემთან" შეხვედრას, რომელიც 5 აპრილს შედგება ფეხბურთელები ასევე გამოტოვებენ. სამივე ფეხბურთელი მოედანს 10 აპრილს "ატლეტიკოსთან" მატჩამდე ვერ დაუბრუნდება.

ამავე დროს, უახლოეს მატჩებში შესაძლოა არგენტინელმა ფორვარდმა გონსალო იგუაინმა ითამაშოს, რომელიც ტრავმის გამო დიდი ხანია მადრიდელთა შემადგენლობაში მოედანზე არ გამოსულა.

„რეალი" — „ტოტენჰემის" პირველი დაპირისპირება მადრიდში გაიმართება. საპასუხო მატჩი ლონდონში 13 აპრილს ჩატარდება.

# „ზანკტ პაული" ლუდის ქილამ დაღუპა

გერმანიის ბუნდესლიგაში პარასკევს გამართული მატჩი „ზანკტ პაულსა" და „შალკეს" შორის სკანდალით დასრულდა. შეხვედრის 88-ე წუთზე ლაინსმენს ტრიბუნიდან ლუდის ქილა ესროლეს.

ამ ეპიზოდისთვის ანგარიში 0:2 იყო და როგორც ჩანს, გულშემატკივრებმა ამით არბიტრის, ტომას შიფრნერის გადაწყვეტილებებზე შური იძიეს. რაც შეეხება ლაისმენს, რომელსაც ქილა თავში მოხვდა, ძირს მოცელილივით დაეცა.

მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული ლაინსმენი გონს მალევე მოეგო და ფეხზეც წამოდგა, მთავარმა მსაჯმა მატჩის დასრულება საჭიროდ მაინც არ მიიჩნია.

მართალია, კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჰელმუტ შულტმა გვერდით მსაჯს ოფიციალურად მოუბოდიშა, მაგრამ ეს „ზანკტ პაულს" არ უშველის — მას სოლიდური ჯარიმა და სტადიონის დისკვალიფიკაცია ემუქრება. რაც შეეხება „შალკესთან" ჩაშლილ მატჩს, ამ შემთხვევაში მასპინძლებს ტექნიკური წაგება ჩაეთვლებათ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მონარქის ტიტული სპარსეთში; 2. მარგალიტების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი იაპონიაში; 3. ვენესუელას დედაქალაქი; 4. ნაბიჯი ბალეტში; 5. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი; 6. მიწის ფართობის საზომი ერთეული ინგლისურ მეტრულ სისტემაში; 7. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 10. ფრანგი მოქანდაკე ქალი; 11. აეროპორტი რომში; 12. მოლიერის კომედია; 13. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 16. სევდიანი ლირიკული ლექსი; 18. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 19. მარჯვე, ეფექტური ილეთი; 21. საქონლის საერთო წონა შეფუთვიანად; 24. განსაზღვრული ვადითა და პირობით გაცემული თანხა.

**თარაზულად:** 1. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 3. მაღალზურგიანი დივანი; 8. ყურე საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროსთან; 9. გვერდითი დარტყმა კრივში; 14. ქართველ მეთევზეთა უძველესი შრომის სიმღერა; 15. საკონტაქტო სადენიდან დენის მიმღები მოწყობილობა ტრამვაიზე, ტროლეიბუსზე; 17. უკრაინის პარლამენტი; 20. სინათლის სიკაშკაშის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 23. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 25. ქართული ტელეკომპანია; 26. ქალაქი ქართლში; 27. საქართველოს სამბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 28. რეცეპტის პირი, რომელიც თან ახლავს აფთიაქიდან გაცემულ წამალს.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. ალმასი; 5. სინტაქსი; 6. ანარა; 7. მასხარა; 8. ავარია; 10. ექსპო; 13. იარუსი; 15. დიარეა; 16. ნაზი; 17. პინა; 20. ლაზერი; 21. კივერი; 22. სატურნი; 23. ინტიმა.

**შვეულად:** 1. მარადია; 2. სტივიდორი; 3. კნიქსენი; 4. აბაჟური; 5. სილოსი; 9. იმროზი; 11. პეიზაჟი; 12. კაკალი; 14. რეგლანი; 18. აზატი; 19. მერილ.

### სკანვორდის პასუხები:

1. „იდიოტი"; 2. კოდალა; 3. კილომეტრი; 4. ატოლი; 5. აკინაკი; 6. ლოტოსი; 7. მასტიკა; 8. ამიმია; 9. ფრისტაილი; 10. ამონალი; 11. დო; 12. გრიე; 13. სინდიკატი; 14. ლოდი; 15. ბისტრო; 16. რაი; 17. არარა; 18. ალეკ; 19. ბალანი; 20. საკე; 21. ასაბია; 22. რელსი; 23. ეროსი; 24. აბელარი; 25. რკალი; 26. ამნისტია; 27. ლია; 28. აია; 29. ტანძია; 30. ალიზი.

**სურათებზე:** კრისტენ სტიუარტი; ლუკა ტონი.

## ატლანტის ოკეანეში თვითმფრინავის ნამსხვრევები იპოვეს

ატლანტის ოკეანეში ნაპოვნია ავიაკომპანია „ეარ ფრანსის" თვითმფრინავის ნამსხვრევები, რომელმაც კატასტროფა ორი წლის წინ განიცადა. კატასტროფის შედეგად 288 ადამიანი დაიღუპა. ინფორმაცია თვითმფრინავის ნამსხვრევების პოვნის შესახებ ფრანგმა მკვლევრებმა გაავრცელეს. ინფორმაციაში დეტალების შესახებ არაფერია ნათქვამი. ამ ავარიის მიზეზი კვლავინდებურად უცნობი რჩება. ერთი თვის წინ ხელისუფლებმა თვითმფრინავის თვითმწერების მოძებნა კიდევ ერთხელ სცადეს. კომპანია „ეარ ფრანსის" რეისი 447 რიო დე ჟანეიროდან პარიზისაკენ მიემართებოდა. 2009 წლის 1 ივნისს იგი ქარიშხალში მოხვდა. თვითმფრინავის კატასტროფასთან დაკავშირებით საფრანგეთის სასამართლომ ავიაკომპანიის წინააღმდეგ არაწინასწარგანზრახული მკვლელობის ბრალდებით საქმე აღძრა. თვითმფრინავის მწარმოებელი კომპანია „ეარბასი" ამტკიცებს, რომ „შავი ყუთების" პოვნამდე მიზეზების შესახებ რაიმეს თქმა შეუძლებელია. თვითმფრინავის ნამსხვრევების ძებნაში „ეარ ფრანსთან" ერთად „ეარბასცი" მონაწილეობდა. საძიებო სამუშაოები სპეციალური აპარატურის საშუალებით ზღვის სიღრმეში 4 ათას მეტრამდე ჩაყვინთვას გულისხმობდა. ოკეანის ფსკერს სპეციალისტები ბრაზილიასა და დასავლეთ აფრიკას შორის სწავლობდნენ. საფრანგეთის გამოძიებისა და ანალიზის ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებით, თვითმფრინავის ნამსხვრევები ვუდს ჰოულის ოკეანოგრაფიული ინსტიტუტის მკვლევრებმა იპოვეს. თავდაპირველი საძიებო სამუშაოების შედეგად მხოლოდ 51 დაღუპულის გვამი და თვითმფრინავის ასობით ნამსხვრევი იპოვეს, მათ შორის მისი მოგლეჯილი კუდი. საძიებო სამუშაოების მორიგი წარუმატებელი რაუნდი 2010 წლის მაისში დასრულდა. მის ფარგლებში დაახლოებით 10 ათასი კვ კმ ფართობის შესწავლას გეგმავდნენ. საფრანგეთის სახელმწიფო ჩინოსნებმა მანამდე განაცხადეს, გამორიცხული არ არის, თვითმწერების პოვნა საერთოდ ვერ მოხერხდეს. თვითმფრინავით 30-მდე ქვეყნის წარმომადგენლები მგზავრობდნენ. დაღუპულთა უმეტესობას საფრანგეთის, ბრაზილიის, გერმანიის მოქალაქეები შეადგენდნენ. ავარიის მიზეზად ასახელებენ თვითმფრინავის სიჩქარის სენსორების გაუმართაობას, თუმცა, მკვლევრების აზრით, ავარია სხვა ფაქტორებსაც შეიძლება გამოეწვია.

## იაპონია ატომური რეაქტორის პრობლემების გადაჭრას ცდილობს



იაპონელი სპეციალისტები ფუკუსიმას ატომური ელექტროსდგურიდან რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული წყლის გაჟონვის შეჩერებას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ. თავდაპირველი ვარაუდით, წყალი, რომელშიც რადიოაქტიური იოდის შემცველობა დასაშვებს 10 ათასჯერ აღემატება, მეორე რეაქტორის დაზიანებულ ტექნიკურ, ელექტროსადენების ჭაში ხვდება, იქიდან კი — ოკეანეში.

მოგვიანებით ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი კომპანიის, „ტოკიო ელექტრიქ ფაუერსის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თეთრი საღებავის გამოყენებით მათ დაადგინეს, რომ დაბინძურებული სითხე სხვა სათავსოდან ჟონავდა. საძირკველში არსებული ბზარის ამოვსებას ისინი სპეციალურ პოლიმერში არეული ნახერხით ცდილობენ. ბზარის ამოსავსებად ბეტონის გამოყენების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. იაპონელი ჩინოსნების შეფასებით, რეაქტორების გაგრილების სისტემის აღდგენას რამდენიმე თვე შეიძლება დასჭირდეს და ამით პრობლემები არ დასრულდება.

თავის მხრივ, იაპონიის მთავრობამ ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი კომპანიისაგან რადიოაქტიური წყლის ოკეანეში გაჟონვის ალკვეთის სამუშაოების დაჩქარება მოითხოვა. ამ განცხადებით მინისტრთა კაბინეტის გენერალური მდივანი იუკიო ედანო გამოვიდა. კვირას სპეციალისტებმა ნაპრალის ამოვსება დანაკუწებულ ქაღალდა და ნახერხში არეული სპეციალური პოლიმერით სცადეს, რომელსაც ჩვეულებრივ, ბავშვების საფენებში იყენებენ და რომელსაც საკუთარ წონასთან შედარებით 50-ჯერ მეტი წყლის შეწოვა შეუძლია. შედეგია, რაც ამან გამოიღო. იმავდროულად, ხელისუფლები აცხადებენ, რომ მსოფლიო ოკეანეში გაჟონილი რადიაქტიური დაბინძურება ადამიანების ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და არც თევზის რესურსებს დააზიანებს.

სპეციალისტების შეფასებით, ატომურ ელექტროსადგურზე რადიოაქტიური ნარჩენებით დაბინძურებული 13 ათასი ტონა წყალი დაგროვდა. იაპონიის მთავრობა მის დროებით შესანახად ფოლადის მეგატანკერის გამოყენებას აპირებს, რომელიც ქალაქ სიძუოკას ხელისუფლებმა გამოყვეს.

ეს მცურავი კუნძული 10 ათასამდე ტონა წყალს იტევს. შესაძლოა, დაბინძურებული წყლის ნაწილი აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტის ხომალდებმა მიიღონ.

ფუკუსიმას ავარიის შემდეგ იაპონიის სხვა ატომურ ელექტროსადგურებზე რეაქტორების ექსპლოატაციის განახლების გეგმები შეჩერდა. ჯერჯერობით არ ამოქმედდება სიძუოკას პრეფექტურის ატომური ელექტროსადგურის მესამე ენერგობლოკი. იმავე ატომურ ელექტროსადგურზე მეექვსე ბლოკეს მშენებლობა 2016 წლისთვის გადიდო. გარდა ამისა, რეაქტორში პლუტონიუმის შემცველი საწვავი ღეროების გამოყენების საკითხი სადგურის ხელისუფლებმა 2013 წლის შემდეგ უნდა გადაწყვიტონ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ ფრთხილმა პოლიტიკამ იაპონიაში ელექტროენერგიით მომარაგების შეფერხებები შეიძლება გამოიწვიოს. ჯერჯერობით იაპონიაში ელექტროენერგიის გარეშე რჩება ქვეყნის ჩრდილოეთით მცხოვრები 168586 ოჯახი.

## ლიბიიდან დაჭრილები თურქულმა გემმა გაიყვანა



თურქეთის ჰუმანიტარულმა გემმა ლიბიის ქალაქ მისურატიდან ბენგაზისაკენ 250-მდე დაჭრილი გადაიყვანა. მისურატი ქვეყნის დასავლეთით მდებარე ერთადერთი ქალაქია, რომელსაც ოპოზიცია აკონტროლებს. ამ ქალაქთან უკვე რამდენიმე კვირაა მეამბოხეებისა და მუამარ კადაფის ერთგული ჯარების ბრძოლები მიმდინარეობს. გემზე მყოფი ექიმების თქმით, მრავალი დაჭრილის მდგომარეობა მძიმეა.

იმავდროულად, ლიბიის აღმოსავლეთით, ქალაქ ბრეგასთან გრძელდება მეამბოხეებისა და კადაფის მომხრეების ბრძოლები. მიმომხილველების თქმით, ქალაქში ვითარება ჩიხში შედის. სამთავრობო ჯარებს უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია უკავიათ, მაგრამ ნატოს საჰაერო თავდასხმების შიშით მეამბოხეებზე იერიშს ვერ ბედავენ.

ცუდად შეიარაღებული და არაორგანიზებული მეამბოხეები თავის მხრივ, იერიშის ნაკლებ სურვილს ამჟღავნებენ და დასავლეთს დამატებით დახმარებას სთხოვენ.

ამასთან, ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აბდელატი ობეიდიმ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს იორგოს პაპანდრეუსთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ კადაფი ბრძოლების შეწყვეტას ცდილობს. მისურატისაკენ მცურავ ჰოსპიტლად გადაკეთებული ბორანის, „ანკარას" გაგზავნის გადაწყვეტილება თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმეტ დავუთოღლუმ მიიღო.

ხომალდს გარდა ამისა, მისურატში მომუშავე ექიმებისათვის მედიკამენტების ტვირთი მიჰქონდა. ხომალდი ოთხი დღის განმავლობაში პორტში შესვლის ნებართვას ელოდა, მაგრამ შემდეგ იგი სანაპიროს 10 თურქული ეფ-16 გამანადგურებლისა და ორი სამხედრო ხომალდის დაცვის თანხლებით მიუახლოვდა.

დაჭრილები გემბანზე განათავსეს. ზოგ მათგანს ნათესავები ახლავს. გემი იძულებული გახდა, ვადაზე ადრე დაეტოვებინა გემი, რადგან ნავმისაბმელთან ლიბიის დატოვების მსურველთა ჯგუფმა მოიყარა თავი. დაჭრილების თქმით, კადაფის ჯარისკაცები მთელს ოჯახებს ანადგურებდნენ. „ჩემმა მეზობელმა ცოლი და სამი შვილი დაკარგა, ამას ისე, ხალხის შესაშინებლად აკეთებდნენ" — ამბობს ერთ-ერთი მათგანი. 12 წლის ბიჭუნას თქმით, მას სნაიპერმა ესროლა. მისი თანატოლი ბაზარში ძმასთან ერთად ყოფნის დროს ყუმბარის ნამსხვრევებით დაიჭრა. მიმომხილველების თქმით, პრაქტიკულად ყველა დაჭრილი ამბობს, რომ ქალაქში ვითარება უარესდება. ქალაქში არ არის სასმელი წყალი და ელექტრობა. სნაიპერების ტყვიისაგან დაზღვეული არავინაა.

## კოტ დივუარის მთავარი აეროპორტი საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს



საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, კოტ დივუარის მიმართულებით, სადაც საფრანგეთის სამხედრო ქვეგანაყოფებმა ქალაქ აბიჯანის აეროპორტი თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს, დამატებითი ძალები გაიგზავნა.

ფრანგი ხელისუფლების განცხადებით, ქვეყანაში ძალაუფლების ვაკუუმი შეინიშნება, რადგან ძალები, რომლებიც წარსულში პრეზიდენტ ლორან გბაგბოს უჭერდნენ მხარს, ახლა მისი მოწინააღმდეგის მხარეზე გადადიან.

აბიჟანის სატელევიზიო არხი ჯერჯერობით გბაგბოს მომხრეების ხელში იმყოფება და მან მოსახლეობას „ფრანგი ოკუპანტების" წინააღმდეგ მობილიზაციისაკენ მოუწოდა.

ქვეყანაში გამართული არჩევნების შედეგების თანახმად კანონიერ პრეზიდენტად ალასან უატარია გამოცხადებული. მისი მომხრეები პრეზიდენტის რეზიდენციაზე მორიგი იერიშისათვის ემზადებიან და ქალაქში კომენდანტის საათი შემოიღეს.

გაეროს წარმომადგენელმა ჰამადუნ ტურემ ბიბისის ინტერვიუში განაცხადა, რომ ლორან გბაგბოს მიერ დაკავებულ რეზიდენციის მახლობლად სროლის ხა ისმის. ვითარება ქალაქში უკიდურესად დაძაბულია. კოტ დივუარის დასავლეთით ასევე მიმდინარეობს ბრძოლები სხვადასხვა ჯურის რაზმებსა და ეთნიკურ დაჯგუფებებს შორის.

საერთაშორისო დახმარების ორგანიზაცია კარიტასის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქალაქ დოკუიში ასობით გვამია ნაპოვნი. მსხვერპლი ათას ადამიანს შეიძლება აღემატებოდეს. გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა ალასან უატარეს ასობით მკვლელობის გამოძიება მოსთხოვა, რაშიც მის მომხრეებს ადანაშაულებენ. აბიჯანის აეროპორტი კვირას სამასამდე ფრანგმა მედესანტემ დაიკავა. ამჟამად ფრანგული კონტინგენტი კოტ დივუარში 1400 სამხედრო მოსამსახურეს შეადგენს.

აეროპორტი აეროს ძალებმა ჯერ კიდევ პარასკევს დაიკავეს, მაგრამ ფრანგების მოქმედება ნიშნავს, რომ გაეროს წარმომადგენლობამ საქმიანობა უახლოეს მომავალში შეიძლება განაახლოს. საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის, ტიერი ბურკარის თქმით, ეროპორტი ფრანგებმა გაეროს მისიის თანხმობით დაიკავეს, სამოქალაქო და სამხედრო რეისებისათვის მისი გახსნის მიზნით. ჯერჯერობით დაგეგმილი არ არის უცხოელების ევაკუაცია, თუმცა, 1600-მდე უცხოელი მოქალაქე აბიჯანის მახლობლად ფრანგულ ბანაკში იმყოფება. მათ შორის 700 საფრანგეთის მოქალაქეა, 600-მდე ლიბანელია, 60 — ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

ელიზა და ანზორ კალმახელიძეები ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ მძახლებს რუსუდან და ირაკლი ცინცაძეებს გარდაეცვალათ შვილი

**გოგი ცინცაძე**

---

მეუღლე კუკური მინდიაშვილი, შვილი ნუკრი მინდიაშვილი, შვილიშვილი ნიკოლოზ მინდიაშვილი, რძლები თამარ ჩანტლაძე და გულნაზ აბესაძე, ძმისშვილი შალვა კურდღელაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუიზა შალვას ასული კურდღელაშვილი-მინდიაშვილი**

პანაშვიდი: 5, 6 აპრილს, 17 საათზე, დიღმის მასივი, V კვ. XX კორპუსი, I სად. IX სართული.

გამოსვენება: 7 აპრილს, 15 საათზე, სოფელ დიღმის წმ. მარინეს სახელობის ეკლესიიდან.

---

დედა ფლორა ჯავახია, შვილები შაკო და მარიამ კუპრაშვილები, და თინიკო, სიძე გოგი სარაჯიშვილი, დისშვილები, მულები დალი და ფისო კუპრაშვილები, ბიცოლები ნაზი, ლოლა, ცაგული, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნანა ვახტანგის ასული იაკობაშვილი**

პანაშვიდი: 5, 6 აპრილს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 7 აპრილს, 14 საათზე.

მისამართი: წერეთლის გამზირი 99, I სადარბაზო, VIII სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ხართ თუ არა პატივმოყვარე

**ტესტი**



1. გსურთ იყოთ მდიდარი და პოპულარული?
2. იქნებით ოდესმე მდიდარი და პოპულარული?
3. გსურთ გქონდეთ ძვირფასი და დიდი ავტომობილი?
4. იცით ზუსტად, რა მარკის ავტომობილი გსურთ?
5. გსურთ ქალაქგარეთ დიდ სახლში ცხოვრება?
6. გსურთ, რომ მსახურები გყავდეთ?
7. თამაშის დროს გსურთ მოიგოთ?
8. ისესხებდით ფულს რაიმე საქმის წამოსაწყებად?
9. წახვიდოდით საზღვარგარეთ, კარგი პერსპექტივები რომ გქონდეთ?
10. გსურთ საკუთარი საქმის წამოწყება?
11. შეგიძლიათ ჩაიდინოთ უპატიოსნო საქციელი, თუ გეცოდინებათ, რომ ვერავინ გაიგებს?
12. მიგაჩნიათ, რომ მდიდარი და ცნობილი ადამიანები სხვებზე საინტერესონი არიან?
13. შეურიგდებოდით გაჭირვებას და პრობლემებს, თუ იცით, რომ მათი გადატანა აუცილებელია გამდიდრებისათვის?
14. გინდათ, რომ ქუჩაში გცნობდნენ?
15. როგორ გგონიათ, განსხვავდებით სხვა ადამიანებისაგან?

**პასუხები**

**11-15 ქულა:** დიდი ამბიციები და სურვილები გაქვთ. თუ საქმეს გულმოდგინედ მოჰკიდებთ ხელს და ბედიც გაგიღიმებთ, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

**6-10 ქულა:** ამბიციური კი ხართ, მაგრამ — ძალიან ფრთხილი და კეთილგონიერი. მიუხედავად ამისა, თუ მართლა გსურთ წარმატების მიღწევა, დაივიწყეთ სიფრთხილე და დროდადრო ზურგი აქციეთ კეთილგონიერ არგუმენტებს.

**0-5 ქულა:** თქვენ უმნიშვნელო ამბიციები გაქვთ, კმაყოფილი ხართ საკუთარი ცხოვრებით და გსურთ სიამოვნების მიღება ბრძოლის გარეშე.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 5 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00, 02.40** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **22.00** ჩემპიონთა ლიგა. საფეხბურთო გადაცემა **23.00** **ჩემპიონთა ლიგა**. პირველი მეოთხედფინალი. **00.40** მოამბე **01.00** მხ. ფილმი **"ბოროტი ქალი"** (12) (ჯ. ბლექი) **03.40** მხ.ფ.**"ზაფხულის სახლი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **20.00** მხ. ფილმი **"ნაპირიდან ნაპირამდე"** **01.00** მხ. ფილმი **"მე ვიცი, რაც ჩაიდინეთ ამ ზაფხულს"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ვანოს შოუ (გან.) **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მორჩენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა **20** ათასი **22.40** **ჩემპიონთა ლიგა**. ინტერი-შალკე **00.40** პატრული **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.20** მხ.ფ.**"მკვდარი პოეტების საზოგადოება"** (18)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.25** ტვ-მარკეტი **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** მხ. ფილმი **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) **03.10** მხ. ფილმი **"სიზმავე"** (18) (ჯ. მური) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სასტუმრო"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** მოკლემ. ფილმი **"ლახტის გაკვეთილი"** **10.50** ერთსულოვანი ოჯახი **11.15** დოკ. ფილმი "ხიდი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მაგდანას ლურჯა"** **13.30** კონცერტი – პლაჩიდო დომინგო **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფ. **"წინამორბედი"** **17.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"მევლუდი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.25** წარმატების ფორმულა **00.40** შარავანდედი **01.05** კონცერტი – რ.სებისკვერაძე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**5 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 1,704


ევრო —2,4135


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7714


რუსული რუბლი — 0,06

## ამინდის პროგნოზი 5 აპრილისთვის

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12-13, ღამით — 6-8

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-17, ღამით — 7-11

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — §-8, ღამით — -1-§




## იქ, ცამდე ლურჯი მთებია

სახელოვან მამულიშვილს,
ფარმაცევტული კომპანია “სალხინოს”
გენერალურ დირექტორს,
**ბატონ როინ ნაჭყებიას**

მინდა დავულოცო, მის მიერ წარმოებული და უკვე სახელგანთქმული წამალი “სალხინო”, ახალ შექმნილი წამალი “ფერდი”. მისი მშობლიური, ულამაზესი სალხინო /მარტვილის რ-ნი/ და ვუსურვო ახალი წარმატებები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

*ის საქართველოს ძირძველი და საოცრების მხარეა,*
*მის მარად მწვანე წალკოტში მუდამ სითბო და დარია.*
*იქ, ცამდე ლურჯი მთებია, ბარში ჭადრების ჯარია,*
*ბაღ-ვენახებით მოხატულს, მჯობს ვერსად ნახავს თვალია.*
*დილით მზის სხივით ნაბანის, ღამის მნათობის მთვარე...*
*იმ მხარემ შობა “სალხინოც”, წამალი უებარია.*
*ახლა კი მინდა დალოცვა დღეს გაცნობილი “ფერდისა”,*
*ვუსურვო იყოს ყოველთა გამქარვებელი სევდისა,*
*და ისე შეგვერგებოდეს, როგორც ჩვილს ძუძუ დედისა.*
*ასეთი იყოს, საერთოდ, აბა, რა გასაკვირია,*
*როდესაც “სალხინოსავით” “ფერდიც” იმ კუთხის შვილია.*

*მურთაზ ჩხიკვაძე. 2011 წელი*

## რევაზ ლაშხი ევროპის ჩემპიონია

**დორტმუნდში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც ქართველი მოჭიდავეებისათვის ყველაზე წარმატებული ტურნირის ბოლო დღე გამოდგა.**



60 კგ. წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონობა რევაზ ლაშხმა მოიპოვა. ლაშხმა ფინალში ბულგარელი ივო სერაფიმოვ-ანგელოვი 2 სეტში (1:0, 2:0) დაამარცხა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ფინალამდე ლაშხმა ნახევარფინალში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, აზერბაიჯანელი ჰასან ალიევი დაამარცხა, მეოთხედფინალში ასევე ტიტულოვან რუმინელ ეუსებიუ დიაკონუს აჯობა, მერვედფინალში პოლონელი, პირველ წრეში კი ფრანგი მოწინააღმდეგე ჩამოიცილა გზიდან.

აღსანიშნავია, რომ რევაზ ლაშხის მოპოვებული ოქროს მედალი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პირველი ოქროა საქართველოს ნაკრებისათვის 2007 წლის წარმატების (მანუჩარ კვირკველია, რამაზ ნოზაძე) შემდეგ.

ქართველთაგან დორტმუნდის ხალიჩაზე საჭიდაოდ ოლიმპიური ჩემპიონი - მანუჩარ კვირკველია (74კგ), 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სოსო ჯაბიძე (მძიმე), ლაშა გოგიტაძე (55 კგ), ანტონ მამაგეიშვილი (66 კგ), მათე სოფაძე (84 კგ) და დიმიტრი ჯავახიშვილი (120 კგ) გავიდნენ, თუმცა, მედლის მოპოვება ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ასტროპროგნოზი 5 აპრილისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

<u>ეს დღე მშვიდად გაატარეთ.</u>

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, საღამოს საქმიანი შეხვედრა გელით. **ლომი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით, ყველაფერს საკუთარ თავზე ნუ აიღებთ. **ქალწული** — ახალი პროექტი გაამართლებს, ფული გექნებათ. **სასწორი** — ახალ ტანსაცმელს იყიდით, საინტერესო ადგილზე მოხვდებით. **ღრიანკალი** — გელით სიურპრიზი, თანაც სასიამოვნო. **მშვილდოსანი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თხის რქა** — გზიდან ვილაც ჩამოდის და კარგი ამბავი ჩამოაქვს. **მერწყული** — დასვენება გჭირდებათ, გამოყავით დრო და განმარტოვდით. **თევზები** — მოერიდეთ რთულ სიტუაციას, შარს ნუ ეძებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 4 აპრილიდან

## იყიდება

**100 წიგნი**

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

## სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 2**

## ფრანკო

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


## იუმორი



***

ტიპმა ხელფასი აიღო და შინ მიდის. გზაში დახვდნენ, გაძარცვეს, შინ ცარიელი გაუშვეს. ერთი კვირის შემდეგ კარზე ზარი დარეკეს. ტიპმა გააღო, მისი მძარცველები დგანან, პირქუში სახით მისი საფულე მიაწოდეს.

ტიპმა ფული გადათვალა, ადგილზეა, მერე ეკითხება:

— გმადლობთ, ბიჭებო, მაგრამ, რაშია საქმე?

— მოგვაშორე აქედან შენი ხელფასი. ერთი კვირაა ვიცინით, ველარ ვჩერდებით. ერთი მოგვიკვდა...

***

— მე მგონი, თქვენ დახვეწილი ესთეტი ბრძანდებით.

— თქვენ ცდებით, მე ჰეტეროსექსუალი ვარ.

***

— რამდენი კეთილი საქმის გაკეთება ყოფილა შესაძლებელი იარაღის მუქარით...

***

— მეცნიერებმა გამოიგონეს ჩასახვის საწინააღმდეგო აბები მამაკაცებისაგან, შემადგენლობა — 99% საძილე საშუალება.

გ.თ.

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. წყალი მყარ მდგომარეობაში; 2. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 3. ძვირფასი ქვის, მარჯნის ქართული სახელწოდება; 5. ნაყვავილარი, დამახინჯებული სახის მქონე ადამიანის ძველებური სახელწოდება; 6. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 7. ღამე თევზაობა ჩირაღდნის საშუალებით; 11. ნივთების შესანახი ძველებური საკეტებიანი ხის ყუთი; 13. იტალიური ლიქიორი; 14. საქართველოს ნაკრებისა და „შალკეს“ ფეხბურთელი; 15. ფაიფურის მწარმოებელი ინგლისური ფირმა; 16. ბრიტანული ნამცხვარი; 17. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 19. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 20. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი.

**შვეულად:** 1. ცნობილი ქართველი კარდიოლოგი აკადემიკოსი; 4. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანურ ქვეყნებში; 8. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. გადასახადი მიწით სარგებლობისათვის ძველად საქართველოში; 10. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 12. ყურის ექიმი; 14. პოპულარული მატონიზირებელი სასმელი; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ინგლისური იუმრისტული ჟურნალი; 18. შავი ფერის ცხენი; 21. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 22. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 23. უნგრელთა მეორე სახელწოდება.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი